



ბრიტოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტი

# აკადემიური მაცნე

სამართალი



თბილისი

ბრიტოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

აკადემიური მაცნე

სამართალი

№ 3

თბილისი - 2014

## სარედაქციო კოლეგია

მამუკა თავხელიძე - მთავარი რედაქტორი (თბილისი, საქართველო)  
გიორგი ღლონტი - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)  
ნინო ქემერტელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)

დევი ხვედელიანი	(თბილისი, საქართველო)
მალხაზ ბაძაღუა	(თბილისი, საქართველო)
ზურაბ ძლიერიშვილი	(თბილისი, საქართველო)
გია დეკანოზიშვილი	(თბილისი, საქართველო)
იაკობ ფუტყარაძე	(თბილისი, საქართველო)
ოთარ გამყრელიძე	(თბილისი, საქართველო)
მანანა მოსულიშვილი	(თბილისი, საქართველო)
დავით ძამუკაშვილი	(თბილისი, საქართველო)
ვალერიან ხრუსტალი	(თბილისი, საქართველო)
თემური თოდრია	(თბილისი, საქართველო)
ლევან იზორია	(თბილისი, საქართველო)
ხათუნა ლორია	(თბილისი, საქართველო)

ჰანს იორგ ალბრეხტი	(ფრაიბურგი, გერმანია)
ანა მარგარიანი	(ერევანი, სომხეთი)
ჯეიმს ო. ფინკენაუერი	(ნეწარკი, აშშ)
ტრევორ კარტლეჯი	(ნოტინგემი, დიდი ბრიტანეთი)
ალექსანდრე სილაგაევი	(ყაზანი, რუსეთი)
ელიკო წიკლაური-ლაჩიხი	(ფრაიბურგი, გერმანია)
კამილ სალიმოვი ნაზიმოდღუ	(ბაქო, აზერბაიჯანი)
ალენა შოსტკო	(ხარკოვი, უკრაინა)
ჯოვან შოპოვსკი	(კოსანი, მაკედონია)
დეჟან მაროლოვი	(კოსანი, მაკედონია)

### ადმინისტრაციული რედაქტორი:

გიორგი თოდრია (თბილისი, საქართველო)

წინამდებარე აკადემიურ მაცნეში წარმოდგენილია ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები სამართალმცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე.

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

## სარჩევი

<b>გიორგი ღლონტი, მერაბ ფაჩულია, თეა ჭანტურია</b> დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა - საქართველო, 2012	4
<b>ეკა ბესელია</b> წამების პრობლემა საქართველოში 2007-2012 წლებში: სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები	65
<b>შალვა საღირაშვილი</b> საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზი	77
<b>ჯეიმს ფინკენაუერი, აუნშულ რეგე</b> კრიმინალური ორგანიზაციები და მათ მიერ მიყენებული ზარალის შეფასება კვლევითი პროექტი	94
<b>ჰელმუტ კური, ანეტე კულმანი</b> მედიაცია გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში	98
<b>მარგარიტა ზერნოვა</b> რუსეთის პოლიცია და მოქალაქეები: საზოგადოებრივი გამოხმაურება თანამედროვე წესრიგის დაცვის მდგომარეობაზე და მათი გაუთვალისწინებელი შედეგები	104
<b>პარამონოვა სვეტლანა</b> სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმების გამოყენება კომპიუტერული დანაშაულობის წინააღმდეგ (რუსეთის, აშშ-ის და გერმანიის კანონმდებლობების მაგალითზე), კიბერდანაშაულის საერთაშორისო სასამართლო	109
<b>ოლენა შოსტკო</b> უკრაინის ნაციონალური უნივერსიტეტი „იაროსლავ ბრძენის სამართლის აკადემია“	113
<b>ელიკო წიკლაური-ლამიხი</b> სტრუქტურული ძალადობა და ძალადობის მანიფესტაციის სხვა ფორმები	115
<b>ჰელმუტ კური, ოქსანა ილჩენკო</b> შორეული აღმოსავლეთის ფედერალური უნივერსიტეტი, ვლადივოსტოკი, რუსეთის ფედერაცია	117
<b>დეჟან მაროლოვი, ელენა ივანოვა</b> შვილის აყვანის პროცედურის შესაძლებელი ნეგატიური ასპექტი	123
<b>ალექსანდრე ღლონტი, გიორგი ალავიძე</b> კიბერ-სივრცის ექსპლუატაცია რეტალიაციის მიზნით ტრანზიტული ეკონომიკისა და პოლიტიკის ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე).	124
<b>ინფორმაცია ავტორებზე</b>	127

გიორგი ღლონტი  
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო  
მერაბ ფაჩულია  
კომპანია GORBI  
თეა ჭანტურია  
კომპანია GORBI

## დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა - საქართველო 2012

### რეზიუმე

პროექტის (დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა საქართველოში) ფარგლებში 2012 წელს ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.

აღნიშნული პროექტი არის 2010-2011 წლებში ჩატარებული ანალოგიური კვლევის მესამე ტალღა. მასში გამოყენებული ვიქტიმიზაციის კვლევის კითხვარის სტანდარტული მოდული თავსებადია ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებულ გამოკითხვებში გამოყენებულისა. კითხვარში შეტანილ შეკითხვებს უპასუხებენ ევროპის მოქალაქეებიც ვიქტიმიზაციის კვლევის განხორციელებისას, რომლის საველე სამუშაოები დაიწყო 2014-2015 წლებში.

მოსახლეობის გამოკითხვისას გამოყენებული იყო მრავალსაფეხურიანი რეპრეზენტატული შერჩევა, რომელმაც მოიცვა მთელი საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა. გამოიკითხა 16 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა პირისპირ ინტერვიუების მეთოდით (სულ 3000 რესპონდენტი). შესწავლილ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა:

1. პიროვნებისა და ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (გასული 5 წლის მონაცემებით): ავტომანქანის ქურდობა; ავტომობილის ნაწილების ან მანქანიდან ნივთების ქურდობა; ავტოვანდალიზმი; მოტოციკლის ქურდობა; ველოსიპედის ქურდობა; პირუტყვის ქურდობა; ქურდობა ბინაში შეღწევით; საცავიდან ქურდობა; გამოძალვა/შანტაჟი.
2. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (გასული 5 წლის მონაცემებით): ძარცვა/ყაჩაღობა; ქონების ქურდობა; სქესობრივი დანაშაული; თავდასხმა/ძალადობა; მომხმარებლის მოტყუება; კორუფცია; საბანკო ანგარიშის ბოროტად გამოყენება; პირადი ინფორმაციის უნებართვოდ გამოყენება.

ავტორებმა, ასევე, შეისწავლეს: დანაშაულის დონის კლების მიზეზები და ვიქტიმიზაციის დინამიკა საქართველოში; პოლიციის მუშაობის შედეგებითი ანალიზი ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში 5 დანაშაულის შეფასების საფუძველზე (1992-2012 წწ.); პერსონალური (პირადი) უსაფრთხოების აღქმა; საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემები, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემა.

## **შერჩევა**

პროექტის (დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა საქართველოში) ფარგლებში ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის შესწავლა 2012 წელს.

აღნიშნული პროექტი არის 2010-2011 წლებში ჩატარებული ანალოგიური კვლევის მესამე ტალღა.

მოსახლეობის გამოკითხვისას გამოყენებული იყო მრავალსაფეხურიანი რეპრეზენტატიული შერჩევა, რომელმაც მოიცვა მთელი საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა. გამოკითხული იყო 16 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა პირისპირ ინტერვიუების მეთოდით.

სულ გამოკითხა 3000 რესპოდენტი.

ჰოლანდიელი ექსპერტის, პროფესორ იან ვან დეიკის რეკომენდაციის საფუძველზე, თითოეულ ტალღაზე, თბილისში, დამოუკიდებლად შეირჩა 1000 რესპოდენტი, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დედაქალაქის მონაცემების შედარება ევროპული და სხვა ქვეყნების დედაქალაქების შედეგებთან.

მონაცემების ანალიზის დროს მოხდა მათი შეწონვა, რათა არ დარღვეულიყო რესპოდენტთა პროპორციული განაწილება ქვეყნისა და დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით.

## **საველე სამუშაოები**

**პირველი ტალღის** საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2010 წლის 3 აპრილიდან 15 მაისამდე. გამოკითხვაში მონაწილეობდა 100-მდე ინტერვიუერი და 10 სუპერვაიზორი.

**მეორე ტალღა** - მიმდინარეობდა 2011 წლის 4 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით. გამოკითხვაში მონაწილეობდა 100-მდე ინტერვიუერი და 10 სუპერვაიზორი.

**მესამე ტალღა** - მიმდინარეობდა 2012 წლის ჩათვლით. გამოკითხვაში მონაწილეობდა 100-მდე ინტერვიუერი და 10 სუპერვაიზორი.

## **კითხვარის აღწერა:**

პროექტში გამოყენებული ვიქტიმიზაციის კვლევის კითხვარის სტანდარტული მოდული თავსებადია ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებულ გამოკითხვებში გამოყენებულისა. კითხვარში შეტანილი შეკითხვები დაესმებათ ევროპის მოქალაქეებს ვიქტიმიზაციის კვლევის განხორციელებისას, რომლის საველე სამუშაოები დაიწყება 2014-2015 წლებში.

ქართულ კითხვარში დამატებულია სპეციალური ბლოკი, რომლის საფუძველზეც მოხდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუტებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა და სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ ზოგიერთ დანაშაულზე გათვალისწინებული სასჯელის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით თითოეულ მათგანზე ხალხისათვის მისაღები დასჯის ფორმების გამოვლენა.

გამოკითხვამ მოიცვა დანაშაული, რომლის მსხვერპლი გახდა როგორც მხოლოდ პიროვნება, ასევე პიროვნებაც და ოჯახიც.

## დეტალური ანალიზი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა და დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა.

დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა საქართველოში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმ სამართლებრივი რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც ქვეყანაში 2004 წლიდან მიმდინარეობს.

კერძოდ, ეს კვლევა ხელს შეუწყობს:

- საქართველოში დანაშაულობის შესწავლის თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების დანერგვას ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური ბაზების საერთაშორისო ბაზებთან უნიფიკაციის მიზნით.
- საქართველოში კრიმინალიზაციისა და ვიქტიმიზაციის დონის დამოუკიდებელ (არაუწყებრივ) შეფასებას, რაც სამართალდამცავი სისტემის საქმიანობის ეფექტურობის ობიექტური ინდიკატორი იქნება;
- მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებისა და საქართველოს ვიქტიმიზაციის მაჩვენებლების შედარებას ქვეყანაში უსაფრთხოების დონის შეფასებისათვის.
- საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის პოპულარიზაციას ბიზნესის, ტურიზმისა და მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით.
- დანაშაულთან ბრძოლის პროცესში საკვანძო პრობლემებისა და ხარვეზების გამოვლენას პრევენციის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებისა და მისი რეალიზაციისათვის.
- სამართალდამცავი უწყებების და სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტურობის ობიექტიურ შეფასების (რანჟირებას) საზოგადოების მხრიდან

განვითარებულ ქვეყნებში ვიქტიმიზაციის გამოკითხვის მონაცემები პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემის მიერ წარმოებული დანაშაულის სტატისტიკური ბაზისთვის შემავსებელი ინფორმაციაა.

ამ ტიპის კვლევები საშუალებას იძლევიან რომ შეფასდეს დანაშაულის მაჩვენებლები რამდენიმე პარამეტრის მიხედვით, გაანალიზდეს დაზარალებულის პოლიციასთან ურთიერთობის გამოცდილება, მართლმსაჯულების ინსტიტუტების მომსახურების ხარისხი და შეფასდეს მათი ზოგადი პროფესიონალიზმი, აგრეთვე, განხორციელდეს ვიქტიმიზაციის დონის ცვლილების მონიტორინგი და განისაზღვროს რისკ-ფაქტორები, დადგინდეს დანაშაულის ლატენტიზაციის დონე საქართველოში.

დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევის შედეგებს გააჩნია პრაქტიკული ღირებულებაც: ამ უკანასკნელის გამოყენება ეფექტურად შეიძლება დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დაგეგმვისას.

პოლიციის მიერ რეგისტრირებული დანაშაული ინფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სრულყოფილ და სანდო წყაროდ ითვლება. ცნობილია, რომ პოლიციის მიერ რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობაზე ყველა ქვეყანაში გარკვეულ გავლენას სამი ძირითადი ფაქტორი ახდენს: მოცემულ სახელმწიფოში მოქმედი სისხლის სამართლის კონონმდებლობა, მოსახლეობის მიერ პოლიციისათვის მიწოდებული ინფორმაციის მოცულობა და სრულყოფილება და პოლიციის სურვილი, მოახდინოს რეაგირება ყველა განაცხადზე.

საზოგადოდ, რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო მრავალფეროვანია და სრულყოფილი დანაშაულთა სტატისტიკური ბაზა, რომელშიც ასევე აღრიცხულია დანაშაულის აბსოლუტური მაჩვენებლები და კოეფიციენტები 100.000 მოქალაქეზე. თუმცა, ეს მონაცემები მაინც ვერ ასახავენ კონკრეტულ ქვეყანაში დანაშაულის სრულ მოცულობას. სტატისტიკური ბაზა შემდგომში დამატებით ივსება სხვა კვლევებისა და გამოკითხვების შედეგებით. შეჯერებული სტატისტიკური და ანალიტიკური მონაცემები კი გამოიყენება სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის ეფექტურობის გამოსავლენად და დანაშაულის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მეთოდების გასაუმჯობესებლად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2004 წლამდე პრაქტიკულად არ არსებობდა დანაშაულის სტრუქტურის, დინამიკისა და კოეფიციენტების ამსახველი ობიექტური სტატისტიკური მონაცემების ბაზა. კორუმპირებული სამართალდამცავი ორგანოები სხვადასხვა საშუალებით ცდილობდნენ დაემალათ დანაშაულის რეალური დონე და ხელს უშლიდნენ სამართალდარღვევის ფაქტების რეგისტრაციას. ცხადია, რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი შსს-ს მონაცემებით (მაგალითად, 2003 წელს დარეგისტრირდა 17397 დანაშაული) ხელოვნურად იყო შემცირებული და რეალობას არ შეესაბამებოდა (იხ.: ცხრილი 1).

2004 წლიდან დანაშაულის აღრიცხვისადმი მიდგომა შეიცვალა და, შესაბამისად, ამალდა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტურობა დანაშაულის აღმოჩენისა და გახსნის თვალსაზრისით, რაც სტატისტიკურ მაჩვენებლებზეც აისახა.

რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობამ 2006 წლისთვის რესპუბლიკაში 62283-ს მიაღწია, ანუ 3-ჯერ და მეტად გაიზარდა 2003 წელთან შედარებით და რეალურ მაჩვენებელს მიუახლოვდა (იხ.: ცხრილი 1). 2006-2007 წლებში, პიკის მიღწევის შემდეგ, რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობამ კლება იწყო, მაგრამ არა ციფრებით მანიპულირებისა და დანაშაულის დამალვის, არამედ საზოგადოებაში კრიმინალიზაციის დონის რეალური შემცირების საფუძველზე.

**ცხრილი #1. შსს-ს მიერ საქართველოში რეგისტრირებული დანაშაული**

დანაშაულის სახეობა	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
--------------------	------	------	------	------	------	------	------	------	------



<b>ჯამი</b>	17397	24856	43266	62283	54746	44644	35945	34739	32261
<b>მათ შორის:</b>									
მძიმე დანაშაული	10326	17833	24320	29249	13158	13028	11093	9987	9016
განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა	499	538	697	666	741	653	494	418	336
ჯამრთელობის განმრახ მძიმე დაზიანება	253	371	368	271	157	200	134	126	94
გაუპატიურება	52	62	141	167	156	100	84	82	78
ყაჩაღობა	556	1316	2087	2751	1208	2684	700	398	261
მარცვა	1013	1733	1925	2160	1615	2684	958	638	485
ქურდობა	5593	10634	16256	27657	18587	14814	11473	11371	11383
<b>მათ შორის</b>									
ქურდობა ბინაში შეღწევით	1785	1887	2998	3523	2684	2347	1860	1552	1381
ავტომობილის ქურდობა	388	260	292	611	307	267	154	117	86
პირუტყვის ქურდობა	-	-	-	783	527	544	417	417	476
თაღლითობა	483	543	674	2395	2222	1844	1761	1326	1326
ნარკოტიკებისუკა ნონო დამზადება, წარმოება, შექმნა და შენახვა,	1945	1941	2074	3542	8493	8699	6336	5465	3776
ხულიგნობა	487	706	1314	1208	858	724	524	435	455
არასრულწლოვანთა დანაშაული	617	557	755	997	674	759	575	543	533

*შენიშვნა: ცხრილში მოცემული არ არის ყველა რეგისტრირებული დანაშაულის მონაცემები.*

თბილისში, როგორც საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრში, ცხოვრობს დაახლოებით 1049498 ადამიანი, ანუ რესპუბლიკის ყოველი მეოთხე მოქალაქე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თბილისში რეგისტრირებულია ყველა ჩადენილი დანაშაულის დაახლოებით 45%. ბოლო წლებში დედაქალაქში, ისევე როგორც მთელ სახელმწიფოში, აღინიშნება ყველა სახეობის დანაშაულის მკვეთრად შემცირების ტენდენცია. 2006 წლიდან რეგისტრირებული დანაშაულის დონე შემცირდა 13755 ერთეულით (47.1%), მძიმე დანაშაულისა - 2882 ერთეულით (41.1%). განსაკუთრებით შთაბეჭდავია ისეთი მძიმე დანაშაულის რაოდენობის შემცირება, როგორცაა: ყაჩაღობა (577 ერთეულით - 75.9%), მარცვა ( 736 ერთეულით - 62.2%); მანქანის ქურდობა (179 ერთეულით - 89.7%) და თაღლითობა (781 ერთეულით - 54%).

ცხრილი #2 . შსს-ს მიერ თბილისში რეგისტრირებული დანაშაული

დანაშაულის სახეობა	2007	2008	2009	2010	2011
<b>ჯამი</b>	29219	22316	17333	15464	14901
მათ შორის:					
მძიმე დანაშაული	7196	6228	5408	4314	4111
განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა	306	243	206	165	146
სხეული მძიმე დაზიანება	80	91	59	51	38
გაუპატიურება	54	28	31	26	31
ყაჩაღობა	781	572	356	204	153
ძარცვა	1185	826	708	449	305
ქურდობა	10885	8193	6637	5586	5434
მათ შორის					
ქურდობა ბინაში შეღწევით	1504	807	853	560	514
ავტომობილის ქურდობა	222	107	76	43	43
თაღლითობა	1447	1167	1058	666	896
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა და სხვა.	4146	4989	3012	2973	1977
ხულიგნობა	411	306	240	236	253
არასრულწლოვანთა დანაშაული	243	133	106	111	121

დემოკრატიულ ქვეყნებში, დანაშაულის სტრუქტურისა და დინამიკის სრული და ობიექტური სურათის მიღების მიზნით სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მიერ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების პარალელურად იკვლევენ ვიქტიმიზაციის დონეებს ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით.<sup>1</sup> ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, უკეთ შეფასდეს კრიმინალიზაციის, ვიქტიმიზაციისა და ლატენტიზაციის დონეები და სამართალდამცავი პოლიტიკის სფეროში გამოიკვეთოს რეალური მდგომარეობა.

ევროპაში ვიქტიმიზაციის დონის კვლევა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაინერგა და მიმდინარეობს. ასეთი კვლევის ბოლო ტალღა (ICVS) 2004/2005 წლებში აღინიშნა. ამ ტიპის მცირემასშტაბიანი კვლევები საქართველოში 1992, 1996 და 2005 წლებში განხორციელდა, მაგრამ ვიქტიმიზაციის სრულყოფილი კვლევა მხოლოდ 2010/2011

<sup>1</sup> აშშ-ში ტარდება ე.წ. ეროვნული კრიმინალური ვიქტიმიზაციის გამოკითხვა (NCVS), ინგლისში - ბრიტანეთის დანაშაულის გამოკითხვა (BCS).

წლებში ჩატარდა და 2012 წელ გამოვლინდა. აღნიშნული კვლევები წინ უსწრებენ 2012-2013 წ.წ ევროკავშირის ფარგლებში დაგეგმილ ვიქტიმიზაციის გამოკითხვის მორიგ ტალღას. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში დაგეგმილ გამოკითხვაში ფართოდ იქნება გამოყენებული საქართველოში 2010-2012 წლებში ვიქტიმიზაციის კვლევის აპრობირებული მეთოდები და ინსტრუმენტები (სკრინერები და კითხვარები) და ის მეორე იქნება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, რომლის მონაცემებიც სრულფასოვნად აისახება ევროსტატისტიკის ანგარიშებში.


აღნიშნული კვლევის ფარგლებში ჩვენ შევეცადეთ შეგვედარებინა საქართველოში არსებული ვიქტიმიზაციის დონის მონაცემები ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებთან და გავვეანალიზებინა მიღებული შედეგები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მონაცემთა შედარების პროცესში გავითვალისწინეთ რამდენიმე ფაქტორი:

- კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული, რელიგიური, დემოგრაფიული და სხვა თავისებურებები;
- დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დეფინიციები მოცემულ ქვეყანაში;
- გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ დანაშაულის მსხვერპლთა რაოდენობა;
- სამართალდამცავ ორგანოებთან მოსახლეობის ურთიერთობის კულტურა, გამოკითხვის ჩატარების წელი და ა.შ.


**ვიქტიმიზაცია ცალკეული დანაშაულის მიხედვით**

დანაშაულისა და უსაფრთხოების 2012 წლების კვლევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 21 დანაშაულის მიხედვით ერთი წლის განმავლობაში საქართველოში “გასული წლის ვიქტიმიზაციის” კოეფიციენტი 9,3%-დან - 4.5%-მდე შემცირდა.

**2012 წელს ჩატარებული დანაშაულის მსხვერპლთა კვლევის მიხედვით ვიქტიმიზაციის** აბსოლუტური მაჩვენებელი ხუთი წლის განმავლობაში (2007-2011) 21 დანაშაულის მიხედვით გახლდათ 479 (16%) 3000 რესპონდენტზე რაც 36 ერთეულით ნაკლებია (16.8%) 2011კვლევის მონაცემებზე. 2010 წელს ეს მაჩვენებელი იყო 891 რესპონდენტი (29.7%). ვიქტიმიზაციის დონე შემცირდა აბსოლუტური მაჩვენებლებით 412 ერთეულით (13.7%-ით).



გრაფიკი 2. 21 დანაშაულის მიხედვით ვიქტიმიზაციის დონე (აბსოლუტური მონაცემები) საქართველოში (3000 რესპონდენტი)



2012 წელს რესპონდენტების გამოკითხვამ აჩვენა, რომ პიროვნებისა და ოჯახის და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთა ვიქტიმიზაციის დონე შემცირდა ყველა სახეობის დანაშაულის შესასწავლ ჯგუფებში.

**პიროვნებისა და ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (გასული 5 წლის მონაცემებით)<sup>2</sup>**

**ავტომანქანის ქურდობა.** 2012 წელს მონაცემებით გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენა ვინც განაცხადა რომ პლობენ სატრანსპორტო საშუალებას 2011 წლის 2010 წელთან შედარებით გაიზარდა 12.5% და შეადგინა 1190 - დე (1042). 1190 რესპონდენტიდის გამოკითხვის შედეგათ დაფიქსირდა მანქანის ქურდობის (გატაცების) 5 ფაქტი (0.4%). 2010 წელს იმავე დანაშაულს 1083-დან 12 რესპონდენტი (1.1%) ემსხვერპლა. ანუ ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე 7 ერთეულით (0.7%-ით) შემცირდა. 2011 წელს დაფიქსირდა ხუთივე ფაქტი. ამ მონახემებთან დაკავშირებით აღსანიშნავია რომ 2011 წელს ერთმა რესპონდენტმა განაცხადა რომ ოთხჯერ გახდა ავტომობილის გატაცების მსხვერპლი. ეს მონაცემები აშკარა დისონანსში შედიან სხვა მონაცემებთან და უფრო გაუგებრობას ან უზუსტობას შეიძლება იქნას დაკავშირებული. ავტომობილის ქურდობის ერთეული ერთეული დაფიქსირდა თბილისში და ერთი რეგიონებში. მოპარული მანქანა ხუთიდან სამ შემთხვევაში დაუბრუნდა მფლობელს.

<sup>2</sup> შემთხვევათა მცირე რაოდენობის გამო, ზოგიერთი დანაშაული არ იქნა განხილული, როგორცაცაა: ბინაში შეღწევის მცდელობა, საცავში და სადგომში შეღწევით ქურდობის მცდელობა; უძრავი ან სხვა ქონების განადგურება/ვანდალიზმი.

**ავტომობილის ნაწილების ან მანქანიდან ნივთების ქურდობა.** 2011 წელს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი 1190 რესპონდენტიდან აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლი გახდა 36 პირი (3.0%). 2010 წელს გამოკითხულ 1083 რესპონდენტს შორის იმავე დანაშაულს ემსხვერპლა 79 ადამიანი (7.3%), ანუ ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე შემცირდა 43 ერთეულით (4.3%). ქურდობის შემთხვევათა 20 ერთეული (55%) მოხდა დიდ ქალაქებში (45000+) აქედან თბილისში 17 (47%), 5 (13%) - პატარა ქალაქებში (45000-) 11 (30%) კი - სოფლებში.

მანქანებიდან მოიპარეს 7 ერთეული სხვა ნივთი და 28 მანქანის ნაწილი. 2011 წელს მანქანიდან იქნა მოპარული შემდეგი ნივთები: ავტონაწილები - 28% (2010 წელს - 50.7%), სარკეები - 12% (48%), რადიო - 8% (26.7%) და სხვა. ამ მონაცემებიან გამომდინარე მანქანებიდან კურდობამ როგორც ერთერთმა ყველაზე გავცელებულმა ანგარებითმა დანასაულმა განიცადა სერიოზული კლება.

**ავტოვანდალიზმი.** 2012 წელს ავტომობილის მფლობელი 1042 რესპონდენტიდან მოცემული დანაშაულის მსხვერპლი 14 ერთეული 9 ადამიანი 1.2 (0.9%) გახდა. 2011 წლის მონაცემებთან შედარებით ეს მაკვენებელი გაიზარდა 5 ერთეულით. მაგრამ იმის გათვალისწინებით რომ 2012 რესპონდენტების რაოდენობა ვინც ფლობს ავტორ გაიზარდა 1190 პირამდე (2011 წელს იყო 1042) პროცენტული ზრდა არის მინიმალური (დაახლოებით 0.2%)

**მოტოციკლის ქურდობა.** 2012 წელს მოტოციკლის მფლობელი 24 რესპონდენტიდან აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების ქურდობის მსხვერპლი გახდა 1 (5.5%)

**ველოსიპედის ქურდობა.** 2012 წელს ველოსიპედის მფლობელი 537 რესპონდენტიდან აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება 13 7 მათგანს (2.4%) მოჰპარეს. 2011 წელს 448 რესპონდენტიდან ანალოგიური დანაშაულის მსხვერპლი 7 პირი (1.5%) აღმოჩნდა, ანუ ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე 6 ერთეულით (0.9%) მოიმატა. ეს გამოწვეულია ველოსიპედების რიცხვის ზრდით (ბოლო წელს 16.6%) და პოპულარობის ზრდით განსაკუთრებით ახალგაზრდებში.

**პირუტყვის ქურდობა.** 2012 წელს 1190 გამოკითხულიდან აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლი 39 პირი ( 3.3%) გახდა. 2011 წელს 1091 რესპონდენტიდან იმავე დანაშაულის მსხვერპლი 48 ადამიანი (4.4%) აღმოჩნდა. შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე დაახლოებით 9 ერთეულით (1.1%) შემცირდა იმის მიუხედავად რომ პირუტყვის საერთო რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 11%.

**ქურდობა ბინაში შეღწევით.** 2012 წელს 3000 გამოკითხულიდან ბინაში შეღწევით ქურდობის მსხვერპლი 48 ადამიანი (1.6%) გახდა. 2011 წელს იმდენივე გამოკითხულიდან (3000) მსგავსი ზიანი 65 მათგანს (2.2%) მიადგა, ანუ ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე 17 ერთეულით (0.6%) შემცირდა. მოპარულ ქონებას შორის საყოფაცხოვრებო ტექნიკამ 42.4% (2011 წელს - 47.9%) შეადგინა, ნაღდმა ფულმა - 21.0% (18.2%), ძვირფასეულობამ - 22.7% (19.4%), ტანსაცმელმა - 17.0% (27.9%) და ა.შ. გატაცებული ნივთების შორის ბოლო წელს გაიზარდა ნაღდი ფულის და ძვირფასეულობის წვლილი რაც ირიბათ მიუთითებს ერთ მხრივ დაზარალებულთა მატერიალური დონის ზრდაზე და მეორე მხრივ იმაზე რომ მოსახლეობა ბოლომდე არ ენდომა ბანკებს და ინახავს ფულს და ძვირფასეულობას სახლში.

**საცავიდან ქურდობა.** 2012 წელს 3000 რესპონდენტიდან მოცემული დანაშაულის მსხვერპლი 53 42 მათგანი (1.8%) გახდა. 2011 წელს იმავე ოდენობის გამოკითხულთაგან

(3000) იზარალა 42 -მა ადამიანმა (1.4%). შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე გაიზარდა 11 ერთეულით (0.4%).

**გამოძალვა/შანტაჟი.** 2011 წელს 3000 რესპონდენტიდან 7 მათგანი (0.2%) გახდა აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლი. 2011 წელს 3000 გამოკითხულიდან ანალოგიური დანაშაულით ზიანი მიადგა 9 ადამიანს (0.3%). ე.ი. ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე 1 ერთეულით (0.1%) გაიზარდა.

### **პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (გასული 5 წლის მონაცემებით)**

**ძარცვა/ყაჩაღობა.** 2012 წელს 3000 რესპონდენტიდან ძარცვა/ყაჩაღობის მსხვერპლად 7 ადამიანი (0.2%) იქცა. 2011 წელს კი იმავე რაოდენობის გამოკითხულთაგან (3000) 13 პირი (0.4%) დაზარალდა, ანუ ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე დაახლოებით 6 ერთეულით (0.2%) შემცირდა.

**პირადი ქონების ქურდობა.** 2012 წელს 3000 რესპონდენტიდან პირადი ქონება 27 მათგანს (0.9%) მოჰპარეს. 2010 წელს იმავე რაოდენობის გამოკითხულთაგან (3000) მსგავსი ფაქტი 30 -მა ადამიანმა (1.0%) დააფიქსირა, ე.ი. ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე დაახლოებით დარჩა უცვლელი რაც მეტყველებს იმაზე რომ მოხდა დანაშაულის რაოდენობის სტაბილიზაცია ძალიან დაბალ დონეზე. ქურდობა მიეკუთვნება ე.წ. პროფესიულ (ორგანიზებულ) დანაშაულობის სახეობას და მისი რიცხოვრივი შემცირება და სტაბილიზაცია ნიშნავს ზოგადად კრიმინალური გარემოს გაჯანსაღებას.

**სქესობრივი დანაშაული.** 2012 წელს გამოკითხული 3000 პირიდან 2(0.1%) გახდა ამგვარი ძალადობის მსხვერპლი. 2011 წელს 3000 რესპონდენტიდან ასევე 3 პირი (0.1%) დაზარალდა, ანუ ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე არ შეცვლილა. 12 04

**თავდასხმა/ძალადობა.** 2012 წელს 3000 რესპონდენტიდან მოცემული დანაშაულის მსხვერპლი 12 ადამიანი (0.4%) გახდა. 2011 წელს იმავე რაოდენობის რესპოდენტთაგან (3000) 21 (0.7%) დაზარალდა. შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე შემცირდა 9 ერთეულით (0.3%)

**მომხმარებლის მოტყუება.** 2011 წელს 3000 გამოკითხულიდან 147 ადამიანმა (4.9%) დაადასტურა, რომ ის მოატყუეს, როგორც მომხმარებელი. 2011 წელს 3000 რესპონდენტიდან მსგავსი დანაშაულის მსხვერპლად 129 მათგანი (4.4%) იქცა, ანუ ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე 18 ერთეულით (0.5%) გაიზარდა.

**კორუფცია.** 2012 წელს 3000 რესპონდენტიდან მოცემული დანაშაულის მსხვერპლი 7 პირი (0.2%) გახდა. 2011 წელს რესპონდენტთა იმავე რაოდენობიდან (3000) 15-მა იზარალა (0.5%), ე.ი. ერთი წლის განმავლობაში ვიქტიმიზაციის დონე პრაქტიკულად შეცვლილა 8 ერთეულით (0.3%)

**საბანკო ანგარიშის ბოროტად გამოყენება.** 2012 წლის 911 რესპონდენტიდან ვინც განაცხადა რომ იყევებს საბანკო კარდებს 4 (0.4%) დაადასტურა საბანკო ანგარიშის ბოროტად გამოყენება. 2011 წელს კვლევამ აღნიშნული დანაშაულის მხოლოდ ერთი ფაქტი გამოავლინა და 2010 წელს კი - 2 ფაქტი.

**პირადი ინფორმაციის უნებართვოდ გამოყენება.** 2012 წელს რესპონდენტებმა დააფიქსირეს 5 ფაქტი (0.2%) 2011 წელს, 2011წლის კვლევაში მოცემული დანაშაულის მხოლოდ 2 ფაქტი დაფიქსირდა.

პიროვნებისა და პიროვნების და ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ შემცირდა

ვიქტიმიზაციის დონე, და აშკარად გამოიკვეთა კრიმინოლოგიური მაჩვენებლების სტაბილიზაცია რაც მიუთითებს კრიმინალური ვითარების ზოგად გაჯანსაღებაზე საქართველოში.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა გამოკითხვით მიღებული შედეგები არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც აბსოლუტურად სანდო და მეცნიერულად დასაბუთებული მონაცემები, იმდენად, რამდენადაც ვიქტიმიზაციის გამოვლენილი ფაქტების ერთობლიობა არაა საკმარისი სტატისტიკური კანონზომიერებების, დეტალური შედარებითი ანალიზისა და მკაფიო პროგნოზული შეფასებებისთვის, თუმცა კვლევის შედეგები უდავოდ ადასტურებენ საქართველოში დანაშაულობის შემცირების ზოგად ტენდენციას. აღნიშნული ტენდენცია დასტურდება საქართველოს შსს-ს სტატისტიკის მონაცემებითაც (იხ.: ცხრილი 1).

**ცხრილი #3. ვიქტიმიზაციის პროცენტული მაჩვენებელი 21 დანაშაულის მიხედვით**

	5 წლის ვიქტიმიზაცია	5 წლის ვიქტიმიზაცია	2010 წლის ვიქტიმიზაცია	5 წლის ვიქტიმიზაცია	2011 წლის ვიქტიმიზაცია
მოტოციკლის ქურდობა	2.8	4.5	0.0	0.8	0.00
პირუტყვის ქურდობა	7.6	4.4	0.4	3.3	1.6
ავტოდან ნაწილების ან ნივთების ქურდობა	7.3	3.6	0.3	3.0	1.0
ქურდობა ბინაში შეღწევით	2.7	2.2	0.5	1.6	0.3
ქურდობა სადგომში ან საცავში შეღწევით	2.4	1.4	0.6	1.8	0.4
უძრავი ან სხვა ქონების ვანდალიზმი	1.7	1.1	0.2	1.1	0.2
ავტოს ვანდალიზმი	1.7	0.9	0.2	1.2	0.4
ბინაში შეღწევის მცდელობა	1.2	0.7	0.1	0.5	0.1
ველოსიპედის ქურდობა	1.5	0.5	0.2	2.4	0.6
ავტოს ქურდობა	1.1	0.4	0.00	0.4	0.1
გამომალვა/შანტაჟი	0.2	0.3	0.1	0.3	0.1
სადგომში ან საცავში შეღწევით ქურდობის ჩადენის მცდელობა	0.4	0.2	0.3	0.3	0.1
მომხმარებლის მოტყუება	10.2	4.4	2.6	4.9	2.2
სხვა პირადი ქონების ქურდობა	2.1	1.0	0.2	0.9	0.2
თავდასხმა/ძალადობა	0.6	0.7	0.3	0.4	0.2
კორუფცია	0.5	0.5	0.2	0.2	0.1
ძარცვა/ყაჩაღობა	0.6	0.4	0.2	0.4	0.00
ძალადობის მუქარა	0.5	0.4	0.2	0.3	0.2
პირადი საბანკო ანგარიშის ზოროტად გამოყენება სხვის	0.4	0.2	0.00	0.4	0.2



	5 წლის ვიქტიმიზაცია	5 წლის ვიქტიმიზაცია	2010 წლის ვიქტიმიზაცია	5 წლის ვიქტიმიზაცია	2011 წლის ვიქტიმიზაცია
<b>მიერ</b>					
სქესობრივი დანაშაული	0.1	0.1	0.2	0.1	0.00
პირადი ინფორმაციის უნებართვოდ გამოყენება	0.1	0.1	0.00	0.1	0.1
<b>ჯამური მაჩვენებელი<sup>3</sup></b>	<b>29.70%</b>	<b>16.8%</b>	<b>5.5%</b>	<b>16.0%</b>	<b>4.5%</b>

განმეორებითი ვიქტიმიზაციის მაჩვენებლები

### განმეორებითი ვიქტიმიზაციის დახასიათება საქართველოში

განმეორებითი ვიქტიმიზაცია, რომელიც სერიოზულ ზეგავლენას ახდენს დანაშაულობათა დონის ზრდაზე, კრიმინოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი სფეროა. როგორც წესი, დანაშაულს განმეორებით სჩადიან ან ერთი და იგივე პირები, ან დანაშაულის მსხვერპლი იგივე დაზარალებულია. განმეორებითი ვიქტიმიზაციის მიზეზებისა და გამომწვევი ფაქტორების ცოდნა დაეხმარება პოლიციას, გამოავლინოს და აღმოფხვრას განმეორებით დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებები ან მოახდინოს მათი პრევენცია.

### განმეორებითი ვიქტიმიზაციის მიზეზები

განმეორებითი და მრავლობითი ვიქტიმიზაციის მიზეზებს გააჩნიათ მსგავსი ნიშნები, რომლებიც ხელსუწყობენ პიროვნული და პიროვნული და ოჯახური ვიქტიმიზაციის აღმოცენებას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ვიქტიმიზაციის პროგნოზირებისთვის საუკეთესო საფუძველი წინა ვიქტიმიზაციის გაანალიზებაა. ყოველი შემდგომი ვიქტიმიზაციის ფაქტი ზრდის მორიგი ვიქტიმიზაციის შესაძლებლობას. ზოგჯერ ეს კანონზომიერება განპირობებულია იმით, რომ მსხვერპლი ვერ ეწინააღმდეგება ძალადობას ან საკუთარი უფლებების ხელყოფას და დამნაშავისთვის იოლ ნადავლად იქცევა (მაგალითად, ქმარი სისტემატურად აყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას ცოლს, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ეწინააღმდეგება ამ ძალადობას). განმეორებით ვიქტიმიზაციას ხელს უწყობს აგრეთვე წინა დანაშაულის წარმატებით განხორციელება. ყოველი მორიგი ვიქტიმიზაცია ნაკლებ რისკთანაა დაკავშირებული და ხშირად იმეორებს წინა ვიქტიმიზაციის ობიექტურ მხარეს. დანაშაულის და უსაფრთხოების კვლევამ გვიჩვენა, რომ განმეორებით ვიქტიმიზაციას აქვს იგივე მახასიათებლები, რაც ცალკეულ ვიქტიმიზაციას. მამაკაცები უფრო ხშირად არიან განმეორებითი ვიქტიმიზაციის მსხვერპლნი, ვიდრე ქალები. გამონაკლისია საყოფაცხოვრებო ძალადობა, რომლის მსხვერპლნი, როგორც წესი, ქალბატონები არიან.

<sup>3</sup>ჯამური მაჩვენებელი ასახავს ვიქტიმიზაციის რეალურ დონეს - იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც გახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი.




მეცნიერულ თეორიებში ვიქტიმიზაცია, განსაკუთრებით კი მისი განმეორებითი და მრავლობითი ფორმები აიხსნება დაზარალებული პიროვნების თავისებურებებით, ანუ ე.წ. "მსხვერპლის ფენომენით". განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც განაპირობებენ პიროვნების გაზრდილ ვიქტიმურობას. ასეთი ფაქტორებია:

- ე. წ. ასოციალური ჯგუფების განსაზღვრული პროფესიული საქმიანობა. ასეთი ჯგუფებს შეადგენენ მეძავეები, ნარკომანები, მაწანწალები;
- სისტემატური ფიზიკური შეურაცხყოფა და ძალადობის სხვა ფორმები ოჯახებში;
- დაზარალებულთა პიროვნული თავისებურებები, როგორცაა: გონებრივი ჩამორჩენილობა, აგრესიულობა, ასაკი და ა.შ.

დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევამ საქართველოში აჩვენა რომ დაზარალებულების გარკვეული ნაწილი განმეორებითი და მრავლობითი დანაშაულის მსხვერპლია.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების 13,3%-მა აღნიშნა, რომ ემსხვერპლა ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ დანაშაულს არა მარტო წინა წელს, არამედ უფრო ადრეც, განვლილი 5 წლის განმავლობაში; რესპონდენტთა 11% ერთხელ გახდა დანაშაულის მხვერპლი; 1.6% - ორჯერ, 0.5%-სამჯერ; 0,1% კი ოთხჯერ და მეტჯერ.

განმეორებითი ტიპის დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ უფრო გავრცელებულია (26.4%), ვიდრე განმეორებითი ტიპის დანაშაული პიროვნების და ოჯახის წინააღმდეგ წინააღმდეგ 17.2% (იხ.: გრაფიკი 3)



განმეორებითი ვიქტიმიზაციის დონე საქართველოში შედარებით დაბალია და საშუალოდ 21,9%-ს შეადგენს, რაც 22,1%-ით ნაკლებია ინდუსტრიულ ქვეყნებში დაფიქსირებულ საშუალო დონეზე (43%)<sup>4</sup> (იხ.: გრაფიკი 3ა).

<sup>4</sup>[https://dspace.lboro.ac.uk/dspace-jspui/bitstream/2134/780/1/05\\_rv\\_ICVS\\_NCVS.pdf](https://dspace.lboro.ac.uk/dspace-jspui/bitstream/2134/780/1/05_rv_ICVS_NCVS.pdf)

**გრაფიკი 3ა. განმეორებითი ვიქტიმიზაციის შედარებითი ანალიზი საქართველოში და 16 ინდუსტრიულ ქვეყანაში**

რესპონდენტებს შეეკითხნენ, თუ რამდენჯერ იყვნენ ისინი დანაშაულის მსხვერპლნი 2009 და 2010 წლებში. დაზა

რალეულთა ერთმა ნაწილმა დაადასტურა, რომ იყო განმეორებითი ვიქტიმიზაციის მსხვერპლი. განმეორებითი ვიქტიმიზაციის ფაქტების უმეტესობა ეხებოდა ძალადობის მუქარას, რომელიც ორჯერ მოხდა 33.8%-ში და სამჯერ და მეტჯერ 66.2% შემთხვევაში; აგრეთვე, მომხმარებელი მოატყუეს ორჯერ 16.4%- და სამჯერ და მეტჯერ 47.1% შემთხვევაში. (იხ.: ცხრილი 4)

**ცხრილი #4. განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი საქართველოში 2009-2011**

	ერთხელ			ერჯერ			სამჯერ და მეტჯერ		
	2009	2010	2011	2009	2010	2011	2009	2010	2011
<b>პირადი და ოჯახის გამოცდილება</b>									
სატრანსპორტო საშუალების ქურდობა	100.0%	0.0%	49.9%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	50.1%
სატრანსპორტო საშუალებიდან მისი ნაწილების ან ნივთების ქურდობა	84.8%	92.4%	93.5%	15.2%	7.6%	0.0%	0.0%	0.0%	6.5%
სატრანსპორტო საშუალების დაზიანება/განადგურება ან ვანდალიზმი	93.3%	85.9%	87.8%	0.0%	0.0%	0.0%	6.7%	14.1%	12.2%
მოტოციკლეთის, სკუტერის ან მოპედის ქურდობა	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ველოსიპედის ქურდობა	100.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	100.0%	100.0%
პირუტყვის ქურდობა	68.4%	76.3%	7.6%	13.2%	23.7%	7.6%	18.4%	0.0%	4.6%
ქურდობა ბინაში შეღწევით	77.4%	65.2%	94.0%*	16.6%	18.7%	0.0%	6.0%	6.8%	0.0%
სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით ჩადენილი ქურდობა	88.0%	86.6%	83.0%	3.8%	5.5%	0.0%	8.2%	7.9%	17.0%
ბინაში შეღწევის მცდელობა	86.6%	76.9%	63.0%*	0.0%	23.1%	20.3%	13.4%	0.0%	0.0%
სადგომში (საცავში) შეღწევით ჩადენილი ქურდობის მცდელობა	100.0%	100.0%	100%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
უპრავი ან სხვა ქონების დაზიანება / განადგურება ან ვანდალიზმი	68.0%	90.6%	42.3%	15.0%	0.0%	0.0%	17.0%	9.4%	57.7%
გამოძალვა/შანტაჟი	100.0%	100.0%	39.8%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	60.2%
საშუალო ჯამური	80.5%	64.5%	63.4%	5.3%	6.4%	2.4%	5.7%	11.6%	25.1%
	<b>ერთჯერ</b>			<b>ორჯერ</b>			<b>სამჯერ და მეტჯერ</b>		
<b>პირადიგამოცდილება</b>	<b>2009</b>	<b>2010</b>	<b>2011</b>	<b>2009</b>	<b>2010</b>	<b>2011</b>	<b>2009</b>	<b>2010</b>	<b>2011</b>
მარცვა/ყაჩაღობა	81.5%	100.0%	100%	18.5%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
სხვა პირადი ქონების ქურდობა	76.6%	100.0%	100%	19.1%	0.0%	0.0%	4.3%	0.0%	0.0%
სექსუალური დანაშაული	0.0%	100.0%	100%	100.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
თავდასხმა/ძალადობა	100.0%	85.5%	41.6%	0.0%	12.5%	0.0%	0.0%	14.5%	34.2%


ძალადობის მუქარა	64.5%	0.0%	40.6%	23.1%	33.8%	6.3%	12.4%	66.2%	54.1%
მომხმარებლის მოტყუება	34.0%	36.5%	19.2%	15.5%	16.4%	5.7%	50.5%	47.1%	47.6%
პირადი საბანკო ანგარიშის ბოროტად გამოყენება სხვის მიერ	100.0%	0.0%	100%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
პირადი ინფორმაციის გამოყენება უნებართვოდ	0.0%	0.0%	100%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
კორუფცია	44.9%	92.7%	0.0%	42.1%	0.0%	0.0%	13.0%	7.3%	100%
საშუალო ჯამური	55.8%	57.2%	44.6%	24.3%	7.0%	1.6%	8.9%	15%	26.2%

\* რესპონდენტს არ ახსოვს

**ვიქტიმიზაციის განმეორებითი მაჩვენებლები პიროვნებისა და ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევებში**

პიროვნებისა და ოჯახის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის განმეორებითი ვიქტიმიზაცია გამოიხატა: უძრავი ან სხვა ქონების დაზიანება / განადგურება ან ვანდალიზმში (57.7%) გამოძალვა/შანტაჟში (60.2%), მანქანის ქურდობაში (50.1%) სატრანსპორტო საშუალების დაზიანება/განადგურება ან ვანდალიზმში (12.2%) სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით ჩადენილი ქურდობაში (17%)


**გრაფიკი #4. ვიქტიმიზაციის განმეორებითი მაჩვენებლები პიროვნებისა და ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში(2011)**



**ვიქტიმიზაციის განმეორებითი მაჩვენებლები პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევებში**

პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის განმეორებითი ვიქტიმიზაცია გამოიხატა ძალადობის მუქარაში (100%); მომხმარებლის მოტყუებაში (63.5%); თავდასხმა/ძალადობასა (14.5%) და კორუფციაში (7.3%);

**გრაფიკი #5. ვიქტიმიზაციის განმეორებითი მაჩვენებლები პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში (2011)**



**ვიქტიმიზაციის დინამიკა საქართველოში (1992-2012)**

როდესაც ვიხილავთ ვიქტიმიზაციის პრობლემას საქართველოში, აუცილებელია ჩავატაროთ ვიქტიმიზაციის დონის შედარებითი ანალიზი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ვიქტიმიზაციის კვლევები, რომლებიც ჩატარა „გორბი“-მ 1992 და 1996 წლებში, საშუალებას იძლევა შეიქმნას პიროვნებისა და ოჯახის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დინამიკის რეტროსპექტური სურათი.

მოცემული ცხრილის მიხედვით, ვიქტიმიზაციის დონე 1992 და 1996 წლებთან შედარებით 2011 წელს პრაქტიკულად ყველა დანაშაულის მიხედვით შემცირდა საშუალოდ 5-დან - 15-ჯერ (ბოლო ხუთი წლის მაჩვენებლებით).

**ცხრილი #5 -ვიქტიმიზაციის დონის მაჩვენებელი 1992-2012 წწ.**

	ბოლო 5 წ.	გასული 1 წ.	ბოლო 5 წ.	გასული 1 წ.	ბოლო 5 წ.	გასული 1 წ.	ბოლო 5 წ.	გასული 1 წ.	ბოლო 5 წ.	გასული 1 წ.
	1992		1996		2010		2011		2012	
ავტოს ქურდობა	15.4	6.3	16.8	3.3	1.1	0.02	0.4	0.0	0.4	0.4
ავტოდან ნივთების ქურდობა	31.1	10.8	34.7	10.7	7.27	0.8	3.6	0.3	3.0	0.6
ავტოს ვანდალიზმი	14.5	4.1	5.1	1.7	1.7	0.3	0.9	0.2	1.2	0.5
ქურდობა ბინაში შეღწევით	9.9	2.5	13.8	3.6	2.7	0.5	2.2	0.5	1.6	0.3
ბინაში შეღწევის მცდელობა	8.2	2.1	9.7	3	1.2	0.1	0.7	0.1	0.5	0.1
მარცვა/ყაჩაღობა	5.8	1.8	7.2	2.5	0.6	0.2	0.4	0.2	0.2	0.0
სხვა პირადი ქონების ქურდობა	13.4	3.5	19.1	6.5	2.1	0.8	1.0	0.2	0.9	0.2

თავდასხმა/მუქარა*	5.3	0.6	7.9	3.2	1.1	0.18	1.1	0.5	0.4	0.1
-------------------	-----	-----	-----	-----	-----	------	-----	-----	-----	-----


როგორც ცხრილიდან ჩანს, მანქანიდან ნივთების ან ნაწილების ქურდობის ვიქტიმიზაციის დონე 1992 წელთან (31.1%) შედარებით 2011 წელს (3.6%) შემცირდა დაახლოებით 9-ჯერ.

თუ დავაკვირდებით დანაშაულის დონის ევოლუციას მოცემულ წლებში, ვნახავთ, რომ რამდენიმე სახეობის დანაშაულის პროცენტულმა მაჩვენებელმა 1992 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად დაიკლო. მაგალითად, 1992 წელს ავტომობილის მფლობელების 6.3%-მა განაცხადა, რომ გასული წლის განმავლობაში მათი კუთვნილი ავტომობილი მოიპარეს ან უნებართვოდ წაიყვანეს; 1996 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 3.3%-მდე, ხოლო 2010 წელს ავტომფლობელების მხოლოდ 0.02%-მა განაცხადა, რომ დაზარალდა გასული წლის განმავლობაში. 2011 წლის გამოკითხვაში არ დაფიქსირდა გასულ წელს მანქანის ქურდობივ არც-ერთი ფაქტი.

ვიქტიმიზაციის დონემ სხვადასხვა ტიპის ქურდობის მიხედვით 1992 შეადგინა 3.5%, 1996 – 6.5%, ანუ გაიზარდა პრაქტიკულად 2-ჯერ. 2010 წელს ეს დონე გახლდათ 0.8%, მასადაამე, შემცირდა 7.8- ჯერ.

დაახლოებით ასეთივე პროპორციებია შენარჩუნებული მომდევნო 5-წლიან მონაკვეთებში: 1988-1992, 1992-1996 და 2006-2010, ანუ ვიქტიმიზაციის დონე 2006-2010 წლებში არის დაახლოებით 5-10-ჯერ ნაკლები, ვიდრე გასული საუკუნის 90-იან წლებში.

#### გრაფიკი #6. ვიქტიმაზაციის საშუალო დონე საქართველოში 1993-2012 წლებში




*შედარებულია 1992-2011წწ პერიოდში გამოკვლეული მხოლოდ 8 დანაშაული.*

\* საქართველოში 2010-2011 წლების კვლევაში კითხვა თავდასხმაზე და მუქარაზე ცალ-ცალკე არის დასმული. ცხრილში მოცემული მონაცემები არის ორივე კითხვის ჯამი.


მაჩვენებლებში ასახულ დიდ სხვაობებს თავისი მეცნიერული ახსნა აქვს და უკავშირდება მრავალ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორს. ეს ფაქტორებია:

1. საბჭოთა კავშირის დაშლა და კომუნისტური რეჟიმის ცენტრალიზებული მმართველობის დასრულება;
2. კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში;
3. 1990 – 1992 წლების სამოქალაქო ომი საქართველოში;
4. 90-იანი წლების ეკონომიკური კოლაფსი;
5. დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზა;
6. კორუმპირებული სამართალდამცავი სისტემა;
7. განუკითხაობა და ქაოსი, რომელიც კრიმინოლოგიაში „ანომიად“ მოიხსენიება.

გრაფიკი #7. ვიქტიმიზაცია. გასული 1 წელი (1992-2011 წწ. მონაცემების შედარება)



გრაფიკი #8. ვიქტიმიზაცია. გასული 5 წელი (1992-2011 წწ. მონაცემების შედარება)



ზოგიერთი დანაშაულის მიხედვით 2005<sup>5</sup> და 2011 წლების ვიქტიმიზაციის შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში მოხდა რადიკალური ცვლილება ვიქტიმიზაციის დონის კლების სასარგებლოდ. ასე, მაგალითად, მანქანების ქურდობის მიხედვით ვიქტიმიზაციის დონემ იკლო 1,8%-დან 0,0%-მდე, გასულ წელს 2010-ში არ დაფიქსირებულა სატრანსპორტო საშუალების ქურდობის ფაქტი; ავტომანქანიდან ნივთების ან ნაწილების ქურდობის მიხედვით ვიქტიმიზაცია შემცირდა - 9,2%-დან 0,3%-მდე, ანუ დაახლოებით 30.7-ჯერ; ბინიდან ქურდობის მიხედვით - 7,1%-დან 0,5 %-მდე (დაახლოებით 14-ჯერ); მარცვა/დაყაჩაღების მიხედვით - 1,1%-დან 0,2 %-მდე (5.5-ჯერ); სხვა პირადი ქონების ქურდობის მიხედვით - 2,8-დან 0,2 %-მდე (14 -ჯერ), ასევე შემცირდა თავდასხმის და ძალადობის მუქარის მაჩვენებელი - 1,2%-დან 0,5 %-მდე (2.4 -ჯერ) (იხ.:ცხრილი 6).

**ცხრილი #7 -ვიქტიმიზაციის მაჩვენებლები ზოგიერთი დანაშაულის მიხედვით**

დანაშაული	მესაკუთრე ბა (დაახ)		არ ყოფილა ვიქტიმიზებულ		გასული 5 წლის ვიქ-ცია		გასული წლის (2009) ვიქ-ცია		გასული წლის (2010) ვიქ-ცია		გასული წლის (2005) ვიქ-ცია**	საშუალო ICVS
	2010	2011	2010	2011	2010	2011	2010	2011	2010	2011		2004
ავტომობილის ქურდობა	36,1	35,0	98,9	99,6	1,1	0,4	0,02	0,0	1,8	0,8		
ავტომობილიდან ნაწილების ან ნივთების ქურდობა	36,1	35,0	92,7	96,4	7,3	3,6	0,80	0,3	9,2	3,6		
მოტოციკლის ქურდობა	1,6	1,2	97,2	95,5	2,8	4,5	0,00	0,0	-	0,3		
ველოსიპედის ქურდობა	14,9	9,0	98,5	99,5	1,5	0,5	0,06	0,0	-	2,9		
ქურდობა ბინაში შეღწევით			97,3	97,8	2,7	2,2	0,51	0,5	7,1	1,8		

<sup>5</sup>Team consult (2006). *Crime victimisation, Fear of Crime, Fraud, Corruption & Policing. Based on a nation-wide public survey, with a focus on four districts of the Samegrelo Region.* Tbilisi - Geneva, Author.



მარცვა/ყაჩაღობა	99,4	99,5	0,6	0,4	0,19	0,2	1,1	1
სხვა პირადი ქონების ქურდობა	97,9	99,0	2,1	1,0	0,83	0,2	2,8	3,8
სქესობრივი დანაშაული	99,9	99,9	0,09	0,1	0,04	0,0		0,8
თავდასხმა და ძალადობის მუქარა*	98,9	98,9	1,1	1,1	0,18	0,5	1,2	3,8*
მომხმარებლის მოტყუება	89,9	95,6	10,2	4,4	5,08	2,6	-	11
კორუფცია	99,5	99,5	0,5	0,5	0,2	0,2	-	2

\*თავდასხმა/ძალადობა და ძალადობის მუქარა დაჯამებულია

\*\*ვიქტიმიზაციის კვლევა საქართველოში, 2005

### ვიქტიმიზაციის დონე რეგიონების მიხედვით

კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში ვიქტიმიზაციის დონის დადგენას რეგიონების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ამკარად იკვეთება ეთნიკური, დემოგრაფიული, გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური და კლიმატური განსხვავებები რეგიონებს შორის, რაც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებს კრიმინალიზაციისა და, შესაბამისად, ვიქტიმიზაციის დონეებზე.

როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, ვიქტიმიზაციის საშუალო დონემ საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგინა 16,8%. (იხ.: ცხრილი 7).

დასახლებული პუნქტის სიდიდის მიხედვით ვიქტიმიზაციის ანალიზის შედეგები სავსებით ლოგიკური აღმოჩნდა: ის მაღალია ქალაქის ტიპის აგლომერაციებში 45000-ზე მეტი მოსახლეობით (25.1%) და - შედარებით დაბალი სოფლის ტიპის დასახლებებში (13%). 2011 წელს ვიქტიმიზაციის დონე რეგიონების მიხედვით 2.5%-სა და 30.9% პროცენტს შორის მერყეობს დაახლოებით ექვსჯერადი განსხვავებით.

კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თბილისს როგორც რეგისტრირებული დანაშაულის, ასევე ვიქტიმიზაციის დონის მიხედვით. 2011 წლის დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა გვაჩვენებს, რომ თბილისში (ბოლო 5 წლის განმავლობაში 21 დანაშაულის მიხედვით) დაფიქსირდა 310 ვიქტიმიზაციის ფაქტი. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, 1000 რესპონდენტიდან დაახლოებით ყოველი მესამე გახდა ვიქტიმიზაციის მსხვერპლი. იმავე კვლევაში (10 დანაშაულის მიხედვით 5 წლის პერიოდში) ვიქტიმიზაციის 131 ფაქტი აღინიშნა თბილისში - 13.1%. 2011 წლის კვლევის შედეგებით საქართველოს რეგიონებში 2010 წლის მონაცემებთან შედარებით (21 დანაშაულის მიხედვით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში) დაფიქსირდა ვიქტიმიზაციის დონის სერიოზული შემცირება. რეგიონების მიხედვით ვიქტიმიზაცია ყველაზე მეტად შემცირდა 2011 წელს იმერეთი/რაჭა/სვანეთში 34.1%-დან 14.4%-მდე, შიდა ქართლში 43.8%-დან 21.8%-მდე; სამეგრელოში 27.7%-დან 11.1%-მდე.

ვიქტიმიზაციის შედარებით მაღალი დონე 32.6% დააფიქსირდა გამოკითხულ დევნილ რესპონდენტთა შორის (ვინც არ ცხოვრობს კომპაკტურად დასახლებულ ტერიტორიებზე) რაც ორჯერ უფრო მაღალია ვიდრე არადევნილ რესპონდენტთა შორის 16.3%. 2010 წლის მონაცემებთან შედარებით დევნილთა ვიქტიმიზაციის დონე შემცირდა 9.2%, დევნილთა შორის ვიქტიმიზაციის მაღალი მაჩვენებლები განპირობებულია ასეთი ობიექტური ფაქტორებით როგორც არის დაბალი სოციალური სტატუსი, მატერიალური პრობლემები, მუდმივი საცხოვერებლის არქონა და სხვა



ზემოაღნიშნული შედეგების დასაზუსტებლად გადავწყვიტეთ, გაგვეანალიზებინა შსს-ს მიერ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით. კლევამ გვიჩვენა, რომ 2006-2010 წლებში რეგიონებში ზოგადად დანაშაულის კლების ტენდენცია დაფიქსირდა: მცხეთა-მთიანეთში დაახლოებით 64% -ით (1448- 521 ერთეულამდე) ; შიდა ქართლში - 39%-ით (1952 - 1025 ) ; აჭარაში - 80.7% -ით. გურიაში -კი გაიზარდა 16% ( 712-845)<sup>6</sup>.

ვიქტიმიზაციის შედარებით მაღალი დონე - 32.6% დაფიქსირდა დევნილ რესპონდენტთა შორის, რომლებიც არ ცხოვრობენ დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში, რაც ორჯერ აღემატება ანალოგიურ დონეს არადევნილი რესპონდენტების შემთხვევაში (16.3%). თუმცა, ამავდროულად, 2010 წლის კვლევის მონაცემებთან შედარებით, დევნილთა ვიქტიმიზაციის დონე 9.2%-ითაა შემცირებული. დევნილთა შორის ვიქტიმიზაციის მაღალი მაჩვენებლები განპირობებულია ისეთი ობიექტური ფაქტორებით, როგორცაა დაბალი სოციალური სტატუსი, მატერიალური პრობლემები, მუდმივი საცხოვერებლის არქონა და სხვა.

**ცხრილი #8- ვიქტიმიზაციის კოეფიციენტი გეოგრაფიული და დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით**

	ვიქტიმიზაცია, 21 დანაშაული მიხედვით (5 წ.) 2010 წელი	ვიქტიმიზაცია, 10 დანაშაული (5 წ.), 2010 წელი	ვიქტიმიზაცია, 21 დანაშაული (5 წ.) 2011 წელი	ვიქტიმიზაცია 10 დანაშაული (5 წ.), 2011 წელი
<b>ჯამი</b>	<b>29.7%</b>	<b>11.1%</b>	<b>16.8%</b>	<b>7.0%</b>
<b>რეგიონი</b>				
თბილისი	42.0%	19.4%	30.9%	12.9%
კახეთი	19.6%	4.9%	7.6%	2.7%
შიდა ქართლი	43.8%	15.2%	21.8%	9.4%
ქვემო ქართლი	20.4%	8.3%	9.8%	6.3%
სამცხე-ჯავახეთი	7.3%	2.9%	2.5%	2.0%
აჭარა	14.7%	9.2%	5.9%	3.1%
გურია	14.5%	5.0%	14.9%	8.6%
სამეგრელო	27.7%	6.1%	11.1%	1.7%
იმერეთი/რაჭა/სვანეთი	34.1%	10.1%	14.4%	5.4%
მცხეთა-მთიანეთი	35.2%	10.0%	30.5%	13.1%
<b>რესპონდენტის სქესი</b>				
კაცი	29.4%	11.0%	16.1%	6.4%
ქალი	29.9%	11.2%	17.4%	7.5%
<b>რესპონდენტის ასაკი</b>				
16-20	25.3%	8.9%	11.2%	3.5%
21-30 წწ.	33.8%	14.0%	16.4%	9.1%
31-40 წწ.	32.5%	11.2%	18.6%	6.4%
41-50 წწ.	31.5%	11.3%	15.1%	6.0%

<sup>6</sup><http://www.police.ge/index.php?m=199&newsid=163> ;

<http://www.police.ge/index.php?m=199&newsid=5>


	ვიქტიმიზაცია, 21 დანაშაული მიხედვით (5 წ.) 2010 წელი	ვიქტიმიზაცია, 10 დანაშაული (5 წ.), 2010 წელი	ვიქტიმიზაცია, 21 დანაშაული (5 წ.) 2011 წელი	ვიქტიმიზაცია 10 დანაშაული (5 წ.), 2011 წელი
51-60 წწ.	31.8%	13.1%	17.6%	8.9%
61 წ+	23.5%	8.5%	19.0%	7.1%
<b>დევნილი და არადევნილი</b>				
დევნილი	41.8%	15.0%	32.6%	14.4%
დევნილიარარის	29.4%	11.1%	16.3%	6.8%
<b>განათლება</b>				
დაწყებითი	24.8%	8.5%	12.6%	4.4%
საშუალო	30.9%	11.2%	11.3%	4.3%
უმადლესი	34.8%	14.3%	26.1%	12.5%
<b>ოჯახის ყოველთვიური საშუალო შემოსავალი</b>				
100 ლარი	22.9%	6.9%	16.0%	6.4%
101-200 ლარი	27.8%	9.5%	14.7%	6.3%
201-400 ლარი	29.6%	8.5%	15.9%	6.0%
401 ლარი და მეტი	38.6%	17.3%	21.3%	9.6%
<b>რესპონდენტის გამოცდილება სამართალდამცავებთან</b>				
დიახ	46.7%	19.0%	20.4%	8.2%
არა	26.5%	9.6%	16.2%	6.8%

**ვიქტიმატიზაციის დონე თბილისში და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების დედაქალაქებში ვიქტიმიზაციის დონე თბილისში და სხვა ქვეყნების დედაქალაქებში**

როგორც გვიჩვენებენ საერთაშორისო კვლევები, დედაქალაქებსა და დიდ ურბანულ ცენტრებში დანაშაულის და ვიქტიმიზაციის დონე, როგორც წესი, უფრო მაღალია. ევროპის 2004 წლის ვიქტიმიზაციის კვლევამ აჩვენა, რომ 28 ქვეყანაში (10 დანაშაულის მიხედვით) ვიქტიმიზაციის საშუალო დონე იყო 15,8%, როდესაც მონაწილე ქვეყნების ქალაქებში ის საშუალოდ შეადგენდა 21.7%.

როგორც წესი, ვიქტიმიზაციის დონე განვითარებადი ქვეყნების ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულში. მაგრამ ევროპის ზოგიერთმეგაპოლისში, როგორცაა ლონდონი, ამსტერდამი, ბელფასტი, ტალინი, ვიქტიმიზაციის დონე აგრეთვე მაღალია.<sup>7</sup> საქართველოში გაცილებით დაბალი ვიქტიმიზაციის დონის მიუხედავად, ვლინდება იგივე ტენდენცია: დედაქალაქში ვიქტიმიზაციის დონე საგრძნობლად მაღალია, ვიდრე ზოგადადრესპუბლიკაში (10 დანაშაულის მიხედვით გასული წლის მაჩვენებლები) - 2012 საქართველო - 1.2%; 2011 თბილისი - 2.9%)

**გრაფიკი #9. ვიქტიმიზაციის საშუალო დონე თბილისში და 28 ქვეყნის დედაქალაქში**



## **პოლიციაში განცხადებული დანაშაული**

დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა საქართველოში იძლევა საშუალებას, რომ კანონმდებლებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღონ უფრო ამომწურავი ინფორმაცია დაზარალებულთა შესახებ დემოგრაფიული მონაცემების ჩათვლით. ასეთი სრული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება უფრო ეფექტურად შეფასდეს დანაშაული და მისი საშიშროების ხარისხი მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტისათვის. კვლევამ აგრეთვე გამოააშკარავა მიზეზები, რომელთა გამო დაზარალებულები არ განაცხადებენ ხოლმე დანაშაულის შესახებ პოლიციაში. ასევე, ნათელი გახდა, თუ რამდენად არიან ისინი კმაყოფილნი პოლიციის საქმიანობით განაცხადის გაკეთების შემდეგ.

კვლევის მიხედვით რესპონდენტების რაოდენობა ვიც განაცხადა პოლიციაში რომ გახდა დანასაულის მსხვერპლი (როგორც პიროვნების და ოჯახის ასევე პიროვნების წინააღმდეგ) 2012 წლის შეადგინა 25.4%. ეს მაჩვენებელი გაუარესდა 4.1% 2011 წლის მონაცემებთან შედარებით (29.5%)

## **დანაშაული პიროვნების და ოჯახის წინააღმდეგ**

პიროვნების და ოჯახის წინააღმდეგ განცხადებული და განუცხადებელი დანაშაულის კვლევამ 2012 წლების მიხედვით (გრაფიკი10) გამოავლინა რესპონდენტების აქტიურობის დინამიკა დანაშაულის შესახებ შეტყობინების კუთხით.

2010 წლის კვლევის მონაცემებით, დაზარალებულთაგან მხოლოდ ყოველმა მეოთხემ (25%) მიმართა პოლიციას დახმარებისთვის (21 დანაშაულის მიხედვით).

2010 წლის მონაცემებით, რესპონდენტთაგან ყველაზე მეტმა (61.3%) პოლიციას გამოძალვისა და შანტაჟის გამო მიმართა. სხვა დანაშაულის შესახებ შეტყობინების კუთხით დაზარალებულების აქტიურობა შეადგენდა 14.7%-დან 49.7%-მდე. მათ შორის, მხოლოდ 18.4-30%-მა შეიტანა განაცხადი პოლიციაში ისეთი დანაშაულის გამო, როგორცაა სადგომში შეღწევა, ავტომობილის დაზიანება და ბინაში შეღწევის მცდელობა.

2011 წლის მონაცემებით დაზარალებულების მხრიდან პოლიციაში მიმართვის სიხშირე შეადგენდა: სადგომში შეღწევით ქურდობისათვის - 30 % , პირუტყვის ქურდობისათვის - 14.7%, სატრანსპორტო საშუალების განადგურება/ვანდალიზმი - 17.5%, სატრანსპორტო საშუალებიდან ნივთის ან ნაწილის ქურდობისათვის- 22.9%, ბინაში შეღწევის მცდელობისათვის - 24%. ძირითადად გავრცელებულ დანაშაულთა გამო დაზარალებულთა მხრიდან პოლიციაში მიმართვის რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა: ქურდობაბინაში შეღწევით - 50%; სატრანსპორტო საშუალების ქურდობა - 39.5% გამოძალვა/შანტაჟი - 39.5%

2012

მომხდარი დანაშაულის შესახებ პოლიციაში განუცხადებლობის მიზეზები და მოტივები შეიძლება სხვადასხვა იყოს.


მაგალითად, მანქანის გატაცებისშესახებ განაცხადა დაზარალებულთა 39.5%- მა. აღსანიშნავია, რომ მათმა დიდმა ნაწილმა (60.5 %) თავი შეიკავა მომხდარის შესახებ

პოლიციისთვის შეტყობინებისგან. განაცხადზე უარის თქმა შეიძლება განპირობებული ყოფილიყო სხვადასხვა მოტივით (მაგალითად დაზარალებულის ეჭვით, რომ მანქანა ნებართვის გარეშე წაიყვანა ახლობელმა, ავტომობილის დაბრუნების სანაცვლოდ გამტაცებლებთან გონივრულ გასამრჯელოზე შეთანხმებით ვინაიდან პოლიციის ჩარევის შემთხვევაში დამნაშავეებს შეეძლოთ, საერთოდ გაენადგურებინათ ავტომანქანა და სხვა). დაზარალებულთა მხოლოდ 50% -მა განაცხადა ბინაში შეღწევით ქურდობის შესახებ. მეორე ნახევარს ამის გამო პოლიციისთვის არ მიუმართავს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიყენებული ზარალის ოდენობა. რაც უფრო დიდია ზარალი, მით უფრო მოტივირებულია მსხვერპლი, განაცხადოს პოლიციაში. აგრეთვე, დაზარალებულები ეჭვობენ ხოლმე, რომ საცხოვრებელიდან ქურდობა ჩადენილია ოჯახის წევრის ან ახლობლის მიერ და ამჯობინებენ, თვითონ გაერკვნენ სიტუაციაში.

**დანაშაულის შეფასება სიმძიმის მიხედვით**

პოლიციაში განცხადებისა და განუცხადებლობის მოტივი და რაოდენობა, როგორც წესი, არ აისახება რესპონდენტების მიერ დანაშაულის სიმძიმის ობიექტურ შეფასებაზე. დაზარალებულთა 100%-მა მძიმედ და განსაკუთრებით მძიმედ ჩათვალა მოტოციკლის ქურდობა; 100%-მა - გამოძალვა/შანტაჟი; 93%-მა - ქონების განადგურება/ვანდალიზმი; 80%-მა - ქურდობა ბინაში შეღწევით; 74%-მა - ავტოსატრანსპორტო საშუალების ქურდობა.

**გრაფიკი #10. რესპონდენტების მიერ ინდივიდისა და ოჯახის წინააღმდეგ დანაშაულის პოლიციაში განუცხადებლობის დონე და დანაშაულის სერიოზულობის შეფასება, 2011 წელი**



## დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ

რაც შეეხება პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, დაზარალებულების მხრიდან პოლიციისათვის მიმართვის აქტიურობის კოეფიციენტი 2010-2011 წლებში 30%-31%-ს შეადგენს (ცხრა დანაშაულის მიხედვით).


ყველაზე აქტიურად დაზარალებულებმა პოლიციას დახმარებისთვის მიმართეს შემდეგი ტიპის დანაშაულთან დაკავშირებით: 39% - ქურდობა; 46% - თავდასხმა; 47% - ძალადობის მუქარა; 57% - ძარცვა/ყაჩაღობა 16% -სქესობრივი დანაშაული; სხვა დანაშაულების შესახებ შეტყობინების მხრივ დაზარალებულების აქტიურობა იყო მინიმალური: 36% - პირადი ინფორმაციის გამოყენება; 7%- მექრთამეობა.

თუ ქურდობისა და ძარცვა-ყაჩაღობის ფაქტების გამო პოლიციაში მიმართვის სიხშირის კუთხით დაზარალებულების მაღალი აქტიურობა გასაგებია, სქესობრივიდანაშაულსა და კორუფციის შესახებ შეტყობინების დაბალი მაჩვენებლები საჭიროებს კომენტარის გაკეთებას. სქესობრივი დანაშაულის შესახებ პოლიციისთვის შეტყობინებისგან თავის შეკავება განპირობებულია ამ დანაშაულის დელიკატური ხასიათით და დაზარალებულის მხრიდან ინტიმური მომენტების გაუხმაურებლობის სურვილით. კორუფციასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ხშირად ასეთ დროს დაზარალებული კლასიკური გაგებით არ არსებობს, რადგან მხარეები დაინტერესებულნი არიან შედეგით და მხოლოდ გამომძიებლის შემთხვევაში შეიძლება რეალურად ლაპარაკი დაზარალების ფაქტზე.

## პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის შეფასება

რესპონდენტები ობიექტურად აფასებენ პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულს და სერიოზულად და განსაკურებით სერიოზულად მიიჩნევენ შემდეგ ქმედებებს: ძალადობით მუქარა -100%; პირადი ინფორმაციის უნებართვოდ გამოყენება-100%; სქესობრივი დანაშაული - 80%; ძარცვა/ყაჩაღობა-78%; პირადი ქონების ქურდობა-77%; ნაკლებად სერიოზულად მიიჩნევენ დაზარალებულები: კორუფციას-37% და მომხმარებლის მოტყუებას-18%.

**გრაფიკი #11. რესპონდენტების მიერ ინდივიდის წინააღმდეგ დანაშაულის სერიოზულობის შეფასება და მის შესახებ პოლიციაში განუცხადებლობის დონე 2011 წლის მონაცემებით**



გარკვეულ მეცნიერულ ინტერესს იწვევს რესპონდენტების მიერ ბინის ქურდობის შესახებ პოლიციაში განუცხადებლობის მიზეზების შედარება ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში.

ევროპელებისთვის განუცხადებლობის ძირითადი მიზეზი (34%) არის დანაშაულის არასერიოზულობა, 2011 წლის კვლევაში საქართველოში აღნიშნულ მიზეზზე რესპოდენტთა 6.6%-მა მიუთითა.

ყოველი მეხუთე ევროპელი (21%) თვლის, რომ პოლიცია ვერ შეძლებს დანაშაულის გახსნას, საქართველოში ეს მაჩვენებელი 2011 წლის კვლევს შედეგად არის 20.6%-ი.

ქართველი რესპოდენტებისთვის განუცხადებლობის ერთ-ერთი მოტივი დანაშაულის შესახებ მტკიცებულების არქონაა. 2010 წლის კვლევაში ქართველი რესპოდენტების 23.3%, ხოლო 2011 წელს 19.2% ასახელებს ამ მიზეზს. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელებთან ეს მიზეზი საერთოდ არ იყო დასახელებული.

**ცხრილი #9. ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში ბინაში შეღწევით ქურდობაზე პოლიციაში განუცხადებლობის მიზეზების შედარებითი მაჩვენებლები**

	საქართველო 2010	საქართველო 2011	საქართველო 2012	საშუალო ევროპული მაჩვენებელი
პირადი/ოჯახის საქმეა	3.6	6.4		11
თავად მოვარგარე პრობლემა	5.9	11	20	18
პოლიციისადმი არაკეთილგანწყობის/შიშის გამო	1.9	0	2.4	6
შურისძიების შიშის გამო	11.8	11.1	3.1	0
პოლიცია ვერაფერს გახდებოდა	30.2	20.6	17.3	21
პოლიცია არ დაინტერესდებოდა	5.6	7.8	2.4	20
არ ღირდა განცხადება/არ იყო სერიოზული შემთხვევა	22.2	6.6	6.8	34
მტკიცებულებათა არქონა	23.3	19.2	13.7	0

შენიშვნა: შესაძლებელი იყო ერთზე მეტი პასუხის გაცემა, ჯამური მონაცემები აღემატება 100%

მსოფლიოს 30 ქვეყანასა და საქართველოში დანაშაულის შვიდი სახეობის შესახებ პოლიციაში შეტყობინების მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

1. საქართველოში მომხდარი დანაშაულის შესახებ პოლიციისათვის შეტყობინების ინდექსი 7 დანაშაულზე (31.1%)(საშუალო მაჩვენებელი, ცხრილი 10) საგრძნობლად დაბალია ანალოგიურ ინდექსზე განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში ( მაგალითად, გერმანიაში - 56.4%, იაპონიაში - 57.8%,ესტონეთში - 39.2%)მაგრამ მნიშვნელოვნად მაღალია ლათინური ამერიკის ქვეყნებთან შედარებით - მექსიკა (2,1%).
2. საქართველოში დაზარალებულები გაცილებით იშვიათად აცნობენ პოლიციას ბინის გაქურდვის (50%) და, განსაკუთრებით, ბინაში შეღწევის მცდელობის შესახებ (23%). სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი არის საშუალოდ 76%, მექსიკის გარდა.
3. საქართველოში პოლიციას ნაკლებად ატყობინებენ აგრეთვე სხვა პირადი ქონების ქურდობის თაობაზე (40%). სხვა ქვეყნებში ეს მაჩვენებელი არის საშუალოდ 47%.
4. გაცილებით უკეთესია საქართველოში პოლიციისათვის შეტყობინების მაჩვენებლები ძალადობრივი დანაშაულის კუთხით - 45.8%, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ეს მონაცემი საჭიროებს დამატებით შედარებით კვლევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. საქართველოში დაფიქსირდა მოსახლეობის სამართალშეგნებისა და სამართლებრივი თვითგაცნობიერების დონის ზრდის ტენდენცია.
2. საქართველოში სამართალდამცავ ორგანოებთან მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობის დონე უახლოვდება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების სტანდარტებს.

**ცხრილი #10. პოლიციისათვის შეტყობინების (%) შედარებითი ანალიზი**

	ავტოს ქურდობა	ავტოდან ნივთების/ ნაწილების ქურდობა	ქურდობა ბინაში შეღწევით	ბინაში შეღწევის მცდელობა	მარცვა / ყაჩაღობა	სხვა პირადი ქონების ქურდობა	თავდასხმა და ძალადობის მუქარა
ავსტრია*	72	77	73	59	48	62	35
დანია	85	83	82	30	43	43	39
ინგლისი და უელსი	88	69	88	47	60	60	36
ესტონეთი	58	48	52	23	39	29	26
ფინეთი	93	76	68	22	41	49	23
საფრანგეთი	77	64	77	45	44	47	40
გერმანია	76	79	86	51	36	43	24
საქართველო 2010	47	11	48	7	45	18	43

\* საქართველოში 2010-2011 წლების კვლევაში კითხვა თავდასხმაზე და მუქარაზე ცალ-ცალკე არის დასმული. ცხრილში მოცემული მონაცემები ეხება მხოლოდ თავდასხმას.

\*ქვეყნები დალაგებულია ლათინური ანბანის მიხედვით.




საქართველო 2011	40	21	50	23	57	40	46
საქართველო 2012	47	18	44	14	63	34	20
საბერძნეთი	73	35	71	40	34	40	22
უნგრეთი	92	55	76	47	46	44	18
ისლანდია	86	66	73	29	41	28	30
ირლანდია	86	62	85	40	38	40	31
იტალია	93	48	78	34	51	61	35
იაპონია	100	66	63	18	25	87	46
ლუქსემბურგი	87	71	82	57	39	52	29
მექსიკა	3	2	3	2	2	1	2
ნიდერლანდები	95	79	92	52	52	54	33
ახალი ზელანდია	94	65	80	37	52	44	44
ჩრდილოეთ ირლანდია	95	64	88	54	67	43	51
ნორვეგია	93	70	72	31	59	50	34
პოლონეთი	97	52	62	32	38	30	38
პორტუგალია	81	45	55	19	61	55	22
შოტლანდია	66	75	90	66	44	53	53
ესპანეთი	82	58	63	34	48	46	38
შვედეთი	93	79	77	39	49	52	35
შვეიცარია	75	69	82	50	45		22
გაერთიანებული სამეფო	87	68	88	48	62	59	37
აშშ	87	64	77	38	61	48	43

შენიშვნა: სხვა ქვეყნებში გამოკითხვა ჩატარებულია 2004-2005 წლებში. საქართველოში -2010-2011 წწ.

მანქანების გატაცების შესახებ შეტყობინების პროცენტული მონაცემები არ შეიძლება ჩაითვალოს ტენდენციის მაჩვენებლად, რადგან აბსოლუტური მონაცემი მინიმალურია (5 ფაქტი).

**გრაფიკი #12. მანქანების გატაცების შესახებ პოლიციისათვის შეტყობინების მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი (საქართველო, 2010 წელი)**





თვალსაჩინოა შედარებითი ანალიზის შედეგები, რომლებიც მიღებულია იმ რესპონდენტებისგან, რომლებმაც განაცხადეს პოლიციაში 5 დანაშაულის შესახებ (ცხრილი11).

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს რესპონდენტები კმაყოფილნი არიან მათ შეტყობინებაზე პოლიციის რეაგირების ხარისხით ქვემოთ ჩამოთვლილ დანაშაულთა შესახებ შემთხვევათა 14%-63% -ში, რაც დაახლოებით შეესაბამება სხვა 30 ქვეყნის მონაცემებს. გამონაკლისია სქესობრივი დანაშაული, რომელიც საქართველოსა და მექსიკაში ვერ იქნა გამოკვლეული სუბიექტური მიზეზების გამო.

**ცხრილი #11. პოლიციის მუშაობის შედარებითი ანალიზი ევროპის ქვეყნებსა და საქართველოში 5 დანაშაულის შეფასების საფუძველზე**

	კვლევის ჩატარების წელი	ავტოდან ქურდობა	ქურდობა ბინაში შეღწევით	ძარცვა/ ყაჩაღობა	სქესობრივი დანაშაული	თავდასხმა და ძალადობის მუქარა*
ავსტრალია	2004	65	75	65		66
ავსტრია*	2005	77	81	50	24	38
ბელგია	2005	62	71	60	3	53
დანია	2005	71	80	67	90	66
ინგლისი და უელსი	2005	58	71	60	50	57
ესტონეთი	2004	34	31	30	51	33
ფინეთი	2005	74	61	81	100	70
საფრანგეთი	2005	53	55	54	3	46
გერმანია	2005	64	74	61	43	62
<i>საქართველო</i>	2010	<b>45</b>	<b>40</b>	<b>29</b>	<b>0</b>	<b>86</b>
<i>საქართველო</i>	2011	<b>14</b>	<b>40</b>	<b>45</b>	<b>37</b>	<b>63</b>
<i>საქართველო</i>	2012	<b>11</b>	<b>44</b>	<b>47</b>	<b>41</b>	<b>81</b>
საბერძნეთი	2005	42	17	32	99	21
უნგრეთი	2005	45	36	40	64	39
ისლანდია	2005	48	74	62	46	55
ირლანდია	2005	59	64	63	91	56
იტალია	2005	38	44	26	0	53
იაპონია	2004	46	49	34	17	17
მექსიკა	2004	35	19	21	0	48
ნიდერლანდები	1996	72	79	72	42	58
ჩრ. ირლანდია	2005	54	63	73	89	58
პოლონეთი	2004	42	39	60	74	55
პორტუგალია	2005	66	49	38	18	73
ესპანეთი	2005	58	58	69	100	78
შვედეთი	2005	57	80	79	59	65

\* საქართველოში 2010-2011 წლების კვლევაში კითხვა თავდასხმაზე და მუქარაზე ცალ-ცალკე არის დასმული. ცხრილში მოცემული მონაცემები ეხება მხოლოდ თავდასხმას.

\*ქვეყნები დალაგებულია ლათინური ანბანის მიხედვით.

## პერსონალური (პირადი) უსაფრთხოების აღქმა

საკუთარი უსაფრთხოების პოზიტიური აღქმა ამცირებს ვიქტიმიზაციის რისკს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ „დანაშაულის შიშმა შეიძლება გამოიწვიოს ყოველდღიური საქმიანობის შემცირება, პერსპექტივის დაკარგვა და ცხოვრების ხარისხის დაქვეითება“ (ჯონსონი 1996).

„თუ შიში ხდება დაუძლეველი და მოქალაქეები თავს არიდებენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, თანმიმდევრულად ირღვევა სოციუმის კავშირები და იწყება დეგრადაცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უწყსრიგობა და დანაშაულის ზრდა“ (სკოგანი 1990).

საქართველოში არასოდეს ჩატარებულა ისეთი სოციოლოგიური კვლევები, რომლებიც პირადი (პერსონალური) უსაფრთხოების (დაცულობის) შეფასების საშუალებას მოგვცემდა, ამიტომ ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული მაჩვენებლები შეიძლება ჩაითვალოს საბაზისოდ და მომავალ კვლევებში გამოყენებულ იქნეს ორიენტირად.

მთლიანობაში საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ ემინია გახდეს დანაშაულის მსხვერპლი სახლში, საცხოვრებელ უბანსა თუ სახელმწიფოს სხვა წერტილში. ვიქტიმიზაციის შიშის ანალიზმა (2010/2011 წლის დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა) გვიჩვენა ამ დადებითი ტენდენციის მომძლავრება. თუ შევადარებთ 2010 და 2011 წლების გამოკითხვათა შედეგებს, აშკარად გამოიკვეთება შემდეგი პოზიტიური ტენდენციები:

1. 2010 წლის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობას ბოლო 12 თვის განმავლობაში საერთოდ არ ემინოდა გამხდარიყო ფიზიკური თავდასხმის, ოჯახის წევრზე ან ახლობელზე ფიზიკური თავდასხმის ან ბინის გაქურდვის ვიქტიმიზაციის მსხვერპლი (65.8-70.9%). 2011 წელს რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთაც საერთოდ არ ემინიათ ბინის გაქურდვის ან ფიზიკური ძალადობის მათი თუ მათი ახლობლების წინააღმდეგ, საშუალოდ გაიზარდა 5-7%-ით და შეადგინა (73.5-75.8%). აგრეთვე, 2010 წელს 4.6%-ს, ხოლო 2011 3.7%-ს ემინოდათ, რომ გახდებოდნენ ბინის გაქურდვის მსხვერპლნი (ცხრილი 12).
2. 2010 წელს გამოკითხულთა 88%-მა განაცხადა, რომ თავს უსაფრთხოდ გრძნობდა საცხოვრებელ გარემოში (უბანში) სეირნობისას და თავს არ არიდებდა სხვა ადამიანებს ან ქუჩას. 2011 წელს ასეთი რესპონდენტების რიცხვმა 91% შეადგინა. ამასთან ერთად, 2011 წლის კვლევის მიხედვით რესპონდენტთა 4%-ს გარეთ გასვლისას ვიქტიმიზაციის შიში აქვთ. აგრეთვე, 3%-ია იმ პირების რიცხვი, რომლებიც საერთოდ არ გამოდიან სახლიდან (გრაფიკი 13).

**ცხრილი #12- დანაშაულის შიში (გასული 12 თვის განმავლობაში)  
2010 წელი**


	საერთოდ არ მეშინოდა	ნაკლებად მეშინოდა	არ ეშინოდა	მეშინოდა	ძალიან მეშინოდა	ეშინოდა
ფიზიკური თავდასხმის შიში	70.9%	25.8%	96.8%	2.5%	0.2%	2.7%
ფიზიკური თავდასხმის შიში ოჯახის წევრზე ან ახლობელზე	65.8%	28.6%	94.4%	4.4%	0.3%	4.8%
ბინის გაქუდვის შიში	67.0%	27.5%	94.5%	4.1%	0.5%	4.6%

**2011წელი**

	საერთოდ არ მეშინოდა	ნაკლებად მეშინოდა	არ ეშინოდა	მეშინოდა	ძალიან მეშინოდა	ეშინოდა
ფიზიკური თავდასხმის შიში	75.8%	20.6%	96.4%	2.70%	0.40%	3.10%
ფიზიკური თავდასხმის შიში ოჯახის წევრზე ან ახლობელზე	73.5%	22.4%	95.9%	2.70%	0.20%	2.90%
ბინის გაქუდვის შიში	75.5%	20.5%	96.0%	3.10%	0.60%	3.70%

კატეგორიები "საერთოდ არ მეშინოდა" და "ნაკლებად მეშინოდა" გაერთიანებულია სვეტში "არ ეშინოდა"; კატეგორიები "მეშინოდა" და "ძალიან მეშინოდა" გაერთიანებულია სვეტში "ეშინოდა". პასუხები "არ ვიცი" არ არის მოყვანილი ცხრილში, თუმცა არ მომხდარა მათი იგნორირება.

**გრაფიკი #13. კითხვა: ხომ არ არიდებდით თავს ზოგიერთ ადამიანს, ზოგ ქუჩას ან უბანს იმ მიზეზით, რომ იქ სახიფათოა გავლა?**




რესპონდენტთა უმრავლესობა (საშუალოდ 96%-97%), როგორც წესი, ყოველთვის დარწმუნებულია საკუთარ უსაფრთხოებაში დღისით. ღამის საათებში უსაფრთხოების განცდის მაჩვენებელი უფრო დაბალია: ყოველთვის უსაფრთხოდ გრძნობს თავს გამოკითხულთა 67.9%, „ჩვეულებრივ“ - 28.1%, ხოლო „იშვიათად/არასოდეს/როდის როგორ“ - რესპონდენტთა 4% . აღსანიშნავია, რომ 2011 წელს 95%-დან 96%-დე გაიზარა იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც უსაფრთხოდ გრძნობს თავს ღამით.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2011 წელს 64%-დან 61.9%-მდე შემცირდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ „ყოველთვის“ დაეხმარებიან მეზობლები; 26%-დან 24.4%-მდე შემცირდა გამოკითხულთა რაოდენობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ რომ „ჩვეულებრივ“ აქვთ მეზობლების დახმარების იმედი; და 10%-ან 13.7%-მდე იმატა მათმა რიცხვმა, რომელთაც „იშვიათად/არასოდეს/როდის როგორ“ აქვთ ამის იმედი.

მიღებული მაჩვენებლები ადასტურებენ, რომ ხანგრძლივი ”ანომიის” შემდეგ საზოგადოებაში მიმდინარეობს სოციალური ურთიერთობების გაჯანსაღების პროცესი, რეალურადაა დაცული მოქალაქეების ძირითადი კონსტიტუციური უფლებები, გარანტირებულია მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე ქონების ხელშეუხებლობის დაცვა. ურთირთდახმარების იმედის შემცირება კი, სავარაუდოდ, დაკავშირებულია გართულებულ ეკონომიკურ ვითარებასთან, როდესაც მესამე პირისგან მატერიალური დახმარების მიღება ნაკლებად მოსალოდნელია.

**გრაფიკი #14 . ზოგადად უსაფრთხოების განცდა 2011 წელი**



**დანაშაულის პრევენციის ზომების შეფასება**

საკმაოდ საინტერესოა რესპონდენტთა მოსაზრებები იმის შესახებ, თუ პრევენციის რა მეთოდები უწყობენ ხელს რეგიონში დანაშაულის შემცირების ტენდენციას. აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ დანაშაულის პრევენციაში უმთავრეს როლს ასრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოები. კერძოდ, გამოკითხულთა 35% მიიჩნევს, რომ დანაშაულის დონეს შეამცირებს საპატრულო პოლიციის მუშაკების რაოდენობის გაზრდა;

29% - თვლის, რომ უბნის ინსპექტორების მუშაობა უნდა გაძლიერდეს; 28%-ის აზრით, უნდა მოხდეს ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ ყურადღების გამახვილება; 17% კი მიიჩნევს, რომ ნასამართლევ პირებზე უნდა განხორციელდეს ზედამხედველობა.

დანაშაულის პრევენციის ე. წ. ტექნიკურ საშუალებებზე რესპონდენტებმა უფრო ნაკლებად გაამახვილეს ყურადღება. კოდირებული კარის პრევენციულ ეფექტზე ყურადღება გაამახვილა გამოკითხულთა 17%-მა; ელექტრონულ სათვალთვალო კამერებზე - 12%-მა.

რესპონდენტთა 12% თვლის, რომ აუცილებელია დამის საათებში ალკოჰოლის გაყიდვის აკრძალვა. რესპონდენტთა მხოლოდ 3%-ს სჯერა საინფორმაციო ბილბორდებისა და ლიფლეტების პროფილაქტიკური ეფექტურობისა.

მიღებული შედეგები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ მოსახლეობა ენდობა სამართალდამცავებს და მზად არის იმისთვის, რომ ნარკომანებსა და ნასამართლევ პირებზე დაწესდეს მონიტორინგი (ზედამხედველობა).

**ცხრილი #13- მოსახლეობის მიერ მათ საცხოვრებელ ადგილზე დანაშაულის შემცირებისკენ მიმართული სხვადასხვა ღონისძიების შეფასება\***


ღონისძიებები	%
პოლიციის პატრულირების გაძლიერება	35
უბნის ინსპექტორის მუშაობის გაძლიერება	29
ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ ყურადღების გამახვილება	28
ნასამართლევ პირებზე ზედამხედველობის განხორციელება	17
სადარბაზოში კოდირებული კარის დაყენება	15
უბნის გარკვეულ მონაკვეთზე საკონტროლო კამერის დაყენება	14
დამის საათებში სპორტიანი სასმელების გაყიდვის აკრძალვა	12
ბილბორდების დამონტაჟება რომელიმე კონკრეტული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული წარწერით	3

\*2011 წლის კითხვარში ეს კითხვა ამოღებულია

**პერსონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები**


2010/2011 წლის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში რესპონდენტთა უმრავლესობა არ თვლის, რომ შეიძლება დანაშაულის მსხვერპლი გახდეს, ამიტომ გამოკითხულთაგან მხოლოდ 4-5%-მა განაცხადა, რომ გაიარა თავდაცვის კურსები, 1%-მა აღიარა, რომ თავდაცვის მიზნით თან დააქვს რაიმე ნივთი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რომ 2011 წელს 4%-ით (14%-დან 10%-დე) შემცირდა იმ პირების რაოდენობა, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით დაბნელების შემდეგ არ გამოდიან სახლიდან მარტო (გრაფიკი15).

გრაფიკი #15. პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების შეფასება 2010 წელი



გრაფიკში არ არის მოცემული „არ ვიცი“ პასუხის შედეგები

2011 წელი




ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის დონის შეფასება

ვიქტიმიზაციის დონის შემცირებაში დიდი როლი ენიჭება სოციალურ გარემოს, თანაარსებობისა და ურთიერთდახმარების სტანდარტებს საზოგადოებაში. რაც უფრო მეტად დაცულად იგრძნობენ ადამიანები თავს საკუთარ ეზოში, საკუთარ ქუჩაზე, უბანსა თუ ქალაქში, მით უფრო ხელსაყრელი პირობები ყალიბდება კონკრეტული აგლომერაციისთვის და ქვეყნისათვის მთლიანობაში.

ადამიანთა ჰარმონიული თანაარსებობისათვის საჭიროა ურთიერთდახმარება და რწმენა იმისა, რომ ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები ან რიგითი მოქალაქეები დახმარებას გაგიწევენ კონკრეტული პრობლემის გადაჭრაში. 2011 წელს გამოკითხულთა 64% თვლის, რომ ცხოვრობს ისეთ უბანში, სადაც ადამიანები უმეტესად ეხმარებიან

ერთმანეთს; 22% მიიჩნევს, რომ - უმეტესად თავისთვის ცხოვრობენ; 12% კი თვლის, რომ ორივე შემთხვევა დასტურდება (იხ.: გრაფიკი 16).

**გრაფიკი #16. კითხვა: როგორ უბანში ცხოვრობთ, სადაც ხალხი ერთმანეთს ეხმარება თუ უმეტესად თავისთვის ცხოვრობენ?**




**განსაკუთრებით პრობლემური დანაშაულებანი საქართველოში.**

2010/2011 წლის გამოკითხვებმა გვიჩვენა რომ, რესპონდენტთა აზრით, საქართველოში განსაკუთრებით პრობლემურ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს ნარკოტიკების მოხმარება (31.6% -29.9%) და ნარკოტიკებით ვაჭრობა (18%-29.4%); 2010 წელთან შედარებით შემცირდა ყურადღება სიცოცხლის ხელყოფასთან (მკვლელობა) დაკავშირებული დანაშაულისადმი (28.9%-21.5%-დე). სხვა დანაშაული - ქურდობა, ტრეფიკინგი, ხულიგნობა, კორუფცია, თაღლითობა, შეიარაღებული ყაჩაღობა, ძარცვა, სქესობრივ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაული და ქურდული სამყაროს წევრობა, როგორც პრობლემური, ჯამურად შეაფასა გამოკითხულთა მხოლოდ 19.7%- 18.2% -მა.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრი უფრო ორიენტირებულია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ტირაჟირებულ შაბლონებზე, ვიდრე პირად გამოცდილებაზე ან რეალურად არსებულ პრობლემებზე.

მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარების პრობლემა გასატანია სისხლისსამართლებრივი დევნის სფეროდან და გადასაწყვეტია სოციალური ზემოქმედებითა და მედიკამენტოზური რეაბილიტაციით. გამოკითხვის მოცემული სეგმენტი გვიჩვენებს, რომ ადამიანები ნაკლებად არიან შეწუხებული ზოგადსისხლისსამართლებრივი პრობლემებით (ძალადობა, ყაჩაღობა, ქურდობა, თაღლითობა) და უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას საზოგადოების გაჯანსაღებისა და დეკრიმინალიზაციის პრობლემებზე. ასეთი სოციალური კლიმატი ირიბად მიუთითებს დაშაულის დონის შემცირებასა და საზოგადოების გაჯანსაღებაზე.

გრაფიკი #17. ყველაზე პრობლემური დანაშაული საქართველოში



ცხრილი #14. შეკითხვა: რომელი დანაშაული მიგაჩნიათ ყველაზე პრობლემურად საქართველოში?


	პირველი დასახელებული		მეორე დასახელებული		მესამე დასახელებული	
	2010	2011	2010	2011	2010	2011
ნარკოტიკების მოხმარება	31.6%	29.9%	21.8%	21.0%	10.1%	14.1%
ნარკოტიკების გასაღება	28.9%	21.5%	27.1%	23.5%	7.9%	8.9%
სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	18.0%	29.4%	16.6%	18.4%	20.6%	18.6%
ქურდობა	5.6%	5.0%	9.0%	8.3%	9.3%	7.7%
ტრეფიკინგი	3.3%	1.9%	5.3%	5.8%	9.9%	9.9%
ხულიგნობა	3.3%	2.5%	3.8%	4.3%	9.4%	7.9%
კორუფცია	2.0%	2.2%	3.5%	2.9%	3.8%	4.5%
თაღლითობა	1.8%	2.8%	3.5%	5.7%	8.9%	9.7%
ყაჩაღობა	1.6%	1.1%	3.5%	2.9%	7.7%	7.5%
სქესობრივი დანაშაული	1.1%	1.4%	2.8%	5.3%	4.0%	6.3%
მარცვა	0.8%	0.6%	2.6%	1.7%	6.3%	3.3%
ქურდული სამყაროს წევრობა	0.1%	0.7%	0.5%	0.2%	2.1%	1.5%

კრიმინოგენობის დონის შემცირების არაპირდაპირ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ რესპონდენტების 92.7%-ის განცხადებით, ბოლო წლებში მათ არ ჰქონიათ საცხოვრებელ სახლში ან უბანში პრობლემა ნაცნობის ან უცნობის მიერ ფულის სესხების ან რაიმე ნივთის ჩუქების უსაფუძვლო მოთხოვნასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს,



რომ ქცევის ასეთ ფორმებს ფართოდ მიმართავდნენ ეგრეთ წოდებული "ძველი ბიჭები" და სხვა კრიმინალური ტრადიციების მატარებელი პირები, რომლებიც უხეში და დამამცირებელი ფორმით მოითხოვდნენ ფულის ჩუქებას, "წილის მიცემას", ციხეში მყოფი კანონიერი ქურდებისთვის ფულის შეგროვებას და სხვა. აღნიშნული დადებითი ტენდენცია შენარჩუნებულია 2010-2011 წლებშიც.

**გრაფიკი #18. ფულის სესხების ან ნივთის ჩუქების უსაფუძვლო მოთხოვნა**



გრაფიკში არ არის მოცემული „არ ვიცი“ და „პასუხისგან თავი შეიკავა“ პუნქტების შედეგები

კრიმინალების მხრიდან წნეხის შემცირება/შეწყვეტაზე ნათლად მიუთითებს 15-ე ცხრილის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც რესპონდენტთა 87% თვლის, რომ კრიმინალური ავტორიტეტების გავლენა შემცირდა, გამოკითხულთა მხოლოდ 3% ადასტურებს კრიმინალების გავლენის ზრდას.

**ცხრილი #15. ქურდული სამყაროს ავტორიტეტის შეფასება გასული 5 წლის განმავლობაში**


	%, 2010	%, 2011
საგრძობლად მოიკლო	70	70
უმნიშვნელოდ მოიკლო	10	10
კრიმინალებს აღარ აქვთ ავტორიტეტი	6	7
მოიკლო (ჯამი)	86	87
დარჩა უცვლელი	3	2
უმნიშვნელოდ მოიმატა	1	1
საგრძობლად მოიმატა	1	0
მოიმატა (ჯამი)	5	3

### დანაშაულის პრობლემურობის შეფასება

როდესაც დანაშაულს განვიხილავთ როგორც სოციალურ მოვლენას, აუცილებელია ვიცოდეთ, რას ფიქრობს მოსახლეობა იმაზე, თუ, უპირველეს ყოვლისა, ვის უქმნის დანაშაული პრობლემას. გამოკითხულთა 30.3% და 23.9%-მა აღნიშნა, რომ უპირველეს ყოვლისა, ეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრობლემაა, შემდეგ დაზარალებულის (21.1%) და ბოლოს დამნაშავის (17,9%). აღნიშნულმა მონაცემებმა 2010 წლიდან უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა და ზოგადად ასახავს ქართული საზოგადოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დანაშაულებრივი ქმედება, პირველ რიგში, ინსტიტუციური პრობლემაა და არა პირადული და მასთან ბრძოლის პოლიტიკა და სტრატეგია უნდა ყალიბდებოდეს სახელმწიფო დონეზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბსტრაქტული კითხვების დასამამ კვლევის კონკრეტული მიზნებისათვის პასუხებიც გარკვეულწილად ნაკლებად ინფორმატიული გახადა, თუმცა მიღებულმა შედეგებმა შეიძლება პერსპექტივაში შედარებითი ანალიზისთვის შეიძინონ მნიშვნელობა.

### გრაფიკი #19 . შეკითხვა: ყველაზე მეტად ვის პრობლემას წარმოადგენს დანაშაული?



### პოლიციის მიერ დანაშაულის კონტროლისუნარიანობის შეფასება

რესპონდენტებმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს პოლიციის მხრიდან დანაშაულის კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობას.<sup>8</sup>


2011 წელს გამოკითხულთა 87% ამ საქმიანობას აფასებს, როგორც კარგს (53%) და საშუალოზე უკეთესს (34%) . ეს მონაცემი 2%-ით აღემატება 2010 წლის ანალოგიურ

<sup>8</sup> უნდა აღინიშნოს რომ არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში პოლიციის მიმართ არ არსებობს ცალსახა დადებითი დამოკიდებულება. პოლიცია, როგორც სამართალდამცავი ორგანო, ასრულებს სპეციფიკურ ფუნქციებს, რომლებიც არ მოსწონს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. ICVS მონაცემებით, 2004 წელს ევროპის ქვეყნების რესპონდენტებმა საშუალოდ მხოლოდ 70% შემთხვევაში შეაფასეს პოლიციის საქმიანობა დადებითად. ესტონეთში ეს მაჩვენებელი 41%-ია.(Jan Van Dijk, John Van, Paul Smith, Kesteren -Criminal Victimization in International Perspective. Key findings from the 2004-2005 ICVS and EU ICSp. 141)

შედეგს. მხოლოდ 4% თვლის, რომ პოლიცია ცუდად მუშაობს. რესპონდენტთა 8%-მა შეკითხვას ვერ უპასუხა.

გამოკითხვამ ცხადყო, რომ საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციის მიმართ უაღრესად დადებითია, რაც დამახასიათებელია ყველაზე განვითარებული დემოკრატიული საზოგადოებისათვის. იხილეთ ცხრილი 16.

გრაფიკი #20. შეკითხვა: როგორ ართმევს თავს პოლიცია დანაშაულთან ბრძოლას თქვენს საცხოვრებელ ადგილას?



ცხრილი #16. პოლიციის საქმიანობის შეფასება (კარგი და საშუალოზე უკეთესი)

ქვეყანა	%
ფინეთი	89
აშშ	88
კანადა	86
საქართველო 2011	87
საქართველო 2010	85
ახალი ზელანდია	84
ავსტრალია	82
დანია	82
ავსტრია	81
შოტლანდია	79
ირლანდია	78
ინგლისი და უელსი	75
დიდი ბრიტანეთი	75
გერმანია	74
ნორვეგია	73
ბელგია	71
უნგრეთი	70
ჰოლანდია	70
ჩრდილოეთ ირლანდია	70


შვეიცარია	69
პორტუგალია	67
იტალია	65
შვედეთი	65
იაპონია	64
ლუქსემბურგი	62
საფრანგეთი	60
ესპანეთი	58
საბერძნეთი	57
ესტონეთი	47
მექსიკა	44
პოლონეთი	41
საშუალო	70

ყველა ქვეყნისთვის ცხრილში მოცემულია 2004-2005 წლის გამოკითხვის შედეგები. საქართველოს მონაცემები ეყრდნობა 2010-2011 წლის გამოკითხვის შედეგებს.

#### გამოძიებასთან თანამშრომლობა

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა მოსახლეობის აზრი კონკრეტული დანაშაულის ფაქტებზე გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ. გამოკითხვამ აჩვენა, რომ 2011 წელს რესპონდენტთა დიდი ნაწილი (60%) ცალსახად მზადაა, დაეხმაროს გამოძიებას, ეს მაჩვენებელი 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (56%) შედარებით 4%-ით გაიზარდა; 21%-მა დაბეჯითებით არ იცის, ითანამშრომლებს თუ არა გამოძიებასთან ( 2010 წელს ასეთი რესპონდენტების წილმა 23% შეადგინა). 19% უარს აცხადებს ასეთ თანამშრომლობაზე.

გრაფიკი #21. შეკითხვა. დანაშაულის ჩადენის ფაქტს რომ შეესწროთ, ითანამშრომლებთ თუ არა გამოძიებასთან?



იმ რესპონდენტებმა, რომლებსაც არ სურთ პოლიციასთან თანამშრომლობა (გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 19%), თავიანთი პოზიცია ახსნეს: სამართალდამცავი სისტემისადმი უნდობლობით (8.1%), ანგარიშსწორების შიშით (23.3%),


პოლიციასთან თანამშრომლობის უღირს საქციელად მიჩნევით (10.5%) და დამნაშავეს მიმართ ლმობიერებით - „დამნაშავეც ადამიანია“ (12.6%).

რესპონდენტთა გამოძიებასთან თანამშრომლობის მზარდი მზადყოფნა შეიძლება ერთ ჭრილში განვიხილოთ ადრე გამოვლენილ დადებით ტენდენციასთან, რომელიც პოლიციისათვის მიმართვის სიხშირის ზრდის კუთხით გამოიკვეთა (ცხრილი 10). აღნიშნული ფაქტორები მეტყველებენ სამართლებრივი განათლების დონის ამაღლებასა და რესპონდენტთა სწორ სამოქალაქო პოზიციაზე.

### კრიმინოგენული სიტუაციის შეფასება საქართველოში

კვლევამ გვიჩვენა, რომ რესპონდენტები საკმაოდ ობიექტურად აფასებენ კრიმინოგენურ სიტუაციას ქვეყანაში და თვლიან, რომ დანაშაულის დონემ დაიკლო (70%); 16% თვლის, რომ დანაშაულის დონემ მოიმატა; 6% კი მიიჩნევს, რომ დანაშაულის დონე უცვლელია. ეს მაჩვენებლები 2010/2011 წწ გამოკითხვებით სტაბილურობას ინარჩუნებენ.

### გრაფიკი #22. დანაშაულის დონის შეფასება



2011 წლის კვლევის შედეგად დანაშაულის შემცირების მიზეზებად რესპონდენტები მიიჩნევენ:

1. სამართლებრივი რეფორმების შედეგებს - სამართალდამცავი ორგანოებისა (73.5%) და რეფორმირებულისა სამართლო სისტემის (8.2%) ეფექტურ მუშაობას;
2. ეფექტურ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას - კანონიერი ქურდების წინააღმდეგ ქმედითი ზომების გატარებას (30.2%); კორუფციის დამლევას სახელმწიფო სექტორში (11.9%) და ზოგადად აღნიშნული სისხლისსამართლის პოლიტიკის სისწორეს (9.4%);
3. დანაშაულის პრევენციის მიზნით ეფექტური ღონისძიებების გატარებას (ინფორმირება დანაშაულისა და მისი შედეგების შესახებ) (11%);
4. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას (2.2%).

**ცხრილი. #17 დანაშაულის დონის კლების მიზეზები**

	2010	2011
სამართალდამცავი ორგანოების გამართული მუშაობა	58	74
ქურდულ სამყაროსთან და ტრადიციებთან ეფექტური ბრძოლა	34	30
სახელმწიფო ხელისუფლებაში კორუფციის დაძლევა	11	12
ეფექტური პრევენციული ღონისძიებები	6	11
სწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა	9	9
რეფორმირებული სასამართლოს ეფექტური მუშაობა	7	8
ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება	5	2
სხვა	1	0
<b>არვიცი</b>	<b>25</b>	<b>4</b>

დანაშაულის ზრდის მიზეზებად რესპონდენტები ასახელებენ:

1. ეკონომიკურ არასტაბილურობას და ფინანსურ კრიზისს - უმუშევრობის ზრდას (73.3%), მძიმე სოციალურ ფონს (63.3%);
2. ნეგატიურ ფონურ მოვლენებს - ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის ზრდას (10.1%);
3. აღზრდისა და მოვლის პრობლემებს - ცუდი აღზრდა ოჯახში (11.1%);
4. პოლიტიკურ ფაქტორებს - პოლიტიკურ არასტაბილურობას (7.5%), რუსეთთან ომის შედეგებს (2.2%);
5. სამართალდამცავთა საქმიანობაში ხარვეზებს - სამართალდამცავი ორგანოების არაპროფესიონალიზმსა (4.4%) და არასაკმარისად მკაცრ სასჯელს (6%);
6. ორგანიზებული დანაშაულის გამოვლინებას - იარაღის უკანონო ბრუნვას (2.3%).


**ცხრილი. #18 დანაშაულის დონის ზრდის მიზეზები**

	2010	2011
უმუშევრობის ზრდა	77	73
მძიმე სოციალური ფონი	55	63
ცუდი აღზრდა ოჯახში	12	11
ნარკომანიის და ალკოჰოლიზმის ზრდა	16	10
პოლიტიკური არასტაბილურობა	11	8
არასაკმარისად მკაცრი სასჯელები	6	6
სამართალდამცავი ორგანოების არაპროფესიონალიზმი	7	4
იარაღის უკანონო ბრუნვა	8	2
რუსეთ-საქართველოს ომი	3	2
სხვა	2	1
<b>არვიცი</b>	<b>4</b>	<b>5</b>

რესპონდენტები საკმაოდ ოპტიმისტურად არიან განწყობილი დანაშაულის სამომავლო დინამიკის შეფასებისას. მათი 48% თვლის, რომ დანაშაული დაიკლებს. ეს მაჩვენებელი 3%-ით მეტია 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (45%); 9% მიიჩნევს,

რომ დანაშაულის დონე უცვლელი დარჩება ( შარშანდელთან შედარებით ეს მაჩვენებელი შემცირდა 4%-ით); 7% მიიჩნევს, რომ ის გაიზრდება, ხოლო 36%-ს არ აქვს პასუხი შეკითხვაზე.

**გრაფიკი #23. შეკითხვა: მომავალი 5 წლის მანძილზე საქართველოში დანაშაულის რაოდენობა გაიზრდება, იგივე დარჩება თუ შემცირდება?**



შეკითხვაზე - გაუგიათ თუ არა დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული პრევენციული ღონისძიებების შესახებ რაიმე, რესპოდენტთა 56.7% მიუთითებს მასმედიის საშუალებებით მიღებულ ინფორმაციაზე: ეკლესიის ჩართულობაზე ნარკომანებისა და დამნაშავეების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში (40.2%) ; სკოლებში ან სხვა სასწავლო დაწესებულებებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან შეხვედრებზე დანაშაულის თავიდან აცილების გზებზე სასაუბროდ (25.7%), უბნის ინსპექტორების მუშაობაზე - 7.5%; ბილბორდებზე კონკრეტული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის განთავსებაზე - 10.6%; კონკრეტული დანაშაულის წინააღმდეგ ლიფლეტებისა და ბროშურების გავრცელებაზე 6.2%. რესპოდენტთა 21.2%-ს დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ არაფერი სმენია.

**ცხრილი #19.9 შეკითხვა: დანაშაულის თავიდან აცილების რომელი ღონისძიებების შესახებ გსმენიათ?**

ღონისძიებები	%
სატელევიზიო რგოლების და ანალიტიკური გადაცემების ჩვენება	56.7
ეკლესიის ჩართვა ნარკომანების და დამნაშავეების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციაში	40.2
სკოლებში ან სხვა სასწავლო დაწესებულებებში სამართალდამცავი ორგანოების	25.7

<sup>9</sup>2011 წლის კითხვარში ეს კითხვა ამოღებულია



წარმომადგენლებთან შეხვედრა დანაშაულის თავიდან აცილების გზებზე სასაუბროდ.	
საინფორმაციო ბილბორდების მოწყობა რომელიმე კონკრეტული დანაშაულის შესახებ (მაგალითად, ტრევიკინგის ან ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ)	10.6
შეხვედრები უბნის ინსპექტორთან	7.5
კონკრეტული დანაშაულის წინააღმდეგ ლიფლეტების, ბროშურების გავრცელება	6.2
<b>არ მსმენია</b>	<b>21.2</b>

## საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემების შეფასება

### საპატრულო პოლიცია

2011 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, საპატრულო პოლიციისადმი სრული ნდობა ქულათა მაქსიმალური რაოდენობის (10ქ.) მინიჭებით რესპონდენტთა 35.5%-მა გამოხატა, რაც 4.5%-ით აღემატება 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (30%); გამოკითხულთა 55.4%-ნდობის დონეს დადებითად (5დან 9 ქულამდე) აფასებს და მხოლოდ 5.7% არ ენდობა მას სრულად (4-1 ქულა).

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, საპატრულო პოლიციისადმი ნდობის საშუალო კოეფიციენტი 2011 წელს არის 8.12%, ხოლო 2010 წელს იყო 8.1%. ანუ საპატრულო პოლიციამ უკვე მაქსიმალურად გაიმყარა ავტორიტეტი საზოგადოებაში და ინარჩუნებს მის მიმართ შექმნილ პოზიტიურ დამოკიდებულებას.

რეგიონებში გამოკითხულმა რესპონდენტებმა ძირითადად დადებითად შეაფასეს საპატრულო პოლიციისადმი თავიანთი დამოკიდებულება. დიდ ქალაქებში (45000+) ნდობის ხარისხი უმაღლესი ქულით (10 ბალით) შეაფასარესპონდენტთა 31.2%-მა, მცირე ქალაქებში (45000-) – 48.8%; სოფლებში - 35.2%. რეგიონთა შორის ყველაზე ყველაზე უმაღლესი შეფასება საპატრულო პოლიციას მიანიჭეს: სამცხე-ჯავახეთში - 83.6%, მცხეთა-მთიანეთში - 57.1%, კახეთსა - 43.4% და თბილისში - 41.7%. შედარებით უფრო დაბალია მაქსიმალური ნდობის გამოხატულება: იმერეთში/რაჭა/სვანეთში - 19.5%; წინა წელთან შედარებით გაიზარდა დადებითი დამოკიდებულება: აჭარასა - 18%-28.4%-მდე და შემცირდა ქვემო ქართლში 25.5%-20.5%-დე.

აღსანიშნავია, რომ მცხეთა-მთიანეთში, სადაც რესპონდენტთა მაღალმა პროცენტმა (57.1%) გამოუცხადა სრული (10 ბალიანი) ნდობა საპატრულო პოლიციას, ერთდროულად მაქსიმალური უნდობლობის (1 ქულა) შემთხვევათა სიმრავლეც (9.6%) აღინიშნა.

მაქსიმალური შეფასებები თითქმის თანაბრად განაწილდა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით რესპოდენტთა 31-40 და 51-60 წლოვანებს შორის. ასაკობრივი კრიტერიუმის მიხედვით მაქსიმალური (10) ქულა ყველაზე ხშირად გაიღეს 41-50 და 61 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტებმა (დაახლოებით 37.6%-40.2%), ყველაზე კრიტიკულები (1 ქულა) აღმოჩნდნენ საშუალო ასაკის (21-30 და 51-60 წლის) მოქალაქენი, რომლებიც გამოკითხულთა 3.8-2.3% -ს შეადგენენ.)

### პოლიცია (საპატრულო პოლიციის გარდა)

აქ 10-ბალიანი სისტემის მიხედვით შეფასებები შემდეგნაირად გადანაწილდა: 10 ბალი, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობა პოლიციას (საპატრულო პოლიციის გამოკლებით)



ნდობისათვის მიანიჭა რესპონდენტთა 26.6-მა პროცენტმა, 5-დან 9 ქულამდე - 58.7%-მა, ნეგატიურად, ანუ 4-1 ქულით ეს ნდობა გამოხატა რესპონდენტთა 8.3%-მა, შეკითხვას ვერ უპასუხან.4%-მა.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პოლიციისადმი ნდობის საშუალო კოეფიციენტი 2010 წელს იყო 7.27%, ხოლო 2011 წელს შეადგენს 7.67%-ს, მაგრამ 21%-დან 26.6%-მდე გაიზარდა იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთაც პოლიციისადმი ნდობა 10 ბალით შეაფასეს.

ქალაქებში, რომლებშიც მოსახლეობის რაოდენობა აღემატებოდა 45000-ს, პოლიციისადმი ნდობა 10 ქულით შეაფასა გამოკითხულთა 23.1 %-მა, ხოლო ქალაქებში 45000-ზე ნაკლები მოსახლეობით - 42.2%-მა, თბილისში 30.5%-მა. რეგიონებში მაქსიმალური შეფასების სიხშირე მეტად განსხვავებულია, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში ის 71.4%-ია, კახეთში - 33.1%, აჭარაში - 20.5%, იმერეთში/რაჭა/სვანეთში -15.3%, სამეგრელოში -17.2%.

ასაკობრივი კრიტერიუმის მიხედვით მაქსიმალური ქულა ყველაზე ხშირად გაიღეს 41-50 და 61 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტებმა (დაახლოებით 28.2-32.3%), ყველაზე კრიტიკულები აღმოჩნდნენ საშუალო ასაკის (31-40 და 61+ წლის) მოქალაქენი, რომლებიც გამოკითხულთა 4.5- 2.6%-ს შეადგენენ.

### **პროკურატურა**

პროკურატურისადმი ნდობა იმავე 10-ბალიანი სისტემით რესპონდენტებმა შემდეგნაირად შეაფასეს:

10 ქულა, ანუ მაქსიმალური შეფასება ნდობისათვის პროკურატურას მიანიჭა რესპონდენტთა 14.1%-მა, 5-დან 9 ქულამდე - 51.6%-მა, 4-1 ქულა - 12.8%-მა, ხოლო 21.5%-მა ვერ უპასუხა შეკითხვას. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პროკურატურისადმი ნდობის საშუალო კოეფიციენტი 2010 წელს იყო 6.34%, ხოლო 2011 წელს ეს მაჩვენებელია 6.86%.რაც მეტყველებს პროკურატურის მიმართ მოსახლეობაში ნდობის შენარჩუნებაზე. ქალაქებში 45000-ზე მეტი მოსახლეობით მაქსიმალური შეფასება (10 ქულა) პროკურატურას ნდობისათვის მიანიჭა გამოკითხულთა 11.5%-მა, ხოლო პატარა ქალაქებსა და სოფლის ტიპის დასახლებებში - 25.6 -13%-მა, თბილისში - 15.3%-მა. რეგიონებში მაღალი ქულებით ეს ნდობა შეაფასა მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობამ (35.6 %), ყველაზე ნაკლები პროცენტი 10 ქულიანი შეფასებისა იყო იმერეთი/რაჭა/სვანეთში - 9.3% და შიდა ქართლში 9.4%. ასაკობრივი კრიტერიუმის მიხედვით უფრო მაღალი ქულებით პროკურატურისადმი ნდობა გამოხატეს 61 წლის და უფროსი ასაკის ადამიანებმა (14.9%). უმაღლესი ქულა ყველაზე დაბალი სიხშირით გაიღეს 51-60 წლის ასაკის რესპონდენტებმა 11.9%.

### **სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო**

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოსადმი ნდობა 10 ბალით, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობით შეაფასა რესპონდენტთა 13.5%-მა; 5-დან 9 ქულით - 50.9%-მა; 4- 1 ქულით -13.9%-მა; გამოკითხულთა 21.7%-მა ვერ გასცა პასუხი შეკითხვას.


გამოკითხვის შედეგად სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოსადმი ნდობის საშუალო კოეფიციენტი 2010 წელს იყო 6.22%, ხოლო 2011 წელს შეადგენს 6.73%.

აღნიშნული მეტყველებს სასამართლოს მიმართ მოსახლეობის არსებული ნდობისდონის შენარჩუნებას, მაგრამ იმიჯის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად არ ხერხდება. სასამართლო ინარჩუნებს ყველაზე დაბალი ნდობის რეიტინგს საქართველოს სამართალდამცავ სისტემაში. ქალაქებს შორის მაქსიმალური (10-ქულიანი) ნდობა სასამართლოს გამოუცხადა: პატარა ქალაქებსა და სოფლებში გამოკითხულთა 25.5-12.6%-მა, ქალაქებში 45000-ზე მეტი მოსახლეობით - 10.6%-მა, თბილისში - 14.1%-მა. რეგიონებში მაქსიმალური შეფასების სიხშირე ყველაზე მაღალია მცხეთა-მთიანეთში (37.3%), ყველაზე დაბალი კი - იმერეთი/რაჭა/სვანეთში (9%) და შიდა ქართლში (8.9%); ასაკობრივი ნიშნის მიხედვით უფრო კრიტიკულად სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს მუშაობისადმი განწყობილი არიან 31-40 და 51-60 წლის ასაკის პირები (10 ქულიანი შეფასება ორივე ასაკობრივ კატეგორიაში 11.4% მიაჩნია), ყველაზე მაღალი პროცენტი 10 ქულიანი შეფასებისა 15.1% ეკუთვნის 41-50 ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებს.

**ადვოკატთა ასოციაცია**

ადვოკატთა ასოციაციისადმი ნდობა 10 ბალით, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობით შეაფასა რესპონდენტთა 15%-მა; 5-დან 9 ქულით - 53.2%-მა; 4-1 ქულით - 10.8%-მა; გამოკითხულთა 20.8 %-მა ვერ გასცა პასუხი შეკითხვას. გამოკითხვა ადვოკატთა ასოციაციისადმი ნდობის შესახებ 2010 წელს არ ჩატარებულა. ქალაქებს შორის აღნიშნული ნდობა მაქსიმალური ქულით შეაფასეს: პატარა ქალაქებსა და სოფლებში გამოკითხულთა 28.3%-13.2%-მა, ქალაქებში 45000-ზე მეტი მოსახლეობით - 13.3%-მა, თბილისში - 17.9%-მა. რეგიონებში მაქსიმალური შეფასების სიხშირე ყველაზე მაღალია მცხეთა-მთიანეთში (41.4 %), ყველაზე დაბალი - იმერეთი/რაჭა/სვანეთში (8.8%). ასაკობრივი ნიშნის მიხედვით უფრო კრიტიკულად სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს მუშაობისადმი განწყობილი არიან 31-40 და 51-60 წლის პირები (დაახლოებით 12.2 - 13.3%), შედარებით ოპტიმისტურად -16-20 წლის რესპონდენტები - გამოკითხულთა 17.5%.

**გრაფიკი #24. საქართველოს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემებისადმი ნდობის შეფასება**



### სასჯელადსრულებითი დაწესებულებები

სასჯელადსრულებით სისტემაში უფლებები სრულად დაცულად და უფრო დაცულად შეაფასა 1187-მა რესპონდენტმა (39.6%). 699-მა გამოკითხულმა (23.3%) განაცხადა, რომ ეს უფლებები უფრო არ არის დაცული ან სრულიად არ არის დაცული. 2010 წლის კვლევასთან შედარებით, დადებითი შეფასება გაიზარდა 4.9%-ით, ნეგატიური კი შემცირდა 9.8%-ით. მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 32.1%-დან 37.1%-მდე გაიზარდა რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც არ გასცეს პასუხი ამ შეკითხვას.

### ცხრილი #20. როგორ ფიქრობთ, რამდენადაა დაცული პატიმრების უფლებები სასჯელადსრულებით დაწესებულებებში?

	2010		2011	
სრულიად დაცულია	141	4.7%	161	5.4%
უფრო დაცულია	901	30.0%	1,026	34.2%
უფრო არ არის დაცული	694	23.1%	465	15.5%
სრულიად არ არის დაცული	300	10.0%	234	7.8%
არ ვიცი	964	32.1%	1,114	37.1%

### პოლიციის აქტივობის შეფასება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით

#### პოლიციის გამოძახების ანალიზი

2011 წელს 3000 რესპონდენტიდან 156-მა ( 5,2%) გამოიძახა პოლიცია.

რეგიონულთან შედარებით, დედაქალაქში, თბილისში, რესპონდენტებმა ორჯერ უფრო მეტჯერ მიმართეს (გამოიძახეს) პოლიციას. განქორწინებული და გაცილებული პირები ორჯერ-სამჯერ უფრო ხშირად მიმართავენ პოლიციას, ვიდრე დაქორწინებულები ან მართხელები. ასევე, პოლიციას უფრო ხშირად მიმართავენ უმაღლესი შემოსავლის მქონე ("A"- სოციალური კლასის წევრები) მოქალაქეები.


იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც დაუკავშირდნენ პოლიციას, ერთხელ დარეკა 78.5%-მა, ორჯერ - 11.1%-მა და დაახლოებით 4.9%-მა დარეკა პოლიციაში სამჯერ ხუთი წლის განმავლობაში.

რესპონდენტთა 88%-მა განაცხადა, რომ პოლიცია ზარის შემდეგ მოვიდა ოპერატიულად. 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (85%), ეს მონაცემი 3%-ით გაუმჯობესდა. დაახლოებით 4%-მა თქვა, რომ პოლიციას ცოტა დააგვიანდა. 2010 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა 9% შეადგინა, გამოკითხულთა მხოლოდ 4%-მა დააფიქსირა, რომ პოლიციას ძალიან დააგვიანდა და 1% -მა განაცხადა, რომ პოლიცია არ გამოცხადებულა.

2010 წლის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პოლიციაში ბოლო დარეკვისას რესპონდენტების მხოლოდ 3.5% დაუკავშირდა პირად ადვოკატს.

2011 წელს რესპონდენტთა 51% ყოველდღიურად მინიმუმ ერთხელ მაინც ამჩნევს, თუ როგორ ასრულებენ პოლიციელებითავეიანთ სამსახურებრივ მოვალეობას (ქუჩებსა თუ საცხოვრებელ ადგილებში), რაც 4%-ით აღემატება 2010 წლის გამოკითხვის მონაცემს. რესპონდენტთა 24% - კვირაში ერთხელ მაინც, რაც აგრეთვე 3%-ით მეტია 2010 წლის მონაცემთან შედარებით. 8% - თვეში ერთხელ, რაც 1%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს, ხოლო 3%-ს საერთოდ არ უნახავს პოლიცია, რაც 3%-ით ნაკლებია წინა წლის მონაცემთან შედარებით (6%). გამოკითხულთა 9%-მა უარი თქვა პასუხის გაცემაზე. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტების განსაზღვრული რაოდენობა საერთოდ არ ან ვერ გადის სახლიდან, პოლიციის აქტივობის შეფასება უაღრესად დადებითია.

**გრაფიკი #25. შეკითხვა: რამდენად ხშირად შემოივლის ხოლმე თქვენს ქუჩას პოლიციელი მანქანით ან ფეხით?**




რესპონდენტების მიერ პოლიციის მუშაობის ეფექტურობის შეფასება რეგიონებში ბევრად არ განსხვავდება დედაქალაქის მონაცემებისგან, მაგრამ 2010 წელთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

ქვემო ქართლში 2010 წელს მხოლოდ 15% ამჩნევდა პოლიციის მანქანას, 2011 წელს ეს მაჩვენებელი 28%-მდე გაიზარდა.

საშუალოდ ეს მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით დადებითად შეფასდა გამოკითხულთა 40.4%-ის მიერ 2010 წელს და – 51.3%-ის მიერ 2011 წელს.


**გრაფიკი #26. პოლიციის გამოჩენა რეგიონების მიხედვით (ჯამურად „სულ ცოტა, ერთხელ დღეში“ და „სულ ცოტა, ერთხელ კვირაში“).**

2011 წელი



შეკითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან პოლიციის მუშაობით რესპონდენტები თავიანთი პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით, გამოკითხულთა 60%-მა უპასუხა, რომ კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია, 26,5% უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილო დარჩა, 9,8%-მა ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა, 3,7%-მა კი შეფასებისაგან თავი შეიკავა.

#### გრაფიკი #27. კმაყოფილება პოლიციის მუშაობით



#### ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა


კითხვაზე „ბოლო 5 წლის განმავლობაში, სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში გისარგებლიათ თუ არა პირადად თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს ადვოკატის მომსახურებით?“ 2011 წლის კვლევის მიხედვით 115-მა რესპონდენტმა (3.8%) გასცა ამ შეკითხვას დადებითი პასუხი. გამოკითხულთა 60.6%-ს სმენია უფასო იურიდიული დახმარებისა და სახაზინო ადვოკატის შესახებ. იმ პირთა შორის, ვინც ისარგებლა ადვოკატის მომსახურებით, 56.1%-მა არჩია კერძო ადვოკატის დაქირავება, 38%-ს კი სახაზინო ადვოკატი მოემსახურა. რესპონდენტთა 17.3% უფრო ენდობა სახაზინო ადვოკატს, 66.8% კი - კერძო ადვოკატს, არცერთ მათგანს არ ენდობა -12.3%, შეკითხვა უპასუხოდ დატოვა 3.6%-მა.

**პროკურატურასთან ურთიერთობის გამოცდილება**

კვლევისას 112-მა რესპონდენტმა (3.7%) განაცხადა, რომ ჰქონია შეხება პროკურატურასთან ბოლო 5 წლის განმავლობაში. მათგან 31 (27.2%) გახლდათ ექვმიტანილის, 13 (დაახლოებით 11.6%) - მოწმის, 53 (47.5%) - დაზარალებულისა და ორიც (1.8%) - იურისტის სტატუსით. 2011 წლის მონაცემებით 2010 წელთან შედარებით პროკურატურასთან ურთიერთობაში მყოფ რესპონდენტთა რაოდენობა შემცირდა 16 ერთეულით (0.5%)

პროკურატურასთან შეხებაში მყოფ რესპონდენტთა დაახლოებით მესამედმა, ანუ 44%-მა განაცხადა, რომ სრულად ან ნაწილობრივ კმაყოფილია ამ უწყების მომსახურებით, უფრო მეტმა - 39%-მა თქვა, რომ უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა გაწეული მომსახურებით. გამოკითხულთა 12%-მა გამოხატა ნეიტრალური პოზიცია.

**გრაფიკი #28. პროკურატურის მუშაობით კმაყოფილება**




საინტერესო იყო, რამ გამოიწვია რესპონდენტების უკმაყოფილება პროკურატურით. რესპონდენტთა 45.1% საერთოდ ვერ ან არ ასახელებს მიზეზს; 16.6% - უჩივის შეტყობინების გვიან გამოგზავნას; 15.5% - ქონების დაუბრუნებლობას; 10.3% - გამოძიების გაჭიანურებას. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 0.9% (აბსოლუტურ მონაცემებში - 1 პიროვნება) უჩივის უხეშობას ან უსამართლო მოპყრობას.

**სისხლის სამართლის სასამართლოსთან ურთიერთობა**

რესპონდენტთა 3.4%-ს (2010 წელს 4.2%) ჰქონდა ურთიერთობა სისხლის სამართლის სასამართლოს სტრუქტურებთან, მათ შორის: 37.3 %-ს მჯავრდებულის, 11.4% -ს მოწმის და 33.1% -ს დაზარალებულის სტატუსით. სასამართლოს სერვისით კმაყოფილი დარჩა რესპონდენტთა 35%, ხოლო უკმაყოფილო - 34%. 2011წ უმნიშვნელოდ შემცირდა კმაყოფილ რესპონდენტთა რაოდენობა 36%-დან 35%-მდე, მაგრამ საგრძნობლად იკლო უკმაყოფილოთა მაჩვენებელი 43%-დან 34%-მდე.

გრაფიკი #29



სისხლის სამართლის სასამართლოს იმიჯის გაუმჯობესების ტენდენციის სასარგებლოდ მეტყველებს რესპონდენტების დამოკიდებულება ისეთი ახალი სოციალური მოვლენის მიმართ, როგორც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტია. რესპონდენტთა 23.5% თანახმაა, გახდეს ნაფიცი მსაჯული, 15.8% - კატეგორიულად წინააღმდეგია, 24.9% აცხადებს, რომ „შეიძლება დათანხმდეს“, ხოლო 13.1% - „უფრო არ დათანხმდება“, 21%-მა არ უპასუხა შეკითხვას.

**საზოგადოებრივი აზრი სამართალდამცავი უწყებების მიმართ**

კითხვაზე „რა წყაროდან მიღებულმა ინფორმაციამ განაპირობა თქვენი დამოკიდებულება სამართალდამცავი უწყებებისადმი“

რესპონდენტებმა დაასახელეს წყაროები, რომლებიდანაც ღებულობენ ამ ინფორმაციას. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტმა რესპონდენტმა (70%-81.9%) ასეთ წყაროდ დაასახელა ტელევიზია, აგრეთვე მეგობრები - 10%-13% და პირადი გამოცდილება - 3-10%. 2010 წელთან შედარებით ეს მონაცემები არ შეცვლილა.

**ცხრილი#21. ინფორმაციის მიღების წყაროები**

	ტელევიზია	მეგობრები	პირადი გამოცდილება	სხვა	არ ვიცი
საპატრულო პოლიცია	70.2	14.1	10.8	4.5	0.4
პოლიცია	72.5	13.0	8.8	5.5	0.2
პროკურატურა	81.4	9.1	4.5	4.5	0.4
სასამართლო	81.1	9.9	4.1	4.6	0.3
სასჯელაღსრულების სისტემა	81.9	9.9	3.0	4.9	0.3



### სასჯელის შეფარდების სამართლიანობის შეფასება

საზოგადოებაში სასჯელის შეფარდების მიმართ არსებული დამოკიდებულების გასაანალიზებლად რესპონდენტებს დაუსვეს EU ICVS მიერ გამოყენებული სტანდარტული შეკითხვა: “თუ 21 წლის ახალგაზრდა მეორეჯერ არის შემჩნეული ბინის ქურდობაში და ამჯერად მან ფერადი ტელევიზორი მოიპარა, რომელი სასჯელი მიგაჩნიათ მისთვის ყველაზე შესაფერისად?”

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა რესპონდენტებმა გამოავლინეს დემოკრატიული მიდგომა სასჯელის სახეობის და ვადის განსაზღვრის კუთხით. მხოლოდ გამოკითხულთა 21.9%-მა (2010 წელს-32.0%) ჩათვალა, რომ ეს უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთა, სხვებმა დაასახელეს სხვა ალტერნატიული ზომები. ევროკავშირის მიერ ჩატარებულ კვლევაში (2004 წლის მონაცემებით) რესპონდენტთა 38%-მა სასჯელის ზომად აირჩია პატიმრობა, 48%-მა სხვა ალტერნატიული სასჯელი (საბერძნეთის გარდა). განვითარებად ქვეყნებში რესპონდენტების უმეტესი ნაწილი - 52% მხარს უჭერს თავისუფლების აღკვეთას, 22% - სხვა ზომებს.<sup>10</sup>

**ცხრილი #22. სასჯელი 21 წლის ახალგაზრდა ბიჭისათვის, რომელიც მეორეჯერ არის შემჩნეული ბინის გაქურდებაში და ამჯერად ფერადი ტელევიზორი მოიპარა.**

	2010		2011	
ჯარიმა	561	18.7%	496	16.5%
თავისუფლების აღკვეთა	960	32.0%	658	21.9%
საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო	686	22.9%	1,150	38.3%
პირობითი სასჯელი	520	17.3%	461	15.4%
რეზილიტაცია ეკლესიის დახმარებით	5	0.2%	-	-
არ დავსჯიდი	1	0.0%	-	-
ეკლესიამ უნდა აიყვანის თავისი მეთვალყურეობის ქვეშ	0	0.0%	-	-
გაფრთხილება	8	0.3%	-	-
არვიცი	254	8.5%	221	7.4%
დაასაქმონ	3	0.1%	-	-
თუ გაჭირვებულია - ჯარიმა, თუ არა - თავისუფლების აღკვეთა	1	0.0%	-	-
ხელის მოჭრა	1	0.0%	1	0.0%

<sup>10</sup> Jan Van Dijk, Jonh Van Kesteren - Criminal victimization in international perspective. UN Office on Drug and Crime 2005 p. 151-152



კითხვაზე, თუ „რა ვადით უნდა აღიკვეთოს დამნაშავეს თავისუფლება?“ რესპონდენტთა 58.2%-მა (2010 წელს - 55.2%) უპასუხა, რომ ეს ვადა უნდა იყოს 1-დან 3 წლამდე; 5.8%-მა (2010 წელს - 9.6%) - 6 თვიდან - 1 წლამდე; 24.7%-მა (2010 წელს - 25%) კი ჩათვალა, რომ სასჯელის ვადა უნდა იყოს 4-დან -25 წლამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რესპონდენტების უმეტესება ობიექტურად აფასებს კონკრეტული დანაშაულის სოციალურ საშიშროებასა და სიმძიმეს და მოითხოვს სამართლიან სასჯელს 1-3 წლამდე.

**ხრილი #23. შეკითხვა: რა დროით უნდა აღიკვეთოს მისი თავისუფლება?**

	2010		2011	
1 თვით ან ნაკლები	6	0.6%	1	0.2%
2-6 თვე	27	2.8%	19	3.0%
6 თვე – 1 წელი	92	9.6%	38	5.8%
1 წელი	127	13.2%	102	15.5%
2 წელი	242	25.2%	164	24.9%
3 წელი	161	16.8%	118	17.9%
4 წელი	66	6.8%	54	8.2%
5 წელი	92	9.6%	65	9.9%
6-10 წელი	61	6.3%	34	5.1%
11-15 წელი	3	0.3%	6	0.9%
16 - 20 წელი	5	0.6%	3	0.4%
21 - 25 წელი	13	1.4%	1	0.2%
არ ვიცი	64	6.7%	53	8.1%

**დასკვნები:**

კვლევამ აჩვენა, რომ 2011 წელს 2010 წელთან შედარებით რესპონდენტთა დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო სისტემის მიმართ მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ყველაზე მაღალ ნდობას, რესპონდენტთა აზრით, იმსახურებს საპატრულო პოლიცია, რომელიც ყველა მაჩვენებლით წინ უსწრებს სხვა ძალოვან სტრუქტურებს;

რეიტინგითმეორე ადგილზე პოლიციაა (საპატრულო პოლიციის გამოკლებით);

მესამე პოზიციას იკავებს პროკურატურა;

მეოთხეს - ადვოკატთა ასოციაცია (მხოლოდ 2011 წლის გამოკითხვის შედეგებით)

მეხუთეს - სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო.

აუცილებელია აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ პროკურატურის და სასამართლოს შეფასებისას რესპონდენტთა 21-მა პროცენტმა უარი თქვა პასუხის გაცემაზე, რაც უდავოდ აისახა საბოლოო შედეგებზე.

სამართალდამცავი და სასამართლო სისტემების მიმართ დამოკიდებულება გამოკვეთილად რეგიონულ ხასიათს ატარებს. შედარებით დადებითია განწყობა

ძალოვანი სტრუქტურების მიმართ კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, ხოლო შედარებით უარყოფითი - აჭარაში, სამეგრელოში, იმერეთსა და რაჭა/სვანეთში.

ასაკობრივი ნიშნის მიხედვით ძალოვანი სტრუქტურების შეფასებისას ყველაზე კრიტიკულნი არიან 30-50 წლის პირები, ხოლო უფრო ლოიალურნი - რესპონდენტები 50 წლის ზემოთ;

როგორც კვლევამ გვიჩვენა, ოჯახის წევრთა რაოდენობა, ჯამური შემოსავლის სიდიდე და ნასამართლეობა არსებით გავლენას არ ახდენენ რესპონდენტთა პასუხებზე.

**სასჯელის ლიბერალიზაცია**

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტები საკმაოდ ადეკვატურად აფასებენ დანაშაულის სიმძიმეს და გვთავაზობენ შესაბამისი სასჯელის დანიშვნას.

ცხრილში დანაშაულთა სახეობები განლაგებულია სასჯელის სიმძიმის მიხედვით - მძიმედან ნაკლებად მძიმე დანაშაულამდე.

რესპონდენტების აზრით, განსაკუთრებით მკაცრ სასჯელს იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებიც ნარკობიზნესით არიან დაკავებული. გამოკითხულთა 86% -ის აზრით, ისინი უნდა დაისაჯონ თავისუფლების აღკვეთით. რესპონდენტთა უმრავლესობას ძალიან ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის პრობლემის მიმართ და მიაჩნია, რომ საქართველოსთვის ეს არის მთავარი კრიმინალური პრობლემა.

გამოკითხულთა უმრავლესობა (76%) თვლის, რომ მარცვა უნდა დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით.

**ცხრილი #24. მოსახლეობის მიერ სხვადასხვა დანაშაულის სიმძიმის შეფასება\***

	სხვა სასჯელები (%)	თავისუფლების აღკვეთა (%)
ნარკოტიკების უკანონო გასაღება	6	86
ნარკოტიკების საქართველოში უკანონოდ შემოტანა, გატანა ან საერთაშორისო გადაზიდვა ტრანზიტით	5	86
ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა	7	84
მარცვა	15	76
ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	15	73
იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებლის გატაცება ან გამოძალვა	15	72
მძევლად აყვანა	18	71
ქურდობა	22	69
ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების უკანონო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	19	69
ნარკოტიკის შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება	36	53
იძულება	40	48
თაღლითობა	44	46
მუქარა	44	45

	სხვა სასჯელები (%)	თავისუფლების აღკვეთა (%)
მითვისება ან გაფლანგვა	48	41
ქრთამის აღება	49	40
ფალსიფიკაცია	52	38
ხულიგნობა	59	31
სამსახურებრივი სიყალბე	61	27
დეზერტირობა	62	24
უკანონო სამეწარმეო საქმიანობა	66	22
კრედიტის უკანონოდ მიღება	64	22
საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა	68	18
სამხედრო ნაწილის ან სამსახურის სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება	71	16
მომხმარებლის მოტყუება	81	10

\*ლიბერალიზაცია 2011 წელს საერთოდ იქნა ამოღებული კითხვარიდან

#### არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემა

ცხრილი #25.შეკითხვა: რა სახის დანაშაულია არასრულწლოვნებს შორის გავრცელებული?

	2010	2011
ხულიგნობა	34%	29%
მკვლელობა	24%	18%
ქურდობა	23%	17%
ნარკომანია	20%	15%
დანისტარება	16%	6%
დაჭრა	12%	4%
ჩხუბი	8%	9%
გაუპატიურება	4%	3%
მარცვა	3%	1%
ყაჩაღობა	3%	2%
ცეცხლსასროლი იარაღი სტარება	1%	0%
ძალადობა	1%	4%
ქუჩური გარჩევა		2%
ალკოჰოლის მოხმარება	1%	1%
სხვა	6%	6%

შენიშვნა: რესპონდენტების მიერ დასახელებულ სხვა კატეგორიის დანაშაულში შედის: ალკოჰოლის მოხმარება, ფიზიკური ანგარიშსწორება, ბილწსიტყვაობა, შეურაცხყოფა, თაღლითობა, პროსტიტუცია, მუქარა, ნარკოტიკების გავრცელება, სიგარეტის მოწევა, სხეულის განზრახ დაზიანება, ტოქსიკომანია, შანტაჟი/ფსიქოლოგიური ზეწოლა.

**ცხრილი #26. შეკითხვა: თუ გსმენიათ დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფოს მიერ გატარებული ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ემსახურებიან არასრულწლოვანთა დანაშაულობის დონის შემცირებას?\***

სატელევიზიო რგოლები	68%
სკოლებში ან სხვა სასწავლო დაწესებულებებში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან შეხვედრა დანაშაულის თავიდან აცილების გზებზე სასაუბროდ.	46%
საინფორმაციოფურცლები, ბროშურები	27%
ბილბორდები რომელიმე კონკრეტული დანაშაულის შესახებ (მაგალითად, ტრეფიკინგისანარკოდანაშაულისწინააღმდეგ)	22%
შსს-ს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს და უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდები	20%
შეხვედრები უბნის ინსპექტორთან	16%


**\*2011 წლის კითხვარში ეს კითხვა ამოღებულია**

**ცხრილი #27. შეკითხვა: თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება იქნება ეფექტური არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის სიხშირის შესამცირებლად?\***

	პირველი დასახელებული	მეორე დასახელებული	მესამე დასახელებული
ოჯახში ურთიერთობების გაუმჯობესება (არასრულწლოვანის სრულფასოვან ოჯახში აღზრდა)	54	10	11
სასჯელისგამკაცრება	6	7	3
შრომის ხელმისაწვდომობა (არასრულწლოვანის დასაქმება)	15	25	12
სასწავლებლებში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა	8	23	12
თავისუფალი დროის რაციონალური დაგეგმვა	6	16	24
თავისუფლების აღმკვეთი ზომების უფრო ფართო გამოყენება	1	2	3
პოლიციაში არასრულწლოვანთა სპეციალიზებული დეპარტამენტის შექმნა	2	4	11
არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნა	1	2	6
საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოების, როგორც სასჯელის ზომის გამოყენების სიხშირის გაზრდა	1	3	8

**\*2011 წლის კითხვარში ეს კითხვა ამოღებულია**

**გრაფიკი #30. შეკითხვა: თქვენი აზრით, რამდენად არის დაცული ბავშვი სკოლაში ძალადობისაგან?**



ცხრილი 28. შეკითხვა: იცნობთ თუ არა ადამიანებს, რომლებიც ატარებენ ქვემოთ ჩამოთვლილ ნივთებს და გთხოვთ დაასახელოთ თითოეული მათგანის ტარების მიზეზი.

**2010 წელი**


	დანა	კასტეტი	სპიცი	სხვა წვეტიანი ნივთი
თავდაცვის მიზნით	3.0	1.3	1.0	1.1
მიღებულია/ყველა ატარებს/"მარიაჟობის" მიზნით	5.1	3.4	2.6	2.8
ჩვევაა	3.3	.6	.4	.4
აქსესუარია	2.7	.8	.7	.6
<b>ჯამი - „ატარებს“</b>	<b>14.1</b>	<b>6.1</b>	<b>4.7</b>	<b>4.9</b>
არ ვიცნობ	84.7	92.4	93.9	93.5
არ ვიცი მიზეზი	1.2	1.5	1.4	1.6

**2011 წელი**


	დანა	კასტეტი	სპიცი	სხვა წვეტიანი ნივთი
თავდაცვის მიზნით	0.9	0.4	0.3	0.3
მიღებულია/ყველა ატარებს/"მარიაჟობის" მიზნით	1.5	0.4	0.4	0.4
ჩვევაა	1.7	0.5	0.3	0.3
აქსესუარია	1.8	0.6	0.5	0.5
<b>ჯამი - „ატარებს“</b>	<b>5.9</b>	<b>1.9</b>	<b>1.5</b>	<b>1.5</b>
არ ვიცნობ	91.6	95.7	96	95.6
არ ვიცი მიზეზი	2.5	2.5	2.5	2.8

**ოჯახური ძალადობა**


გრაფიკი #31. შეკითხვა: თქვენი აზრით, მკაცრად უნდა ისჯებოდეს თუ არა სისტემური ძალადობა ოჯახში?



გრაფიკი #32. შეკითხვა: თქვენი აზრით, რამდენად მწვავედ დგას თანამედროვე საქართველოში ოჯახური ძალადობის პრობლემა?



გრაფიკი #33. შეკითხვა: თქვენ მიმართ განხორციელებული სქესობრივი ძალადობის შემთხვევაში განაცხადებით თუ არა პოლიციაში?



*შენიშვნა: შეკითხვა დაესვა მხოლოდ ქალ რესპონდენტებს*  
**დასკვნა**

საქართველოში კრიმინოგენული მდგომარეობის საგრძნობლად გაჯანსაღების შედეგად, 2007-2010 წლებში მკვეთრად შემცირდა რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა როგორც დედაქალაქში, ისე - რეგიონებში (გარდა ეთნიკური კონფლიქტების ზონებისა). 2010-2011 წწ-ში ჩატარებულმა დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევამ დაასტურა აღნიშნული დადებითი ტენდენცია, რომლის თანახმადაც რესპონდენტებს შორის ვიქტიმიზაციის დონე შემცირდა როგორც აბსოლუტური, ისე პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით. ამჯერად ვიქტიმიზაციის საშუალო დონე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში.

კვლევამ გამოავლინა რესპონდენტთა შორის სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ზრდა, რაც საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების მაღალ დონეზე მიუთითებს.

საზოგადოება კმაყოფილია დანაშაულთან ბრძოლის შედეგებით და ოპტიმიზმით უცქერის ამ კუთხით არსებულ პერსპექტივას.

საზოგადოებაში გაიზარდა სამართლებრივი განათლების დონე და, შესაბამისად, დანაშაულის მიმართ გამოიკვეთა სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია.

**ძირითადი მიგნებები**

1. ბოლო ათწლეულში თანამედროვე საქართველოში დანაშაულის დონის, სტრუქტურისა და დინამიკის ძირითადი მაჩვენებლები მნიშვნელოვანი არასტაბილურობით გამოირჩევა, რაც ყველა ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლის (დანაშაულის კოეფიციენტის, შსს-ს მიერ რეგისტრირებული ყველა დანაშაულის, გასამართლებულების, პატიმრებისა და პრობაციონერების რაოდენობის) ნახტომისებურ ზრდაში ან კლებაში გამოიხატება.
2. ვარდების რევოლუციის შემდეგ დანაშაულთან ბრძოლა იქცა სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტად და მიიღო სისტემური ხასიათი, რაც პოზიტიურად აისახა დანაშაულის ძირითადი ინდექსების შემცირებაზე და კრიმინოგენული მდგომარეობის სტაბილიზაციაზე.
3. დანაშაულის დონესა და დინამიკაზე უარყოფითი გავლენა ვერ მოახდინა 2008 წლის ომმა რუსეთთან, შემდგომმა პოლიტიკურმა დამაბულობამ და ეკონომიკურმა პრობლემებმა, ასევე 2012 წლის მოახლოებულმა არჩევნებმა. კვლევის სამივე ტალღის მონაცემებით (2009-2011 წლების ჩათვლით) დადასტურდა დანაშაულობის ყველა კრიმინოლოგიური მახასიათებლის შემცირება და სტაბილიზაცია, კრიმინოგენული სიტუაციის მკვეთრი გაუმჯობესება.
4. 2003 წლიდან 2007 წლამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააფიქსირა რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობის ზრდა 17397-დან 62283-მდე, ანუ დანაშაულის სიხშირე გაიზარდა 72.1%-ით.
5. 2007-2011 წლებში საქართველოში აღინიშნა რეგისტრირებული დანაშაულის მკვეთრი შემცირება, რაც გამოიხატა რეგისტრირებული ფაქტების რაოდენობის კლებაში 62283-დან 32261-მდე, ანუ დანაშაულის სიხშირე შემცირდა 48.3%-ით. 2011 წელს

- საქართველოში შსს-ს მიერ რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა 2010 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირდა 2478 ერთეულით (7.1%-ით).<sup>11</sup>
6. 2012 წელს კვლევამ (21 დანაშაულის მიხედვით) აჩვენა, რომ გასული 5 წლის განმავლობაში რესპონდენტთა მხოლოდ 12.7% გახდა დანაშაულის მსხვერპლი, რაც 4.1%-ით ნაკლებია 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (16.8%).
  7. ვიქტიმიზაციის დონემ გასული 2011 წლის განმავლობაში (21 დანაშაულის მიხედვით) შეადგინა 4.5%, რაც 1.0%-ით ნაკლებია, ვიდრე 2010 წლის შესაბამისი მაჩვენებელი - 5.5%.
  8. ამჯერად ვიქტიმიზაციის საშუალო დონე საქართველოში ყველაზე დაბალია ICVS კვლევებში მონაწილე ქვეყნებს შორის. გასული 5 წლის განმავლობაში (10 დანაშაულის მიხედვით) ამ მაჩვენებელმა შეადგინა 5%, ანუ დაახლოებით ცხრაჯერ უფრო დაბალია, ვიდრე 30 წამყვანი ევროპის და სხვა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი (45.5%), და თითქმის თერთმეტჯერ ნაკლები, ვიდრე ესტონეთის რესპუბლიკის ანალოგიური მაჩვენებელი (58.4%), რომელიც ICVS -გამოკითხვაში მონაწილე ერთადერთი ქვეყანა გახლდათ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან (2004 წ.).
  9. კვლევამ დაადასტურა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების გამყარების მაღალი დონე. 2012 წელს რესპონდენტთა უმრავლესობა (75.8-73.5%) სრულიად არ შიშობდა, რომ თავად ან მისი ოჯახის წევრი, ან ახლობელი პირი გახდებოდა თავდასხმის (ძალადობის) მსხვერპლი. გამოკითხულ მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა (95%-ზე მეტი) კი საკუთარ საცხოვრებელ ადგილას თავს უსაფრთხოდ გრძნობდა როგორც დღისით, ისე - ღამით.
  10. კვლევამ აჩვენა რომ, საზოგადოება ძირითადად კმაყოფილია დანაშაულთან ბრძოლის შედეგებით და ოპტიმისტურად უყურებს ამ კუთხით არსებულ პერსპექტივას. რესპონდენტთა 70% თვლის, რომ დანაშაულის დონე საქართველოში შემცირდა და გამოკითხულთა მხოლოდ 15.8% მიიჩნევს, რომ დანაშაულის დონემ იმატა; რესპონდენტთა 48%-ის აზრით, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში დანაშაულის დონე კიდევ შემცირდება, 7% კი მიიჩნევს, რომ - გაიზრდება.
  11. კვლევამ დააფიქსირა სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება, რაც მდგრად და შეუქცევად ხასიათს იძენს. საპატრულო პოლიციას ენდობა და სრულიად ენდობა რესპონდენტთა 90.9%; პოლიციას - 85.3%; პროკურატურას - 65.7%; სისხლისსამართლის სასამართლოს - 64.4% და ადვოკატურას - 68.4%.
  12. გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა 87% თვლის, რომ მათ საცხოვრებელ ადგილას პოლიცია ეფექტურად ართმევს თავს დანაშაულთან ბრძოლას. ეს მაჩვენებელი 17%-ით უფრო მაღალია, ვიდრე პოლიციის საქმიანობის შეფასების საშუალო ინდექსი განვითარებულ ქვეყნებში.
  13. კვლევის მიხედვით, საზოგადოებაში იზრდება სამართლებრივი განათლების დონე და დანაშაულის მიმართ იკვეთება სწორი სამოქალაქო პოზიცია. 2011 წელს რესპონდენტთა 60%-მა განაცხადა, რომ ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან, 21%-მა აღნიშნა, რომ შეიძლება ითანამშრომლოს და მხოლოდ 19%-მა თქვა უარი თანამშრომლობაზე.

<sup>11</sup> [http://police.ge/uploads/images/2011st/saqartvelo\\_12\\_2011.pdf](http://police.ge/uploads/images/2011st/saqartvelo_12_2011.pdf)



14. რესპონდენტთა 48.4%-მა განაცხადა, რომ თანახმაა, გახდეს ნაფიცი მსაჯული და მხოლოდ 15.8% -ია ამის წინააღმდეგი.

გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი:

1. Crime in the United States - <http://www2.fbi.gov/ucr/cius2009/index.html>
2. Johnson, H. (2005) *Crime Victimization in Australia: key results of the 2004 International Crime Victimization Survey*. Research and public policy series, no. 64: Canberra, Australian Institute of Criminology
3. Team consult (2006). *Crime victimisation, Fear of Crime, Fraud, Corruption & Policing. Based on a nation-wide public survey, with a focus on four districts of the Samegrelo Region*. Tbilisi - Geneva
4. Van Dijk, J.J.M., Manchin, R., van Kesteren, J.N. & Hideg, G. (2007). *The Burden of Crime in the EU, A Comparative Analysis of the European Survey of Crime and Safety (EU ICS) 2005*. Brussels, Gallup Europe.
5. Van Dijk, J.J.M., van Kesteren, J.N. & Smit, P. (2008). *Criminal Victimization in International Perspective, Key findings from the 2004-2005 ICVS and EU ICS*. The Hague, Boom Legal Publishers
6. Repeat Victimization in the ICVS and the NCVS- [https://dspace.lboro.ac.uk/dspace-jspui/bitstream/2134/780/1/05\\_rv\\_ICVS\\_NCVS.pdf](https://dspace.lboro.ac.uk/dspace-jspui/bitstream/2134/780/1/05_rv_ICVS_NCVS.pdf)

## წამების პრობლემა საქართველოში 2007-2012 წლებში: სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები

### რეზიუმე

სტატიის ავტორმა მოახდინა მოსახლეობის გამოკითხვის ორგანიზება სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, რათა ემპირიულ დონეზე შეესწავლა საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის პრობლემის თაობაზე. ამ მიზნით მომზადდა ორი კითხვარი: **A.**-მოსახლეობის რეპრეზენტატული გამოკითხვა თემაზე „წამება, როგორც ნეგატიური სოციალური პრობლემა და მასთან ბრძოლა“ და **B.**- წამების მსხვერპლი ყოფილი პატიმრების გამოკითხვა.

კვლევამ აჩვენა, რომ:

1. 2012 წლის ოქტომბრამდე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმრებზე ძალადობა (მათი წამება) ატარებდა სისტემურ და მასობრივ ხასიათს;
2. პატიმართა უმრავლესობა ძალადობისა/წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლად იქცა;
3. 2012-2013 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოსახლეობის დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ გაუმჯობესდა.

### შესავალი

2012 წლის შემოდგომის სკანდალური მოვლენების შემდეგ, რომელიც საქართველოს პენიტენციურ სისტემაში პატიმრების მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენებას უკავშირდებოდა, ცხადი გახდა, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ადმინისტრაციის წარმომადგენლების დანაშაულებრივი საქმიანობა ორგანიზებულ და სისტემურ ხასიათს ატარებდა, რაც საჯაროდ იქნა აღიარებული მაშინდელი ხელისუფლების მიერ სააკაშვილის მეთაურობით და რაც 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად იქცა.

საზოგადოებას ერთობ მტკივნეული და ცალსახად ნეგატიური რეაქცია ჰქონდა პატიმრების უფლებების ფეხქვეშ გათელვაზე, რაც უხეშად არღვევდა ქვეყნის კონსტიტუციასა და ადამიანის ყველა უნივერსალურ უფლებას, რომელიც საერთაშორისო კონვენციებსა თუ შეთანხმებებშია ასახული.[1], [2], [5]

სტატიის ავტორმა მოახდინა მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის ორგანიზება სპეციალურად შემუშავებული ანკეტის მიხედვით, რათა ემპირიულ დონეზე შეესწავლა საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის ფაქტებზე. საქართველოში ადრეც ჩატარებულა სოციოლოგიური გამოკითხვები, რომლებიც ვიქტიმიზაციის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევას უკავშირდება. [7].

**გამოკვლევის მეთოდოლოგია.**

**ავტორმა მოამზადა ორი კითხვარი (ანკეტა):**

**1 კითხვარი A.** - მოსახლეობის რეპრეზენტატული გამოკითხვა თემაზე „წამება, როგორც ნეგატიური სოციალური პრობლემა და მასთან ბრძოლა“

**2. კითხვარი B** - წამების მსხვერპლი ყოფილი პატიმრების გამოკითხვა

A კითხვარის გამოყენებით ავტორის მიერ გამოკითხულ იქნა 300 რესპონდენტი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო მდებდრობითი სქესის 156-მა და მამრობითი სქესის 144-მა წარმომადგენელმა. გამოიკვეთა 6 ასაკობრივი ჯგუფი (იხ. ცხრილი # 1.)

<b>ცხრილი #1. რესპონდენტების რაოდენობა ასაკის მიხედვით</b>		
1.	16-18 წლის	42
2.	19-24 წლის	49
3.	24-29 წლის	51
4.	30-49 წლის	54
5.	50-64 წლის	54
6.	65 და მეტი წლის	50

**წამება, როგორც ნეგატიური სოციალური პრობლემა და მასთან ბრძოლა**

რესპონდენტებს დაუსვეს შემდეგი სახის შეკითხვები: ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოში არ არსებობს წამებისგან დაცვის რეალური გარანტიები. რესპონდენტთა 72%-მა აღნიშნულ შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა, 15%-მა აღნიშნა, რომ ასეთი გარანტიები არსებობს, 13%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა. ყველაზე პესიმისტურად იყვნენ განწყობილი 24-29 და 30-49 წლის ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტები, ყველაზე ოპტიმისტურად - 65 და მეტი წლის პირები (იხ. ცხრილი #2).

<b>ცხრილი #2. ეთანხმებით თუ არა, რომ საქართველოში არ არსებობს წამებისგან დაცვის რეალური გარანტიები.</b>		
1.	ვეთანხმები	72%
2.	არ ვეთანხმები	15%
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	13%

შემდეგ შეკითხვაზე (იხ. ცხრილი #3.) - ეთანხმებით თუ არა, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან წამებისგან დაცვის გარანტიები გაიზარდა, დადებითი პასუხი გასცა რესპონდენტთა 64-მა პროცენტმა, 12%-ის აზრით, ამგვარი გარანტიები შემცირდა, ხოლო 24-მა პროცენტმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. უფრო ოპტიმისტურად არიან განწყობილი 19-24 და 24-29 წლის ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტები.

წინა ორ შეკითხვაზე გაცემული პასუხები, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, რესპონდენტთა დაახლოებით 2/3 თვლის, რომ ქვეყანაში არ არსებობს წამებისგან დაცვის მკაფიო გარანტიები, მეორე მხრივ კი, გამოკითხულთა 60-ზე მეტი პროცენტის აზრით, 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აღნიშნული გარანტიები გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი წინააღმდეგობრიობა მოჩვენებითია, ვინაიდან 1-ლ შემთხვევაში შეფასდა პატიმართა მდგომარეობა მთლიანად 2013 წლის განმავლობაში და მაღალი საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო მეორე შემთხვევაში მოხდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე პერიოდის შეფასება, როდესაც პატიმრები აბსოლუტურად უუფლებონი იყვნენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა თაობა უფრო პოზიტიურად აფასებს ახალი ხელისუფლების მიღწევებს, რითაც მას პერსპექტივაზე გათვლილ „ნდობის კრედიტს“ ანიჭებს.

<b>ცხრილი #3. ეთანხმებით თუ არა, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან წამებისგან დაცვის გარანტიები გაიზარდა</b>		
1.	გაიზარდა	64%
2.	შემცირდა	12%
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	24%

შეკითხვაზე (იხ. ცხრილი #4.), თუ რამდენად ხშირად გამოიყენება წამება 2013 წელს, რესპონდენტთა 12-მა პროცენტმა უპასუხა, რომ - სისტემატურად, 10%-მა ჩათვალა, რომ - ეპიზოდურად, 50%-მა აღნიშნა, რომ წამება საერთოდ არ გამოიყენება, ხოლო 28%-ს გაუჭირდა პასუხის გაცემა.

<b>ცხრილი #4. თვლით თუ არა, რომ 2013 წლის მონაცემებით საქართველოში წამება</b>		
1.	არ გამოიყენება	50%
2.	გამოიყენება ეპიზოდურად	10%
3.	გამოიყენება სისტემატურად	12%
4.	მიჭირს პასუხის გაცემა	28%

თუმცა, მაღალი ოპტიმიზმის მიუხედავად (იხ. ცხრილი #5) რესპონდენტების 62% ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ძალადობისგან მოქალაქეთა რეალური დაცვისათვის ქვეყანაში აუცილებელია სპეციალური ზომების მიღება, 15% აღნიშნულს საჭიროდ არ მიიჩნევს, 23% -ს კი არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია.

<b>ცხრილი #5. ეთანხმებით თუ არა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების ძალადობისგან მოქალაქეთა რეალური დაცვისათვის ქვეყანაში აუცილებელია სპეციალური ზომების მიღება:</b>		
1.	ვეთანხმები	62%
2.	არ ვეთანხმები	15%
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	23%

ამავდროულად, რესპონდენტები აცნობიერებენ (ცხრილი #6), რომ წამების წინააღმდეგ სპეციალური ზომების მიღებამ სამართალდამცავ ორგანოებს შეიძლება ხელი შეუშალოს დანაშაულის ეფექტიან გამოძიებაში. ამ მოსაზრებას ეთანხმება გამოკითხულთა 35%, არ ეთანხმება 44%, ხოლო 26%-ს არ აქვს პასუხი.

გამოკითხვის შედეგები მეტყველებენ, რომ მიუხედავად სამართალდამცავების მუშაობის ეფექტიანობის შესაძლო შემცირებისა, რესპონდენტებისთვის ძირითადად მიუღებელია ადამიანის უფლებების დარღვევა და დამნაშავის წამება აღიარების მიღების ან სხვა დანაშაულის გახსნის მიზნით.

<b>ცხრილი #6. წამების წინააღმდეგ სპეციალური ზომების მიღებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის ეფექტიან გამოძიებაში:</b>		
1.	ვეთანხმები	35%
2.	არ ვეთანხმები	44%
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	26%

შეკითხვაზე (იხ. ცხრილი #7) „თვლით თუ არა, რომ თქვენ, თქვენს ახლობლებს, მეგობრებსა და ნათესავებს შეიძლება დასჭირდეთ წამებისაგან რეალური დაცვა?“, მხოლოდ 21% -მა განაცხადა, რომ ეს სავსებით შესაძლებელია, 29%-ს ეს ნაკლებად შესაძლებლად მიაჩნია, 31% გამორიცხავს მსგავს შესაძლებლობას, ხოლო 19-მა პროცენტმა შეკითხვას არ უპასუხა.

<b>ცხრილი #7. „თვლით თუ არა, რომ თქვენ, თქვენს ახლობლებს, მეგობრებსა და ნათესავებს შეიძლება დასჭირდეთ წამებისაგან რეალური დაცვა?“</b>		
1.	ეს გამორიცხულია	31%
2.	ნაკლებად შესაძლებელია	29%
3.	სავსებით შესაძლებელია	21%
4.	მიჭირს პასუხის გაცემა	19%

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წამების პრობლემის გაშუქების ინტენსივობასთან დაკავშირებით, რესპონდენტთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი 8):

ცხრილი #8. თვლით თუ არა, რომ 2012წ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წამების პრობლემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში შუქდება:		
1.	ძალიან ხშირად	44%
2.	საჭირო მოცულობით	31%
3.	არასათანადოდ	14%
4.	მიჭირს პასუხის გაცემა	11%

ანუ, შეკითხვაზე, თუ რამდენად ხშირად შუქდება წამების პრობლემა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, გამოკითხულთა 44%-მა უპასუხა, რომ - ძალიან ხშირად, 35%-მა აღნიშნა, რომ - საკმარისად. 14%-ის აზრით - არასათანადოდ, 11-მა პროცენტმა კი შეკითხვას პასუხი არ გასცა. შეიძლება აღინიშნოს, რომ მიღებული მონაცემები მეტყველებს მედიის თავისუფლებაზე და, ზოგადად, დემოკრატიზაციის მაღალ დონეზე ქვეყანაში.

უნდა ითქვას, რომ პრესასა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში წამების ცნება ან სახელმწიფო სტრუქტურების ზოგიერთი ქმედება წინასწარგანზრახვით ან მის გარეშე მახინჯდება. ასე, მაგალითად, 2010 წლის აპრილში კენედის ჰარვარდის სკოლის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ისეთმა მედიაცენტრებმა, როგორც „ნიუ იორკ თაიმსი“ და „ლოს ანჯელეს თაიმსია“, შეწყვიტეს ტერმინ „წამების“ გამოყენება მსხვერპლის თავის წყალში ჩადირვასთან დაკავშირებით (waterboarding), რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიმართავდა 2008-2010წლებში. [4]

პარალელურად, გაირკვა, რომ პრესა იგივე ქმედებას თვალდაუხამხამებლად უწოდებდა წამებას, თუ მას სხვა ქვეყნების ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები მიმართავდნენ.[3] აღნიშნული კვლევა ანალოგიური გახლდათ კომპანია მანუფაქტურინგ კონსენტის (*Manufacturing Consent The Political Economy of the Mass Media*)[6] მიერ ჩატარებული კვლევისა ტერმინ „გენოციდის“ გამოყენებასთან დაკავშირებით, იმისდამიხედვით, მეგობრული თუ მტრული სახელმწიფოების ქმედებას ასახავდა ის.[5]

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მედია სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება და ინფორმაცია წამების ფაქტებზე სახელმწიფო სტრუქტურების მონაწილეობით პრაქტიკულად არ შუქდება. პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებაც ცდილობდა, მაქსიმალურად შეეზღუდა თავისუფალი მედიის საქმიანობა, განსაკუთრებით ძალოვანი სტრუქტურების საქმიანობის გაშუქების კუთხით.

საინტერესოდ მიგვაჩნია პასუხი შეკითხვაზე „უნდა შეიცვალოს თუ არა პასუხისგების სიმძიმე წამების მიყენების გამო?“ (იხ. ცხრილი #9). მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელისუფლება სისხლისსამართლის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დეკრიმინალიზაციის პოლიტიკას ატარებს, რესპონდენტთა 35% თვლის, რომ პასუხისგების სიმძიმე ზოგადად უნდა გამკაცრდეს, 27%-ის აზრით, სასჯელი ზოგიერთ შემთხვევაში უნდა გამკაცრდეს, ზოგიერთ შემთხვევაში კი შემსუბუქდეს, 10% მიიჩნევს, რომ იგივე უნდა დარჩეს,

16%-ს უჭირს პასუხის გაცემა და მხოლოდ 12%-ია შემცირების მომხრე. შედეგები გვიჩვენებს, რომ რესპონდენტები წამებას (მათ შორის, პატიმრებისას) სრულიად მიუღებელ მოვლენად თვლიან და მათი 62% სასჯელის კიდევ უფრო მეტად გამკაცრებას ემხრობა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, სასჯელის მაქსიმალურ გამკაცრებას მხარს უჭერენ უფროსი (50-64 წლამდე) და 65 წელზე მეტი ასაკის მქონე პირთა ჯგუფების წარმომადგენლები, თუმცა, ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფშიც (24-29 წლამდე) მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრე 55%-ზე მეტი რესპონდენტია. გენდერულ ჭრილში მკაცრი მიდგომების მომხრეთა რაოდენობა პრაქტიკულად თანაბარია: 54% მამაკაცი და 46%-ქალბატონი.

<b>ცხრილი #9. უნდა შეიცვალოს თუ არა პასუხისგების სიმძიმე წამების მიყენების გამო?</b>		
1.	ზოგადად უნდა გამკაცრდეს	35%
2.	ზოგიერთ შემთხვევაში გამკაცრდეს, ზოგიერთ შემთხვევაში კი შემსუბუქდეს	27%
3.	დარჩეს, როგორცაა	10%
4.	ზოგადად შემსუბუქდეს	12%
5.	მიჭირს პასუხის გაცემა	16%

კითხვაზე “თვლით თუ არა რომ საზოგადოების პრობლემების გადაჭრისათვის საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება ასოციალური და კრიმინალური პირებისაგან მის გასათავისუფლებლად” (იხ. ცხრილი#10), რესპონდენტთა 56% პასუხობს, რომ საჭიროა; 25%-ის აზრით - არ არის საჭირო, 19% -ს კი პასუხის გაცემა უჭირს. მკაცრი ზომების მომხრეთა შორის გამოირჩევენ უფროსი ასაკობრივი ჯგუფების (30-49 და 50-64) წარმომადგენლები, მეტად ლიბერალურები არიან ახალგაზრდები. გენდერულ ჭრილში ქმედითი ღონისძიებების გატარების მომხრეთა შორის მამაკაცი 59%-ია; ქალბატონი - 41%.

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა პასუხებმა გამოავლინეს საზოგადოების კონსერვატიული განწყობები, რომლებიც „მკაცრი ხელის“ პოლიტიკასა და მკაცრი სასჯელების შენარჩუნებაზეა ორიენტირებული.


<b>ცხრილი #10. თვლით თუ არა რომ ჩვენი საზოგადოების პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება ასოციალური და კრიმინალური პირებისაგან მის გასათავისუფლებლად:</b>		
1.	საჭიროა	56%
2.	არ არის საჭირო	25%
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	19%

ანკეტირების ერთ-ერთი მიზანი პრობლემებში საზოგადოების ჩართულობის კვლევა იყო. გამოკითხვამ აჩვენა, რომ (იხ. ცხრილი#11) რესპონდენტთა თითქმის ნახევარს (46%) უკანასკნელი 5 წლის ( 2012 წლის ჩათვლით) განმავლობაში პოლიციასთან ურთიერთობა არ ჰქონია. მათ შორის, ვისაც ჰქონდა ეს ურთიერთობა, ლოგიკურია, რომ ყველაზე მეტი არიან ის გამოკითხულები (21%), რომლებსაც საპატრულო პოლიციამ დოკუმენტები შეუმოწმა ან გზებზე გააკონტროლა. ამ კუთხით გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ საგზაო-სატრანსპორტო დარღვევების მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქსირდება ავტომატურად (ვიდეოკონტროლის კამერებით), ამიტომ პოლიციასთან პირდაპირი კონტაქტების რაოდენობა შემცირებულია და ეს ტენდენცია გრძელდება. გამოკითხულთა 11% გაჩხრიკეს ან დააკავეს. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობის მაჩვენებელი სულ 4.5 მილიონია 14 წლამდე ასაკის პირების ჩათვლით. გამოკითხულთა 5% გასამართლებულია, ხოლო 3%-ს სასამართლოს გადაწყვეტილებით თავისუფლება აღეკვეთა. გამოკითხულთა 5-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ჰქონდა დაზარალებულის ან მოწმის სტატუსი სისხლის სამართლის საქმეში. ზემოთ მოყვანილი მონაცემები შეიძლება არ ემთხვეოდეს აბსოლუტურ მაჩვენებლებს, მაგრამ მიუთითებენ განსაზღვრულ ტენდენციებზე.

<b>ცხრილი #11. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) გქონიათ თუ არა შეხება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან? კერძოდ:</b>		რაოდენობა	%
1.	როგორც დაზარალებულს ან მოწმეს სისხლის სამართლის საქმეში	14	5%
2.	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო	11	4%
3.	შეგიმოწმეს დოკუმენტები ან პატრულის მხრიდან თქვენ მიმართ გზებზე კონტროლი განხორციელდა	65	21%
4.	გაგჩხრიკეს ან დააკავეს	35	11%
5.	გაგასამართლეს	13	5%
6.	აღგეკვეთათ თავისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილებით	8	3%
7.	სხვა	12	4%
8.	არ გქონდათ	140	46%



თვალსაჩინოებისთვის ასევე იხ.: გრაფიკი #1



კვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ (იხ. ცხრილი #12) რესპონდენტთა უმრავლესობას არ ჰქონია რაიმე კონფლიქტი სამართალდამცავ ორგანოებთან. მათ შორის, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა პოლიციასთან უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, 19%-ს ჰქონდა ერთჯერადი კონფლიქტი, 5%-ს - არაერთჯერადი, 4%-ს - მრავალჯერადი ხოლო 16-მა პროცენტმა უარი თქვა პასუხის გაცემაზე. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციასთან კონფლიქტი საქართველოში საკმაოდ გავრცელებულია და უფრო ხშირად ცხელი პოლემიკის და პასიური დაუმორჩილებლობის ხასიათს ატარებს.

ცხრილი #12. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) რამდენად ხშირად გქონიათ კონფლიქტური სიტუაცია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან?		
1.	არცერთხელ	56%
2.	ერთხელ	19%
3.	რამოდენიმეჯერ	5%
4.	ხშირად	4%
5.	ვერ გიპასუხებთ	16%

კითხვაზე “გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წაწყდომიხართ თუ არა რეალურ ძალადობას ან ძალადობის მუქარას” (იხ. ცხრილი #13), რესპონდენტების 46-მა პროცენტმა განაცხადა, რომ არ წაწყდომია ძალადობასა და ძალადობის მუქარას პოლიციის მხრიდან, 25-მა პროცენტმა დაადასტურა, რომ წაწყდომია ერთჯერადად, ხოლო 13-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ხშირად ჰქონია კონფლიქტი მათთან. პასუხის გაცემისგან თავი გამოკითხულთა 16-მა პროცენტმა შეიკავა. მოსახლეობასთან პოლიციის კონფლიქტის მაღალი დონის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რამდენად სერიოზული იყო სოციალური და

პოლიტიკური დამაბულობა საქართველოში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში და რამდენად პოლიტიზირებული იყო პოლიცია, რომელიც ხშირად იძულებული იყო უჩვეულო ფუქციები შეესრულებინა. სწორედ ამიტომ, 2007-2012 წლებში მოსახლეობა პოლიციას აღიქვამდა არა როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დამცველ და დანაშაულის აღმკვეთ ორგანოს, არამედ, როგორც პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ძალაუფლების შესანარჩუნებლად მოფუნქციონირე რეპრესიულ ორგანოს.

<b>ცხრილი #13. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან წაწყდომიხართ თუ არა რეალურ ძალადობას ან ძალადობის მუქარას?</b>		
1.	არცერთხელ	46%
2.	ერთხელ	25%
3.	ხშირად	13%
4.	ვერ გიპასუხებთ	16%

შეკითხვაზე, თუ, რამდენად ხშირად ატარებდა პოლიციის მხრიდან ძალადობა უკანონო ან გაუმართლებელ ხასიათს (იხ. ცხრილი #14), რესპონდენტების 51%-მა მიუთითა, რომ - ერთხელ მაინც, 8%-მა განაცხადა, რომ - რამოდენიმეჯერ, 29%-მა არ უპასუხა დასმულ შეკითხვას და მხოლოდ 12%-მა აღიარა, რომ ასეთ გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია.

<b>ცხრილი #14. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) რამდენად ხშირად ატარებდა ეს ძალადობა უკანონო ან გაუმართლებლად სასტიკ ხასიათს?</b>		
1.	არცერთხელ	12%
2.	ერთხელ	51%
3.	რამოდენიმეჯერ	8%
4.	ვერ გიპასუხებთ	29%

შეკითხვაზე “გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) თქვენზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით რამდენად ხშირად იქნა გამოყენებული წამება მესამე პირის (ნათესავის, მეგობრის, კოლეგის) მიმართ?” (იხ. ცხრილი #15) რესპონდენტთა 16 %-მა უპასუხა, რომ მათზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით, მესამე პირი (ნათესავი, მეგობარი, კოლეგა) უწამებიათ. რაოდენობის მიუხედავად, ეს მაჩვენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან მიანიშნებს იმაზე, რომ თავისი მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს რეპრესიული აპარატი ან ამ აპარატის კერძო წარმომადგენლები, არ ერიდებოდნენ სრულიად უდანაშაულო პირების მიმართ არაადამიანულ მოპყრობას. ასეთ ფაქტებს, როგორც წესი, ადგილი აქვს ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნებში, სადაც სამართალდამცავი სისტემა რეპრესიული მანქანის ნაწილია.

<b>ცხრილი #15. გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით) თქვენზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით რამდენად ხშირად იქნა გამოყენებული წამება მესამე პირის (ნათესავის, მეგობრის, კოლეგის) მიმართ?</b>		
---	--	--

1.	არცერთხელ	55%
2.	ერთხელ	16%
3.	რამოდენიმეჯერ	-
4.	ხშირად	-
5.	არ მაქვს პასუხი	29%

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ხშირად აკეთებდა განცხადებას სამართალდამცავი ორგანოების მაღალ რეიტინგსა და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მათ მაღალ ეთიკურ დონეზე, გამოკითხვამ აჩვენა (იხ. ცხრილი #16), რომ გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით), რესპონდენტთა 34% სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან წაწყდომია უწყალობასა და შეურაცხყოფას და 38% - უყურადღებობას და მათი განცხადებებისა თუ ჩივილის უხემ იგნორირებას. ზემოთ აღნიშნული ქმედებები, სულ ცოტა, გულგრილობის ან/და ძალაუფლების გადამეტების გამოხატულებაა, რაც, დაუსჯელობის შემთხვევაში, ხელს შეუწყობს კრიმინალურ ძალადობას/წამებას მოქალაქეების მიმართ ან მათი უფლებების აბუჩად აგდებას.

ცხრილი #16. წამების გარდა, გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით), რამდენად ხშირად წაწყდომიხართ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან შემდეგ ქმედებებს?	არცერთ ხელ	ერთხელ	რამოდენიმე ჯერ	არ მაქვს პასუხი
უწყალობას, შეურაცხყოფას	51%	32%	2%	15%
უყურადღებობას და თქვენი განცხადებებისა თუ ჩივილის უხემ იგნორირებას	42%	35%	3%	10%

### წამების მსხვერპლი ყოფილი პატიმრების გამოკითხვის შედეგები (კითხვარი B)

სტატის ავტორის მიერ ასევე გამოკითხულ იქნა 2012 წლის ოქტომბრამდე პატიმრობაში მყოფი 100 პირი, მათ შორის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. პენიტენციურ დაწესებულებებში ძალადობით დაზარალებულთა უმრავლესობა ვადამდე იქნა გათავისუფლებული, რესპონდენტთა ნაწილმა კი პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიიღო.

პატიმართა წამებისათვის გამოყენებულ მეთოდებს შორის შეიძლება გამოვყოთ პირდაპირი ძალადობა, რომელსაც, როგორც წესი, უფრო ხშირად ვხვდებით და საბჭოთა ციხეებისა და ბანაკების ტრადიციის გადმონაშთს წარმოადგენს. გამოკითხვის შედეგების თანახმად (იხ. ცხრილი #17), რესპონდენტთა 29% (ჯამში) მიუთითებს, რომ მის მიმართ გამოიყენეს მოხრჩობა, 79% ადასტურებს ცემას, დენით წამებას - 17%, ჩამოკიდებას - 12%, წყალში ჩაძირვას - 8%, დამწვრობის

მიყენებას - 5% და ა.შ. პირდაპირი ძალადობის გარდა, ფართოდ გამოიყენებოდა პატიმართათვის აუტანელი პირობების შექმნა, რისი შენიღბვაც იოლი იყო საპატიმროს შინაგანაწესის დამრღვევი პატიმრების დასჯისათვის კანონით დაშვებული ზომებით. ამისათვის მათ ამყოფებდნენ ცივ შენობებში ან ანტისანიტარულ პირობებში, მიმართავდნენ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებას შიშისმომგვრელი ან გამაყრუებელი ბგერებით, ძლიერი შუქით; ამყოფებდნენ იძულებით პოზაში, რისთვისაც მიმართავდნენ დაჭიმვას, ხელბორკილით დაბმას და მსგ., ემუქრებოდნენ იარაღით (11%).

<b>ცხრილი #17. რამდენად ხშირად გამოუყენებიათ თქვენ მიმართ ძალადობის ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმები გასული 5 წლის განმავლობაში (2012 წლის ჩათვლით)?</b>		<b>არასდროს</b>	<b>ერთხელ</b>	<b>ბევრჯერ</b>
1.	წამება მოხრჩობით	71%	25%	4%
2.	წამება ალკვითით (ძილის, წყლის მიწოდების, საჭმლის მიწოდების, ბუნებრივი საჭიროების დაკმაყოფილების და მსგ.)	39%	45%	16%
3.	იძულებითი პოზაში ყოფნით (დაჭიმვით, ხელბორკილით დაბმით და მსგ.)	67%	21%	12%
4.	დაკიდებით, ხელების გადაგრეხვით, ჰაერში სროლით.	88%	8%	4%
5.	იარაღის დემონსტრირებით, მათ შორის დახვერტის იმიტაციით	89%	11%	-
6.	ელექტროდენით	83%	12%	5%
7.	ცემით	21%	54%	25%
8.	წყალში ჩაძირვით	92%	8%	-
9.	ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებით: შიშისმომგვრელი ან გამაყრუებელი ბგერებით, ძლიერი შუქით	46%	38%	16%
10.	ცივ შენობებში ან ანტისანიტარულ პირობებში ყოფნით	11%	44%	40%
11.	სხვა პირების (თანასაკნელების) გამოყენებით თქვენზე ძალადობის განხორციელების მიზნით.	56%	29%	15%
12.	დამწვრობის მიყენებით ცხელი საგნებით, მდლუარეთი, სიგარეტის ნაწვევით	95%	5%	-
13.	სხვა (დააზუსტეთ)	79%	14%	7%

როგორც კვლევამ აჩვენა (იხ. ცხრილი #18), გამოკითხულთა თითქმის ნახევარი ფიზიკური ძალადობის გარდა ექვემდებარებოდა ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რომლის ატანაც ციხის პირობებში განსაკუთრებით მძიმეა, ვინაიდან პატიმრები ისედაც სტრესულ სიტუაციაში იმყოფებიან საკუთარი დაუცველობის გამო, ერთი მხრივ, სახელმწიფო სამართალდამცავი სისტემის წინაშე, მეორე მხრივ, კი სხვა პატიმრების მხრიდან ნეგატიური ზემოქმედების გამო, რომლებიც არაიშვიათად ასრულებდნენ ადმინისტრაციის ბრძანებას კონკრეტულ პირზე ზეწოლის განხორციელების თაობაზე.

<b>ცხრილი #18. ფიზიკური ძალადობის გარდა, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განუხორციელებიათ თუ არა თქვენზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მუქარის გამოყენებით თქვენი ახლობლის ან პირადად თქვენ მიმართ?</b>		
1.	არცერთხელ	39%
2.	ერთხელ	44%
3.	რამოდენიმეჯერ	2%
4.	არ მაქვს პასუხი	15%

საინტერესოდ გვეჩვენება ფიზიკური ძალადობის/ წამების მიზეზების ანალიზი (იხ. ცხრილი #19.) რესპონდენტთა 56%-თვის უფრო ხშირად აღნიშნული მიზეზია: ბრალის აღიარება, საკუთარი თავის ან სხვა პირების წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, ან პირიქით, ჩვენებაზე უარის თქმა, გამოკითხულთა 54%-თვის - გამოძალვა, ფულის ან ქონების ძალით წართმევა, 36%-მა კი ვერ შეძლო დაესახელებინა რაიმე მოტივი, რამაც ის ძალადობის მსხვერპლად აქცია. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 25%-მა პირდაპირ მიუთითა, რომ ძალადობის მიზეზი საპროტესტო აქციებში, სამოქალაქო წინააღმდეგობაში მონაწილეობის იძულება იყო.

<b>ცხრილი #19. რა მიზნით გამოიყენებოდა ფიზიკური ძალადობა თუ ფსიქოლოგიური ზეწოლა და რა სიხშირით?</b>	არასდროს	ერთხელ ან რამდენჯერმე	მრავალჯერ
1. ბრალის აღიარების, საკუთარი თავის ან სხვა პირების წინააღმდეგ ჩვენების მიცემის, ან პირიქით, ჩვენებაზე უარის თქმის მიზნით	28%	56%	6%
2. პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური აუტანლობის გამო	45%	30%	25%
3. შურისძიების მიზნით	53%	35%	12%
4. გამოძალვის, ფულის ან ქონების ძალით წართმევის მოტივით	33%	54%	13%
5. დაცინვისთვის	59%	29%	12%
6. საპროტესტო აქციებში, სამოქალაქო წინააღმდეგობაში მონაწილეობის იძულების მიზნით	67%	25%	8%
7. მოტივი თქვენთვის ამოუხსნელია	55%	36%	9%

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. 2012 წლის ოქტომბრამდე თავისუფლების აღკვეთის ადგილებში პატიმრებზე ძალადობა (მათი წამება) ატარებდა სისტემურ და მასობრივ ხასიათს;
2. პატიმართა უმრავლესობა ძალადობისა/წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლად იქცა;
3. 2012-2013 წლების საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მოსახლეობის დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ გაუმჯობესდა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Национальные механизмы предупреждения пыток на Южном Кавказе  
<http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2013/06/south-caucasus-torture-russian-v8-web.pdf>
2. Istanbul Protocol. Manual on the Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment  
<http://www.ohchr.org/Documents/Publications/training8Rev1en.pdf>
3. [http://en.wikipedia.org/wiki/Propaganda\\_model#cite](http://en.wikipedia.org/wiki/Propaganda_model#cite)
4. <http://shorensteincenter.org/research-publications/>
5. [http://en.wikipedia.org/wiki/Manufacturing\\_Consent:\\_The\\_Political\\_Economy\\_of\\_the\\_Mass\\_Media](http://en.wikipedia.org/wiki/Manufacturing_Consent:_The_Political_Economy_of_the_Mass_Media)
6. Jump up to:<sup>a b c</sup> Torture at Times: Waterboarding in the Media
7. Crime Victimization and Security Research in Georgia. Results of Sociological Survey 2010- 2012  
GORBI International

### შალვა საღირაშვილი

#### საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზი

#### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ნარკოტიკული დანაშაულის ისტორია, ის მოვლენები, რომლებიც ხელს უწყობდნენ აღნიშნული დანაშაულის გავრცელებას. აგრეთვე, ასახულია ქვეყნის მასშტაბით ნარკოტიკული დანაშაულის გავრცელების შედეგები საქართველოს მთავარი პროკურატურისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებულ კვლევის საფუძველზე.

*სტატიაში დამატებით განხილულია საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა ნარკოდანაშაულთან ბრძოლის კუთხით.*

## 1. შესავალი

ნარკომანია და მასთან დაკავშირებული დანაშაულები, ერთ-ერთი ყველაზე უფრო მტკივნეული პრობლემაა არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ბოლო წლების განმავლობაში ნარკომანია განიხილება ისეთ მოვლენად, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობას, არამედ მთელი რიგი ქვეყნებისთვის წარმოადგენს ეროვნული უშიშროებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს.

ნარკობიზნესი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მომგებიანი დანაშაულებრივი საქმიანობაა, შესაბამისად, აღნიშნულ დანაშაულში ჩართული პირები საკმაოდ კარგად არიან ორგანიზებულები, დღეისათვის ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა განიხილება, როგორც ტერორიზმის დაფინანსების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო.

2011 წელს გამოქვეყნებული „ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ მსოფლიო ანგარიშში“ გაეროს ნარკოტიკებისა და სისხლის სამართლის დანაშაულის ოფისის (U.N. Office on Drugs and Crime (UNODC)) წარმომადგენლები საუბრობდნენ ნარკობიზნესის, როგორც ტერორიზმის დაფინანსების წყაროზე. თუმცა, ზუსტი ციფრები ოფისის არც 2011 წლის, არც მომდევნო პერიოდის ანგარიშებში არ ყოფილა მითითებული.[1]

მიუხედავად ამისა, 2012 წელს სტამბულში ჩატარებული კონფერენციის „მსოფლიო ტერორიზმის დაწინაურებისა და დაფინანსების დარგში ნარკოტრეფიკინგის მნიშვნელობის“ მსვლელობისას, რომელიც თურქეთის, აშშ-სა და კოლუმბიის მიერ იყო ორგანიზებული, UNODC-ის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ ტერორიზმის მესვეურები უშუალოდ არიან ჩართულნი ნარკოტრეფიკში.[2, 17]

მიიჩნევა, რომ ავღანეთში წარმოებული 61 მილიარდიანი ოპიატების ბიზნესი დიდწილად სწორედ ტერორიზმის დაფინანსებას ხმარდება [3, 44]

ამასთან, 2003-2004 წლებში მიიჩნეოდა, რომ ტერორისტები დაკავებულნი იყვნენ „გადასახადების აღებით“ იმ პირებისაგან, რომლებიც მათ ტერიტორიაზე ნარკოტიკების წარმოებაში იყვნენ ჩართულნი, ან იმ სახელმწიფოებისაგან დოტაციების მიღებით, რომლებიც ნარკობიზნესში აქტიურად მონაწილეობდნენ (მაგ.: ტერორიზმი ფინანსდებოდა ავღანეთის ყოფილი მმართველების მიერ, რომლებიც თავის მხრივ ნარკობიზნესიდან წლიურ 30-40 მილიონიან წილს ფლობდნენ) - ამიტომ, ტერორისტული დაჯგუფებების წილი ნარკობიზნესში შედარებით მცირე იყო, [4, 77] მიუხედავად წილის სიმცირისა, კოლუმბიაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 3 უდიდესი კოლუმბიური ტერორისტული დაჯგუფების შემოსავლის მინიმუმ ნახევარი სწორედ ნარკობიზნესს უკავშირდება [5, 67].


ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო გამოყენება საკმაოდ არის გავრცელებული მსოფლიოში. 2010 წლის მონაცემებით, თითქმის 230 მილიონ ადამიანს, ანუ დაახლოებით მსოფლიო მოსახლეობის ზრდასრული ნაწილის 5 %, ერთხელ მაინც ჰქონდა გასინჯული ნარკოტიკული ნივთიერება. ხოლო ნარკომომხმარებელთა პრობლემურ ნაწილს

წარმოადგენს 27 მილიონი ადამიანი, რაც სულ დედამიწის მოსახლეობის 0,6 % შეადგენს. ჰერონის, კოკაინის და სხვა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების შედეგად ყოველწლიურად 200 ათასი ადამიანი კვდება. აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერებები აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ხელს უწყობს დანაშაულის ზრდას, არასტაბილურობას, დაუცველობას და აივ ინფექციის გავრცელებას [6, 91].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და სისხლის სამართლის დანაშაულის ოფისის მონაცემებით, მსოფლიოში დაახლოებით 16 მილიონი პრობლემური ნარკოდამოკიდებულია, რომელიც ინექციის გზით მოიხმარს ნარკოტიკულ ნივთიერებას, აღნიშნული პირებიდან 3 მილიონი დაავადებულია აივ ინფექციით.[7, 87] ხოლო USAIDS-ის მონაცემებით აივ ინფექციით დაავადების მიზეზებში, ინექციური გზით ნარკოტიკების მოხმარება ერთ-ერთ პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპაში.[8, 101] 2010 წელს რეგისტრირებული აივ ინფექციით დაავადების თითქმის მესამედის მიზეზი, სწორედ ინექციური გზით ნარკოტიკების გამოყენება გახდა.[9]

ნარკომანია ერთ-ერთი გავრცელებული დანაშაულია საქართველოშიც.

260-ე და 273-ე მუხლზე 2009-2012 წლებში გამოძიების დაწყების მაჩვენებელი საქართველოში



თუმცა მოყვანილმა ციფრებმა არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში, რეალურად ნარკოდამოკიდებულთა გამოსაჯანმრთელებლად საქართველოში თითქმის არაფერი კეთდება, ამდენად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნარკო-მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოში არ შემცირებულა და სტატისტიკური მონაცემები ასახავს ნარკორეალიზატორებთან წარმატებული ბრძოლის შედეგებს. ნარკოტიკების მომხმარებელთათვის გართულდა ნარკოტიკებზე წვდომა, რამაც ნარკოდამოკიდებულთა ნაწილი აიძულა გადასულიყო ნარკოტიკების ხელოვნურად დამზადებაზე, (კრაკადილი, ვინტი და ა.შ.), ხოლო მეორე ნაწილმა უარი თქვა მათ გამოყენებაზე.



ნარკოტიკული დანაშაული თავისი ბუნებიდან გამომდინარე რჩება ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ და აქტუალურ დანაშაულად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-20 სპეციალური სესიის პოლიტიკურ დეკლარაციაში პირდაპირ არის ნათქვამი: „ნარკოტიკული ნივთიერებები სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენს კაცობრიობის ჯანმრთელობისთვის და კეთილდღეობისთვის, ქვეყნების თავისუფლებისა და დემოკრატიული განვითარებისთვის, ერების სტაბილურობის, მილიონობით ადამიანებისათვის, ოჯახთა ღირსებისა და იმედებისთვის.“[10]

თემის აქტუალობას ზრდის ის ფაქტი, რომ ნარკომანია ხშირად სხვა დანაშაულთან არის დაკავშირებული, არცთუ იშვიათად ნარკოტიკების საყიდლად ნარკოდამოკიდებულები ფულს დანაშაულებრივი გზით მოიპოვებენ, რაც რა თქმა უნდა ზრდის კრიმინალის დონეს ქვეყანაში, ავტორიტეტს ულახავს სამართალდამცავ ორგანოებს და დაუცველობის გრძნობას იწვევს მოსახლეობაში. თუმცა ის ფაქტი, რომ ნარკოტიკების მოხმარება ყველა ადამიანს აგრესიულსა და არაკონტროლირებადს ხდის, ემპირიულად არ არის დადასტურებული [11, 65]

კიდევ ერთი გარემოება რაც ხაზს უსვამს ნარკოდანაშაულთან ბრძოლის აქტუალობას, არის ნარკომოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით 2011 წელს საქართველო ამ მაჩვენებლით მე-9 ადგილზე იყო [12]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ნარკო-დანაშაულთან ბრძოლა ცდება ეროვნულ ინტერესებს და ქვეყნისთვის საერთაშორისო ვალდებულებადაც იქცევა.

## **2. ნარკოტიკული დანაშაულის ისტორია**

ნარკოტიკულ ნივთიერებების გამოყენებას საკმაოდ დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, განსაკუთრებით დინამიურად ეს ისტორია ვითარდებოდა მას შემდეგ, რაც მედიცინა განვითარდა და მეცნიერულად დასაბუთდა ნარკოტიკული ნივთიერებების მავნე ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ნარკოტიკული ნივთიერებების არასამედიცინო მიზნებით გამოყენება თითქმის მთელს მსოფლიოში აიკრძალა, რამაც ეს ბიზნესი არალეგალური გახადა, თავის მხრივ ამან გამოიწვია ნარკოტიკული ნივთიერებების მწვავე დეფიციტი და შესაბამისად რამდენჯერმე გაზარდა ნარკოტიკული ნივთიერებით უკანონო მოვაჭრეთა ფინანსური მოგება. ფინანსურმა დაინტერესებამ უფრო ორგანიზებული და სასტიკი გახადა ნარკო-ბიზნესი, დღეისათვის ნარკოტიკული დანაშაული სრულიად ახალ ფაზაში გადადის, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მიერ ის მიჩნეულია ტერორიზმის დაფინანსების მთავარ წყაროდ, შესაბამისად მის მიმართ ბრძოლა კიდევ უფრო ძლიერდება, რაც სავარაუდოდ კიდევ უფრო მომგებიანს გახდის ამ სახის დანაშაულს.

ნარკოტიკების შესახებ უძველესი დროიდან არის ცნობილი. მეცნიერების ვარაუდით შუმერები ნარკოტიკებს ჯერ კიდევ 5000 წლის წინათ მოიხმარდნენ. არქეოლოგიური გათხრებისას შუმერულ ნაქალაქრებში აღმოჩენილი იქნა ოპიუმის დამზადებისა და გამოყენების წესი, რომელიც თიხაზე იყო ამოტვიფრული. როგორც ჩანს ოპიუმის

გამოყენება ასევე არ იყო უცხო ადრეული ეპოქის ბერძნული კულტურისთვის. ძველ საბერძნეთში მკურნალთა ღმერთის თავს სწორედ ყაყაჩოს სამი კოლოფი ამკობდა [4, 77].

შუა საუკუნეებში ნარკოტიკულ ნივთიერებებს აქტიურად იყენებდნენ სამკურნალო საშუალებებად, უფრო მოგვიანებით, კი ნარკოტიკულ ნივთიერებებს უკვე გასართობად და დროის სასიამოვნოდ გასაყვანადაც მოიხმარდნენ. ისტორიულ ცნობებში შესაძლოა შეხვდეთ ინფორმაციას თუ რა პრობლემებს აწყდებოდა ადმირალი ნელსონი თავისი მეზღვაურების მხრიდან. ის რამდენიმე წერილში აცხადებდა, რომ მისი მეზღვაურები კანაფის თოკებს ეწეოდნენ ნარკოტიკული ეფექტის მისაღებად. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელებს საკმაოდ დიდი „დამსახურება“ აქვთ ნარკოტიკების პოპულარიზაციაში. მე-18 საუკუნის ბოლოს ინგლისი ჰაშიშის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანა გახლდათ, ინგლისელ ბიზნესმენებს ნარკოტიკული ნივთიერებები მოჰყავდათ კოლონიების ტერიტორიებზე და შემდგომ სარეალიზაციოდ გაჰქნდათ ჩინეთსა და მუსულმანურ ქვეყნებში.

განსაკუთრებული ზიანი ნარკოტიკებმა ჩინეთს მიაყენა, მე-19 საუკუნის 30-იან წლებში ამ ქვეყანაში ბრიტანული ოპიუმის ექსპორტი 120 ტონიდან 2500 ტონამდე გაიზარდა, ჩინეთში თითქმის შეწყდა სხვა საქონლით ვაჭრობა, დიდი რაოდენობით ოპიუმის ექსპორტმა გამოიწვია ძვირფასი ლითონების გადინება ჩინეთიდან, რამაც თავის მხრივ ჩინური ეკონომიკის სრული განადგურება გამოიწვია. ამ პერიოდში ჩინეთის მოსახლეობის ნახევარი უკვე ნარკომანიით იყო დაავადებული, სახელმწიფო ინსტიტუტები ჯარის ჩათვლით დეზორგანიზებული და სრულიად შრომის უუნარო გახდა.

საპასუხოდ ჩინეთის ხელისუფლებამ აკრძალა ოპიუმით ვაჭრობა, მოვაჭრეებს იჭერდნენ, საქონელს კონფისკაციას უკეთებდნენ, ხოლო ოპიუმით დატვირთულ გემებს ზღვაში ძირავდნენ. ბრიტანეთი კარგავდა ყველაზე დიდ გასაღების ბაზარს და შესაბამისად უზარმაზარ მოგებასაც, სწორედ ამიტომ მათ ომი დაიწყეს ჩინეთთან. ჩინეთის სრულიად დეზორგანიზებული ჯარი ვერ უწევდა წინააღმდეგობას ბრიტანელებს. სწორედ ამიტომ ჩინეთი იძულებული გახდა დაეთმო ბრიტანელებისთვის კუნძული სიანგანგი, რომელზეც ბრიტანელებმა ააშენეს ახალი კოლონია ჰონკონგი. ბრიტანეთმა მართალია აიღო ვალდებულება აღარ ევაჭრა ოპიუმით ჩინეთის ტერიტორიაზე, თუმცა პირობა არ შესრულდა. ახალი ომის შემდეგ ჩინეთმა დაუშვა ოპიუმის იმპორტი, სანაცვლოდ კი მას ბაჟის მოთხოვნის უფლება მისცეს. ამ პერიოდში ინგლისთან ერთად ოპიუმის ექსპორტს ჩინეთში უკვე აშშ და საფრანგეთიც ეწეოდა, ხოლო ჩინეთი სრულად მოიცვა ნარკომანიამ. ჩინეთის ხელისუფლების ყველა მცდელობა დაემარცხებინათ ნარკომანია სრული კრაზით დასრულდა, ასე გრძელდებოდა 1950 წლამდე, სანამ კომუნისტურმა მთავრობამ არ მიიღო უსასტიკესი ანტინარკოტიკული კანონი, ოფიციალური მონაცემები ამ კანონის საფუძველზე დაპატიმრებული იქნა 80 000 ადამიანი მათგან ბევრი სიკვდილით დასაჯეს. ამ ისტორიის გამოძახილია ის ფაქტი, რომ ჩინეთს ბოლო პერიოდამდე ყველაზე მკაცრი კანონმდებლობა ჰქონდა ნარკოტიკებთან მიმართებაში [4, 123]

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იწყება ნარკოტიკული ნივთიერებების ისტორიის ახალი, შეიძლება ითქვას თანამედროვე ეტაპი, აქ განსაკუთრებული როლი უკვე გერმანელ მეცნიერებს მიუძღვით.

ჯერ კიდევ 1803 წელს გერმანელმა აფთიაქარმა ფრიდრიხ ვილჰელმ ადამ სერტუნერმა და ფრანც ანტონ კრამერმა ოპიუმის დაშლის შედეგად მიიღეს ახალი მძლავრი ნარკოტიკული ნივთიერება, რომელსაც ძილის და სიზმრების ბერძნული ღვთაების მორფეუსის საპატივცემულოდ მორფინი უწოდეს. 1815 წლისთვის აღნიშნულმა ნივთიერებამ ექიმების მხრიდან აღიარება ჰპოვა. ცოტა უფრო მოგვიანებით კი, კერძოდ მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, ნარკოტიკული თრობის ეფექტის სწრაფად მისაღებად ინექციის გზის გამოყენებაც დაიწყო. რამაც შეიძლება ითქვას ნარკოტიკების ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყებას ჩაუყარა საფუძველი.

მე-19 საუკუნის შუა წლებში ნარკოტიკები უკვე ელიტარულ გასართობად ითვლება პარიზში. ამ პერიოდში იხსნება სხვადასხვა კლუბები სადაც აქტიურად იყენებენ ჰაშიშს, განსაკუთრებით პოპულარული აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება ხელოვანთა წრეებში გახდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს, მე-20 საუკუნის დასაწყისში, კიდევ ერთმა გერმანელმა ფარმაცევტმა ჰენრიხ დრეზერმა, რომელმაც ასპირინის გამოგონებით გაითქვა სახელი, მორფინის დამუშავებისას მიაგნო ახალ ქიმიურ ნაერთს, მას რამდენჯერმე უფრო ძლიერმოქმედი ეფექტი აღმოაჩნდა ვიდრე მორფინს და პირველად გამოიყენებოდა როგორც წამალი გრიპის წინააღმდეგ. აღნიშნულ ნივთიერებას დრეზერმა ჰეროინი უწოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნე ალბათ, ნარკოტიკების პოპულარიზაციის ხანად შეიძლება ჩაითავლოს, ამას ნაწილობრივ ხელი ფართომასშტაბიანმა ომებმაც შეუწყო. უამრავ დახოცილ ჯარისკაცთან ერთად მრავლად იყვნენ დასახიჩრებული და დაჭრილი მეომრებიც. მათთვის ტკივილის გაყუჩების მიზნით კი ექიმები ხშირად იყენებდნენ მორფინს.

საქართველოში განსაკუთრებით მძიმე ფონი ამ მხრივ შეიქმნა 90 იანი წლების დასაწყისში, ამ პერიოდში მოიშალა და უფუნქციო გახდა ნარკოდანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფო სისტემა, დაიკარგა ქვეყნის ეკონომიკის 70 % რამაც ტოტალური უმუშევრობა და უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა გამოიწვია, სრულად მოიშალა ქვეყნის სასაზღვრო დაცვა, სახელმწიფომ სრულად დაკარგა გარკვეულ ტერიტორიებზე კონტროლი, მკვეთრად გაუარესდა კრიმინოგენური მდგომარეობა, კორუფციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია, ამ ყველაფერს ემატება ჩვენი ქვეყნის ნარკობიზნესისთვის იდეალური ადგილმდებარეობა, საქართველო ერთ-ერთი ხელსაყრელი ადგილია აზიიდან ნარკოტიკების ევროპაში შესატანად. თუმცა ბოლო წლებში გარკვეულწილად გაიზარდა საქართველოში ევროპიდან შემოსული ნარკოტიკების მოცულობამაც, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ექსტაზი და სუბოტექსი.

საქართველო საკმაოდ მნიშვნელოვანი ქვეყანაა ნარკოტრანზიტის კუთხით, აქ რამდენიმე მიმართულებიდან შეიძლება ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება და შემდგომ ევროპისკენ გადამისამართება [6]

შესაბამისად საქართველოს, მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული წარმატებებისა, კვლავ რჩება ნარკოდანაშაულის გავრცელების რისკ ზონაში. ამდენად ეს დანაშაული მუდმივ

მონიტორინგს და განუწყვეტელ კვლევებს საჭიროებს, მათ შორის ნარკომანიის გამომწვევი მიზეზების კუთხითაც.

### **3. ნარკომანიის გავრცელების ხელშემწყობი მიზეზები**

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ ნარკომანიასთან ბრძოლის ხერხები და სწორად შევარჩიოთ სტრატეგია, უნდა ვიცოდეთ თუ რა მოვლენები უწყობს ხელს ამ დანაშაულის გავრცელებას. ნარკოდანაშაულის კრიმინოლოგიური ანალიზი შეუძლებელია თუ არ დავსვამთ კითხვას რატომ ვრცელდება ნარკომანია, რა იზიდავს ადამიანებს ნარკოტიკებში და როგორი ადამიანები ინტერესდებიან ნარკოტიკებით უმეტესად.

პირობითად ნარკომანიის გამომწვევი მიზეზები შესაძლოა დაიყოს ორ ჯგუფად: პირველ ჯგუფს შეადგენს ის მიზეზები, რომლებიც საერთაშორისოა, საერთოა ყველა ქვეყნისთვის და მას შეიძლება ნარკომანიის გამომწვევი ზოგადი მიზეზები ვუწოდოთ; მეორე ჯგუფში გაერთიანებულია ის მიზეზები, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული ქვეყნისთვის, მისი ისტორიის, კულტურისა და სოციალური ფონის გათვალისწინებით. მეორე ჯგუფს ნარკომანიის გამომწვევი სპეციფიური მიზეზები შეიძლება დავარქვათ. ზოგადი მიზეზების დასადგენად საკმარისია საერთაშორისო ლიტერატურის და პუბლიკაციების გაცნობა, სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების და ანალიტიკური ნაშრომების შესწავლა, ხოლო მეორე ჯგუფში შემავალი მიზეზების გამოსავლენად საჭიროა კონკრეტული ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინება, ახალი კვლევების ინიცირება და განხორციელება. აღნიშნული კვლევები გარკვეულწილად ავსებენ ნარკომანიის გამომწვევ ზოგად მიზეზებს და ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო დაწვრილებით და კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდიან იმ დეტერმინანტებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ნარკომანიის გავრცელებას.

ნარკომანიის გამომწვევ ზოგად მიზეზებში გაერთიანებულია შემდეგი სახის მოვლენები და ფაქტები:

**ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე,** განაპირობებს მოსახლეობაში დაუსაქმებლობის მაღალ მაჩვენებელს, აღნიშნული პირები კი ფრუსტრირებულნი არიან, მათ აღარ ააქვთ მომავლის იმედი, ვერ აღიქვამენ საკუთარ თავს საზოგადოების წევრად და რიგ შემთხვევებში გაბოროტებულნიც არიან საზოგადოებაზე. აღნიშნულის დასტურად სააქართველოს მთავარი პროკურატურის სტატისტიკაც შეგვიძლია მოვიყვანოთ, რის მიხედვითაც 2012 წელს ნარკოტიკების უკანონო მოხმარების ბრალდებით დევნა დაიწო 1362 პირზე აქედან კი 1265 ანუ დევნადაწყებული პირების 93 % დაუსაქმებელი იყო. ზოგადად დაუსაქმებელთა რაოდენობა დევნადაწყებულ პირებში საკმაოდ მაღალია, თუმცა სსკ-ის 273 მუხლზე ბრალდებული პირები ამ კომპონენტში აშკარა ლიდერები არიან. ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ აღნიშნული პირები გაურბიან მწარე რეალობას, ამისთვის საუკეთესო გზა კი ნარკოტიკების მოხმარება გონიათ. როგორც ბატონი ამირან მოსულიშვილი წერს: „ნარკოტიკული საშუალების თვისება, გამოიწვიოს ეიფორია და მოსწყვიტოს ინდივიდი რეალობას, მნიშვნელოვანია თანამედროვე ნარკოტიკუმის განვითარების ახსნის კუთხით, ვინაიდან სწორედ ეს თვისებები ხდის ადამიანების გარკვეული ნაწილისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისათვის, ნარკოტიკულ საშუალებებს მიმზიდველს.“ მიახლოებით იგივე აზრს ანვითარებს ბატონი ზაზა ბეროზაშვილიც, როემლიც აღნიშნავს: „ნარკოტიკისაკენ, ისევე როგორც ალკოჰოლისაკენ

მიისწრაფიან ადამიანები, რომელთაც რაღაც აკლიათ რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში. უპირველესად საკუთარ თავში დაურწმუნებელი, უნებისყოფი, დაკომპლექსებული ადამიანები, რომლებიც თვლიან რომ მათ ყველაფერი ისე არ აქვთ როგორც სხვებს. [4]

ხშირად ისინი განიცდიან სიმარტოვეს, თავიანთ თავს თვლიან სხვებისათვის არასაინტერესოდ, ერიდებიან გარეშე კონტაქტებს, ეშინიათ იყვნენ თავსმომხვევად აღქმულნი.“[7]

ნარკომანიის გავრცელებას ხელს უწყობს მოსახლეობის **გაუნათლებლობა**. განათლების არქონაში არ იგულისხმება პროფესიული განათლება, პირიქით, ნარკოტიკების უკანონო მომხმარებელთა შორის უფრო ხშირად გვხვდება უმაღლესი ან ტექნიკური განათლების მქონე პირები, ვიდრე სხვა დანაშაულებში. კვლევის ეს მონაცემები სრულ თანხვედრაშია ბატონ გიორგი ღლონტის რედაქციით 2008 წელს გამოცემულ კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში აღწერილ კვლევასთან, სადაც ხაზგასმულია, რომ ნარკომანიის კვლევის დროს თვალშისაცემია ნარკომომხმარებელთა განათლების მაღალი დონე, თუმცა აქვე არის აღნიშნული, რომ ნარკომანებში „განათლების ცენზი ხშირად ფორმალური ხასიათისაა, ვინაიდან არ ვლინდება განათლებული ადამიანისათვის დამახასიათებელი სოციალური აქტივობა. [5, 91]“ საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით ბრალდებული ნარკოტიკების მომხმარებელთა 53 % გააჩნია უმაღლესი პროფესიული ან ტექნიკური განათლება. აქ საუბარია უფრო ზოგად განათლებაზე და იმის ცოდნაზე თუ რას იწვევს ნარკომანია. ნარკოტიკების შესახებ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება განსაკუთრებით საჭიროა, თუ ქვეყანას არჩეული აქვს ნარკომანიასთან ბრძოლის ლიბერალური კურსი. მსგავს „გაუნათლებლობასთან“ ბრძოლის უამრავი საშუალება არსებობს, თუმცა საჭიროა გვახსოვდეს, „ პროფილაქტიკა - ეს არ არის ქმედებათა სისტემა, აქციების, სიტყვები, მოწოდებები და სხვა სახის ქაოტური აქტივობები. ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების პროფილაქტიკის მოდას, დადებითი საერთოსახელმწიფოებრივი ეფექტის გარდა გააჩნია ასევე უარყოფითი ეფექტიც.“ [11] პოფილაქტიკა და პრევენცია ეს მეცნიერებაა და შესაბამისად მას მეცნიერული მიდგომა სჭირდება.

ნარკოტიკების მოხმარებას გარკვეულწილად ხელს უშლის **მჭიდრო სოციალური კავშირები** მშობლებთან, მეგობრებთან, მასწავლებლებთან და სხვა ავტორიტეტულ ადამიანებთან, რომელთა აზრი მნიშვნელოვანია ნარკოტიკებით დაინტერესებული პირისთვის. გარკვეულ როლს მსგავსი მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში თამაშობს არასამთავრობო ინსტიტუტები, მაგალითად როგორცაა ეკლესია, სპორტული კლუბები და სხვა. აღნიშნული მოვლენა კრიმინოლოგიაში „კონტროლის თეორიის“ სახელით არის ცნობილი.


ნარკომანიის გავრცელების ხელშემწყობი მიზეზების უკეთ განსაზღვრის მიზნით, საქართველოს მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოსა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა ნარკოდამოკიდებულთა კვლევა, კვლევის ფარგლებში, 2012 წელს საქართველოს მასშტაბით გამოიკითხა 2242 პრობაციონერი, რომლებიც ბრალდებულები იყვნენ ნარკოტიკების უკანონო მოხმარების მუხლით. გამოკითხვის მიზანი იყო, დადგენილიყო ის ასაკი, როდესაც მოქალაქეები

პირველად იღებენ ნარკოტიკულ ნივთიერებას, გარკვეულიყო მოტივები, რომელშიც უბიძგებენ მათ ნარკოტიკების მოხმარებისაკენ, ასევე ჩვენს მიზანს წარმოადგენდა გამოგვეკვლია ის სავარაუდო მიზეზები, რაც ხელს უწყობს ნარკომანიას საქართველოში და ამ კვლევის საფუძველზე შეგვემუშავებინა ქმედითი პრევენციული ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულთან საბრძოლველად.

შემოსული კითხვარებიდან, იმ ასაკის დადგენა, როდესაც გამოკითხულმა პირებმა პირველად მოიხმარეს ნარკოტიკული ნივთიერება, წარმოადგენს მთავარ კრიტერიუმს, რის მიხედვითაც უნდა დადგენილიყო თუ საზოგადოების რომელ ჯგუფს სჭირდება უფრო მეტად ყურადღება პრევენციული ღონისძიებების გატარების მხრივ.

როგორც კვლევებმა ცხადჰყო, ნარკომომხმარებელთა თითქმის ნახევარმა პირველად ნარკოტიკი 25 წლამდე ასაკში მოიხმარა. განსაკუთრებით კრიტიკული სწორედ 20-25 წლებია, კვლევის მიხედვით ყოველი მე-4 ნარკომომხმარებელი ამ ასაკში სინჯავს პირველად ნარკოტიკს. აღნიშნულ მონაცემებს ადასტურებს ბატონ გიორგი ღლონტის რედაქციით 2008 წელს გამოქვეყნებული კრიმინოლოგიის სახელმძღვანელოში მოყვანილი მონაცემებიც, სადაც ასევე ხაზგასმულია, „რომ ნარკომანია, უმთავრესად, ახალგაზრდული პრობლემაა. გამოკითხულთა შორის განსაკუთრებით მაღალია 20-24 წლის ასაკის ახალგაზრდების ხვედრითი წილი“ [5, 98]

### ნარკოტიკის პირველად მიღების საერთო ასაკი



კვლევის ეს შედეგი ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მჭიდრო სოციალური კავშირები გარკვეულწილად ამცირებს ნარკოტიკების მოხმარების დაწყებას. სწორედ ამ პერიოდში ხდება პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა და ნაწილობრივ ძველი შეხედულებების გადახედვა. დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებასთან ერთად მცირდება კავშირი მშობლებთან, ახალი ნაცნობობა და სამეგობრო წრე აყალიბებს ახალ ავტორიტეტებს, რაც ახალ გამოწვევებთან და თავის დამკვიდრების სურვილთან არის დაკავშირებული. ამ დროს ინდივიდს უყალიბდება განცდა, რომ იყოს


სხვებისგან გამორჩეული, უფრო დამოუკიდებელი ვიდრე სხვები, მეამბოხე. ეს უბიძგებს პირს რისკზე წასვლისკენ და სხვებისგან გამორჩევისკენ. ცხოვრების ამ ეტაპზე ადამინი ყველაზე მოწყვლადია ახალი ავანტიურების წამოსაწყებად, რაც შესაძლოა ნარკოტიკების გასინჯვის სახით გამოვლინდეს. აღნიშნული მოსაზრება ეფუძნება ჰირშის კონტროლის თეორიას, რომლის მიხედვითაც პიროვნული კავშირები (attachment to others) პიროვნებას უბიძგებს სხვების სურვილები და მოლოდინები გაამართლოს [ 13] და მისი ქცევა აღნიშნულ მოლოდინებს შეუსაბამოს.

რა თქმა უნდა მხოლოდ სოციალური კონტროლის ნაკლებობა არ არის გადამწყვეტი, მაგრამ სხვა ხელშემწყობი ფაქტორების არსებობისას ამ ასაკში ნარკოტიკების გასინჯვის რისკი მატულობს.

მეორე ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც საკმაოდ დიდ როლს თამაშობს ნარკოტიკების მოხმარების დაწყებაში არის - წრე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, ხდება ინდივიდის მხრიდან დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება, ის ნელნელა არღვევს სოციალურ კავშირს თავის ოჯახთან და აყალიბებს ახალ წრეს, რომელსაც გარკვეული გავლენა აქვს მის განვითარებაზე, ეს შესაძლოა იყოს ახალშემქნილი მეგობრები უმაღლეს სასწავლებელში, ან სამსახურში. ამ პერიოდში პიროვნება ცდილობს ადგილი დაიმკვიდროს თავის ახალ სამეგობროში და დიდია რისკი, საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად დაჰყვეს ახალშემქნილი მეგობრების მისწრაფებებს და სურვილებს.

კვლევის მიხედვითაც გამოვლინდა - ნარკოტიკების მოხმარების დაწყებაში ძალზედ დიდ როლს თამაშობს გარემო. ბევრ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ გამოსაკითხ პირებს ნათესავი, მეგობარი, უბნელი, მეუღლე და სხვა დაახლოებული პირები ეხმარებიან პირველად ნარკოტიკული ნივთიერების შეძენასა თუ მოხმარებაში. მათ გარემოცვაში ყოფნისას პირის წახალისება ხდება, რომ მანაც გასინჯოს ნარკოტიკული ნივთიერება. ეს მოსაზრებაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ კონტროლის თეორიასთან, როდესაც ინდივიდი აყალიბებს ახალ სანაცნობო წრეს, ნელნელა ძალას კარგავს ძველი სოციალური კავშირები. ამდენად ინდივიდი ნელნელა გამოდის ძველი ნაცნობების მოლოდინებისა და სურვილების კონტროლისგან, ის აღარ აქცევს ყურადღებას თუ რა მოლოდინი ჰქონდათ მის შესახებ მაგალითად მშობლებს და შესაბამისად მსგავსი სოციალური კონტროლის არარსებობა ამარტივებს მისი მხრიდან ნარკოტიკის გასინჯვის შესაძლებლობასაც. აღნიშნულ შეხედულებას ნაწილობრივ ადასტურებს ზემოაღნიშნული კვლევა, რომლის მიხედვითაც ნარკომომხმარებელთა თითქმის 70% პირველად ნარკოტიკული ნივთიერება სხვა პირებთან ერთად გამოიყენა, მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი მოგობრებს (34,7%) ააქვს.

### ვისთან ერთად გასინჯეს ნარკოტიკი პირველად




აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალბატონების შემთხვევაში, გამოკითხულ ქალთა 39 % მიუთითა, რომ მათ პირველად ნარკოტიკული ნივთიერება გასინჯეს მეგობართან ერთად.

როგორც ვიცით, მორალური მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნარკოტიკის პირველად მოხმარებაზე გადაწყვეტილების მიღებაში.

გამოკითხულთა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ განაცხადა, რომ გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო, თუმცა რესპოდენტების თითქმის 60% აცხადებდა, რომ მათ გადაწყვეტილებაზე გავლენა სხვა პირებმა იქონია. მათ შორის განსაკუთრებული როლი კვლავ მეგობრებს ეკუთვნით. რესპოდენტთა 26% პირველად ნარკოტიკის მოხმარებაზე სწორედ მეგობრებმა დაიყოლიეს.

### ნარკოტიკების პირველად მოხმარების მხარდამჭერები




იგივე აზრს კიდევ უფრო ამყარებს ის შედეგი, რომელიც კვლევით დადგინდა ნარკომომხმარებელთა ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. როგორც გამოვლინდა,



ნარკომომხმარებელთა 70 % არ ჰყავდა საკუთარი ოჯახი იმ დროისთვის, როდესაც მათ პირველად გასინჯეს ნარკოტიკული ნივთიერება. ანუ ამ პერიოდში მათ არ გააჩნდათ პასუხისმგებლობა მეუღლისა და შვილების წინაშე. რაც ასევე ხელს უწყობს ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენებას.

საინტერესო შედეგი აჩვენა კვლევამ ნარკომომხმარებელთა დასაქმების კუთხით, როგორც აღმოჩნდა პირველად ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების დროს გამოკითხულთა 70 % არ მუშაობდა. ასევე 70% არ იყო დატვირთული სპორტული ან სხვა სახის აქტივობებითაც.



ეს დამატებით ადასტურებს ჰირშის კონტროლის თეორიის სიზუსტეს ნარკომანიასთან მიმართებაში. მისი აზრით დანაშაულისაგან თავის შეკავების ერთერთი ელემენტია „Involvement” რაც „ნიშნავს, იყო ჩაბმული კონფორმულ (არა დანაშაულებრივ) ქმედებებში, ე.ი. პირი იმდენად არის ჩაბმული თავის საქმეში, რომ მას აღარ აქვს დრო ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედებები. ვინც მუშაობს, სპორტს მისდევს, ეკლესიაში დადის ან სხვადასხვა სახის კავშირებშია გაერთიანებული, დრო აღარც კი ექნება კრიმინალური ქმედებები დაგეგმოს ან ჩაიდინოს. კრიმინოლოგი შნაიდერი ამას უწოდებს კანონით დადგენილი ქცევების მეშვეობით პირის შეკავებას, რომ მან არ ჩაიდინოს დანაშაული.“[8]

#### 4. ნარკოდანაშაულთან ბრძოლის სტრატეგია და სისხლის სამართლის

##### პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნებში

პირობითად, სისხლის სამართლის პოლიტიკის მიხედვით, ქვეყნები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ, ქვეყნები, რომლებიც ნარკომანიის წინააღმდეგ გამოირჩევიან ლიბერალური პოლიტიკით და ქვეყნები, რომლებიც მთელი სიმკაცრით დევენან ამ სენს. ორივე მიმართულებას ააქვს თავისი რისკები და დადებითი მხარე. რა თქმა უნდა, კაცობრიობას არ შესწევს უნარი სრულად აღმოფხვრას დანაშაული, მაგრამ მას შეუძლია შეაკავოს ის სოციალურად მეტ-ნაკლებად ასატან დონეზე. [12] სტრატეგიის შერჩევისას უნდა იქნას გათვალისწინებული მთელი რიგი კომპონენტები, ქვეყნის ისტორია, ეკონომიკური განვითარების დონე, მოსახლეობის განათლების დონე, სოციალური კავშირები, არასამთავრობო ინსტიტუტების როლი და ავტორიტეტი, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური და საკანონმდებლო მდგომარეობა და ა.შ.

პირველ რიგში უნდა გავათვითცნობიეროთ, რომ ნარკობიზნესში უდიდესი ფული ტრიალებს. 2005 წლის მონაცემებით ნარკობიზნესში 322 მილიარდი დოლარი ბრუნავდა [16] ეს რამდენჯერმე აღემატება ბევრი განვითარებული ქვეყნის ბიუჯეტსაც. კიდევ ერთ ფაქტორს წარმოადგენს ფასებში სხვაობა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგალითად თუკი ერთი კილოგრამი ჰეროინი რომელიც ტაილანდში ან ავღანეთში 1000\$-2000\$ უტოლდება, თურქეთში აღწევს 6000-8000\$, ხოლო გერმანიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში კი 20000-80000\$, ეს კი მიუთითებს, თუ რამდენად მომგებიანია ნარკოტიკების ტრანზიტი გადამზიდველთათვის. დიდ მოგებასთან და ფულთან დაკავშირებულია კორუფციის მაღალი რისკი, კორუმპირებული სამართალდამცავი ორგანოების შემთხვევაში არანაირი აზრი არ აქვს ჩატარებულ ტრეინინგებსა და მომზადებულ სტრატეგიებს, შესაბამისად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ნარკომანიასთან ბრძოლა უნდა დაიწყოს სამართალდამცავ უწყებებში კორუფციის აღმოფხვრით.

ხშირ შემთხვევაში ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკის ხასიათი განპირობებულია ისტორიული ფაქტებით. როგორც ზემოთ ავლინებთ ჩინეთში ნარკომანიის გავრცელებამ ფაქტიურად დაანგრია ეკონომიკა, შრომისუუნარო გახადა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ჯარი და სხვა სახელმწიფო უწყებები კი სრულიად მოშალა. კომუნისტური ხელისუფლები მოსვლის შემდეგ კი აქტიურად და სრული სიმკაცრით დაიწყო ბრძოლა ამ დანაშაულის წინააღმდეგ, 80 000 ადამინი იქნა დაპატიმრებული, ამათგან უმრავლესობა დაიხვრიტა. აღნიშნული კანონმდებლობა 90-იანი წლების დასაწყისამდე იყო შენარჩუნებული. 1990 წლიდან მოქმედებს „ნარკოტიკების ამკრძალავი რეგულაციები“, რომლებიც ეროვნული სახალხო კონკგრესის მიერაა მიღებული. აღნიშნულმა რეგულაციებმა საკმაოდ შეარბილა კანონმდებლობა ნარკომომხმარებელთა მიმართ. რეგულაციები ინტერვენციის 3 დონეს ითვალისწინებენ. პირველია ნარკომომხმარებლების დაჯარიმება და დეტოქსიკაციის ადგილებში ნებაყოფლობითი მკურნალობის შეთავაზება (7-30 დღე), მათ, ვინც განმეორებით მოიხმარეს ნარკოტიკები, სავალდებულო წესით ათავსებენ მსგავს ცენტრებში (მინიმუმ, 6 თვით); ხოლო მესამე დონეზე მათ უკვე სავალდებულო სამუშაო ბანაკებში ათავსებენ.

მართალია, მთლიანობაში პროგრამა წარმატებულად არის მიჩნეული, მაგრამ აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლებიდან 2005 წლამდე ნარკომომხმარებელთა რაოდენობამ 70000-დან 1,16 მილიონამდე მოიმატა.

ნარკომანიის წინააღმდეგ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა გვხვდება აზიის უმრავლეს ქვეყნებში. მათ ნარკოტიკებთან ბრძოლის საკმაოდ რთული და დიდი გზა გაიარეს, იმ პერიოდში (საუბარია მე-20 საუკუნის შუა პერიოდზე) სისხლის სამართალში რეპრესიული პოლიტიკა იყო მიჩნეული გამართლებულად, შესაბამისად ბევრი ქვეყანა ამ გზით ცდილობდა ნარკომანიის დამარცხებას, რაც დღემდე აქტიურად ხორციელდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული სტრატეგია თურქეთში. ის ამ მიმართულებით ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ ითვლება, საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, თურქეთის რესპუბლიკა ევრაზიის მასშტაბით ყველაზე მეტად დაზარალდა ნარკოტიკული დანაშაულის შედეგად, იგი ფაქტიურად ნარკოტიკების გადაზიდვის გზაჯვარედინზე იმყოფება თურქეთის სტრატეგია ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის

წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის შესახებ ეფუძნება უცხო ქვეყნებთან ფართო თანამშრომლობის პრინციპს, ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებში. ამის გათვალისწინებით თურქეთმა მოახდინა გაეროსთან არაერთი ნარკოტიკებთან ბრძოლის ხელშეკრულების რატიფიკაცია, ასევე დამატებით გაფორმებული აქვს თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება მრავალ ქვეყანასთან. შეთანხმება ევროპის თანამეგობრობასა და თურქეთს შორის ნარკოტიკებისა და სხვა ფსიქოტროპული ნივთიერებების დამზადება-წარმოებასთან დაკავშირებით ძალაში შევიდა 2004 წლის 28 აპრილს. თურქეთი მოგვიანებით გახდა ორგანიზაცია UNODC (United Nations Office on Drugs and Crime) ერთ ერთი მთავარი დონორი. აღნიშნულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, თურქეთში ჩატარდა შესაბამისი კვლევა და შეფასება ნარკოტიკული დანაშაულის ბუნებასა და მასშტაბებთან დაკავშირებით. რამაც საბოლოოდ ისინი ნარკოტიკებთან ბრძოლის ნაციონალური სტრატეგიის საჭიროებამდე მიიყვანა.

სიტუაციის სირთულიდან გამომდინარე, თურქეთმა მთავრობის თითქმის ყველა სტრუქტურა ჩართო ნარკოტიკების ბრუნვის წინააღმდეგ, თუმცა მთავარი პასუხისმგებლობა მაინც თურქეთის ნაციონალურ პოლიციას, ჟანდარმერიასა და სანაპირო დაცვას აქვს შეთავსებული, რომელიც ამავდროულად შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის. ნარკოტიკებთან ბრძოლაშია სხვა ჩართულია ფინანსთა სამინისტრო, ჯანდაცვის სამინისტრო, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; განათლების სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; ადგილობრივი მაუწყებლობა და მედია; თურქეთის რადიო მაუწყებლობა და სხვ. თურქეთის ნარკოტიკებთან ბრძოლის მეთოდები რომ უკეთ გამოჩნდეს, უნდა აღინიშნოს, რომ სულ ახლახანს თურქეთის ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინა

აღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო აკადემიამ განახორციელა 60-ზე მეტი ტრენინგის პროგრამა, რომელიც მიმართული იყო პოლიციის მუშაკებზე, პროკურორებზე, მოსამართლეებსა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებზე. 2010 წელს თურქეთმა დაიწყო ადგილობრივი აეროპორტების გაძლიერება და განვითარება, აღნიშნული რეორგანიზაციის შემდეგ რომელიც 2010 წლის იანვარში განხორციელდა ამავე წელს დაახლოებით 329 კილოგრამი ნარკოტიკი იქნა ამოღებული, რაც წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად მაღალია.

ცალკე უნდა აღნიშნოს ნარკომანიის წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა ნიდერლანდების სამეფოში, რომელიც სამართლიანად ითვლება ყველაზე უფრო ლიბერალურად. ნიდერლანდების ანტინარკოტიკული პოლიტიკა გულისხმობს 4 მიმართულებით მუშაობას:

1. რეკრეაციული ნარკომომხმარებლის პრევენცია და რეკრეაციულ ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობა და რეაბილიტაცია;
2. ნარკოტიკების მიერ ნარკოდამოკიდებულთათვის მიყენებულ;ი ზიანის მინიმიზება;
3. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთა ნარკოდამოკიდებულთა მიერ;

4. რეკრეაციული ნარკოტიკების წარმოებისა და გადაზიდვის წინააღმდეგ ბრძოლა.  
[20]

მიუხედავად აღნიშნული ლიბერალური პოლიტიკისა, კვლევამ აჩვენა, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებათა 72% სწორედ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულებს ეხება და მსუბუქ ნარკოტიკებთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიებები სულ გამოძიებათა 69%-ს შეადგენს [21]

საქართველოში სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკოდანაშაულთან მიმართებაში ბოლო წლების განმავლობაში დამყარებული იყო ერთის მხრივ მკაცრ სასჯელებზე და მეორეს მხრივ იმ პროცესუალური ნორმებზე, რომელთა მეშვეობითაც პირს შესაძლოა დაკისრებოდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მინიმალურ სასჯელზე უფრო დაბალი სასჯელი. ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამიზნე ნარკოტიკული ნივთიერების გამსაღებლები გახდნენ. აღნიშნულ დანაშაულზე დაწესდა უმკაცრესი სასჯელები, რასაც თან უმრავლეს შემთხვევაში დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაცია ახლდა თან. მეორეს მხრივ მნიშვნელოვანი გახდა ნარკოტიკებით მოვაჭრეებზე ინფორმაციის მოპოვება, რის უზრუნველსაყოფადაც აქტიურად გამოიყენებოდა საპროცესო შეთანხმებების ინსტიტუტი. ნარკომომხმარებლები იდგნენ არჩევანის წინაშე, ან საკმაოდ დიდი ხნით თავისუფლების აღკვეთა ან სრული თანამშრომლობა გამოძიებასთან, იმ პირის მითითებით ვისგანაც იქნა შემენილი ნარკოტიკული ნივთიერება. აღნიშნული პოლიტიკა საკმაოდ ეფექტური აღოჩნდა და ნარკოდანაშაულის რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

თუმცა აღნიშნულ პოლიტიკას ახლდა გარკვეული ხარვეზებიც. რეპრესიული მიმართულების გარდა საქართველოში არ ხორციელდებოდა სხვა სახის პრევენციული ღონისძიებები, სახელმწიფოს მხრიდან ფაქტიურად არ ტარდებოდა ცნობიერების ამაღლების მიზნით რაიმე სახის აქტივობები. არ არსებობდა ნარკომომხმარებელთა რეაბილიტაციის ცენტრები, ნარკომომხმარებელთა გაჯანსაღების მიზნით მხოლოდ რამდენიმე პროგრამა არსებობდა, რომელში ჩართვაც ძალზედ შეზღუდული იყო.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე- 20 სპეციალური სესიის პოლიტიკური დეკლარაცია.
2. UNODC გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის სამმართველო: მსოფლიო მოხსენება ნარკოტიკების შესახებ, 2012 წელი.
3. UNAIDS world aids day report, 2011
4. მოსულიშვილი ა. „ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები (სადისერტაციო ნაშრომი)
5. ლლონტი გ. 2008. *კრიმინოლოგია*. თბილისი
6. ჯანაშია ჯ. 2002. *XXI საუკუნის გამოწვევა*. თბილისი
7. ბეროზაშვილი ზ. 2000. *ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძველები*. თბილისი
8. შალიკაშვილი მ. 2011. *კრიმინოლოგია*, მეორე გამოცემა
9. ბეროზაშვილი ზ. 2002. *ნარკობიზნესის ინდუსტრია*. თბილისი
10. შალიკაშვილი მ. 2012. *ძალადობის კრიმინოლოგია*. თბილისი

11. Сирота Н.А., Ялтонский В.М. *Эффективные программы профилактики зависимости от наркотиков и других форм зависимого поведения*
12. Лунеев В.В. 2011. *Курс мировой и российской криминологии*
13. Bernd-Dieter Meier. 2005. *Kriminologie*. 2 Auflage
14. *The Role of Drugs in Terrorism and Organized Crime*; by Engin Durnagöl; 2009/2;
15. <http://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/WDR-2011.html>
16. <http://www.unodc.org/unodc/en/frontpage/drug-trafficking-and-the-financing-of-terrorism.html>
17. [http://www.cbsnews.com/8301-503543\\_162-20073655-503543.html](http://www.cbsnews.com/8301-503543_162-20073655-503543.html)
18. <http://www.worldlifeexpectancy.com/cause-of-death/drug-use/by-country/>
19. [http://www.google.com/url?q=https://www.unodc.org/pdf/WDR\\_2005/volume\\_1\\_chap2.pdf&sa=U&ei=c0yjUYiTbPGO7Aabg4C4Cw&ved=0CBgQFjAA&sig2=ftW6ONEEpisy5GoqOxakvQ&usg=AFQjCNGm2xJxA\\_EQ\\_iPynlBAXwqA-810kQ](http://www.google.com/url?q=https://www.unodc.org/pdf/WDR_2005/volume_1_chap2.pdf&sa=U&ei=c0yjUYiTbPGO7Aabg4C4Cw&ved=0CBgQFjAA&sig2=ftW6ONEEpisy5GoqOxakvQ&usg=AFQjCNGm2xJxA_EQ_iPynlBAXwqA-810kQ)
20. <http://www.emcdda.europa.eu/html.cfm/index61221EN.html>
21. <http://www.trimbos.nl/default22208.html?back=1>

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის აკადემიური დაიჯესტის  
ინგლისურენოვან ვერსიაში გამოქვეყნებული  
სამეცნიერო სტატიების რეზუმეები

ჯეიმს ფინკენაუერი, რატგერსის უნივერსიტეტი, ნევარკი, ნიუ ჯერსი, აშშ  
აუნშულ რეგე, კრიმინალური იუსტიციის დეპარტამენტი ტამპლის  
უნივერსიტეტი, აშშ

## კრიმინალური ორგანიზაციები და მათ მიერ მიყენებული ზარალის შეფასება კვლევითი პროექტი

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის (IOC) შემსწავლელ ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის ანგარიშში წარმოჩენილ იქნა შემდეგი საკითხები: რა ზიანი მოაქვს საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულს? კონკრეტულად, როგორია მის მიერ მიყენებული ეკონომიკური ზარალი და როგორ შეიძლება გავზომოთ აღნიშნული საქმიანობით პროვოცირებული ადამიანთა გაჭირვება თუ ხელყოფილი საზოგადოებრივი უსაფრთხოება და თავისუფალი ვაჭრობა.

კონკრეტული კრიმინალური ორგანიზაციების საქმიანობით მიყენებული ზიანის დონე დამოკიდებულია მათთვის ნიშანდობლივი გარკვეული მახასიათებლების არსებობაზე. კერძოდ, ზარალის მოცულობა შეიძლება მჭიდრო კავშირში იყოს ორგანიზებული დაჯგუფებების „კრიმინალურ გაქნილობასთან“, რომელსაც განაპირობებს ჯგუფის მომზადებისა და საქმიანობის სწორად დაგეგმვის დონე; ასევე: *მკაფიო სტრუქტურირებასა* და როლების გადანაწილებასთან ორგანიზაციის შიგნით; *სტაბილურობასთან*, რომელიც განსაზღვრავს ჯგუფის არსებობასა და კონკრეტულ გარემო პირობებთან მის შეგუებას; ორგანიზაციის, როგორც დახურული საზოგადოების წევრთა *იდენტიფიცირებულობასთან* და ბოლოს, დაჯგუფების კრიმინალურ რეპუტაციასთან, რაც მას საშუალებას აძლევს ზედმეტი ძალადობის გარეშე მიაღწიოს დასახულ მიზნებს.

სტატიაში გაანალიზებულია აღნიშნული ზარალის დათვლის თეორიული და ისტორიული წანამდღვრები და გაკეთებულია დასკვნა, რომ „კრიმინალური მარკეტის გაზომვის“ შესაძლებლობა როგორც პრაქტიკოსების, ისე მეცნიერებისათვის ილუზორულ ხასიათს ინარჩუნებს.

2010 წელს ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტის მიერ გამოიყო ექსპერტთა ჯგუფები სამუშაო პროგრამის შემუშავებისა და იმ პრობლემების შესწავლისათვის, რომლებიც თან ახლავს საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობის კვლევის პროცესს. განსახილველ საკითხებს შორის გახლდათ: ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის მიერ მიყენებული ზიანის (მათ შორის, ეკონომიკური ხასიათის) განსაზღვრელი მკაფიო ინდიკატორების გამოვლენა. აღნიშნულმა ჯგუფებმა ყურადღება განსაკუთრებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალურ და სხვა

ინდიკატორებზე გაამახვილეს და შედეგად შემოგვთავაზეს სამუშაო ჰიპოთეზა, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება კრიმინალური ორგანიზაციების მახასიათებლებზე დაფუძნებულ ხუთ „სუბჰიპოთეზად“ დავყოთ. კერძოდ,

1. რაც უფრო რთული და დახვეწილია კრიმინალური ორგანიზაცია, მით უფრო დიდი ზიანის მოტანა შეუძლია მას.
2. რაც მეტადაა სტრუქტურირებული დაჯგუფება, ასევე მით დიდია მის მიერ მიყენებული ზიანი. კრიმინალური ორგანიზაციის სტრუქტურირებულობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ზომის, ორგანიზებულობის, ფუნქციონირების განაწილების, მოქნილობის მიხედვით. ორგანიზაციებს წევრთა მეტი რაოდენობით მეტი ადამიანური და შესაბამისად, ეფექტიანი დანაშაულებრივი აქტივობის უფრო დიდი რესურსი გააჩნია, რაც, ბუნებრივია ზრდის მათ მიერ მიყენებული ზარალის ოდენობას.
3. კრიმინალური ორგანიზაციის სტაბილობა ასევე მოქმედებს ზარალის ოდენობის ზრდაზე;
4. ზიანი მატულობს ასეთი ორგანიზაციის თვითიდენტიფიკაციის დონის ზრდის პარალელურად;
5. ზარალის უფრო დიდი ოდენობის მოტანა აგრეთვე შეუძლია უფრო მაღალი კრიმინალური რეპუტაციის მქონე დაჯგუფებას.

ავტორთა აზრით, ზიანის ოდენობის დადგენისათვის უფრო მეტად მისაღებია მეთოდოლოგია, რომელიც არსებული დოკუმენტების ანალიზს ეფუძნება და ინსტრუმენტად სისხლისსამართლებრივ კვლევებში არსებულ სტრატეგიულ მიდგომებს იყენებს („SLEIPNIR“). ყოველმხრივი და სტრუქტურული გაზომვებისთვის აღნიშნული მეთოდიკა ეყრდნობა ატრიბუტთა რანჟირების წესს. შედეგი ვიზუალურად გამოისახება, როგორც მატრიცა, რომელზეც პროექცირდება კვალიფიცირებული ატრიბუტიკის მიხედვით დაჯგუფებული დანაშაულებრივი ორგანიზაციები.

**ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების „დახვეწილობის“ შეფასებისთვის ავტორები გვთავაზობენ განვსაზღვროთ:**

1. დანაშაულის მომზადებისა და დაგეგმვის ხარისხი, ანუ დავადგინოთ, რამდენად დახვეწილია დანაშაულებრივი საქმიანობის წინასწარი დაგეგმვის მექანიზმი და ხომ არ მოქმედებენ კრიმინალური დაჯგუფებები სპონტანურად;
2. ცოდნისა და პროფესიონალიზმის დონე, ანუ იმის წარმოჩენა, შეუძლია თუ არა დაჯგუფებას საკუთარი ძალებით დამოუკიდებლად მოქმედება და, შესაბამისად, საჭიროებს თუ არა სპეციალისტების დახმარებას;
3. ცოდნისა და უნარების დივერსიფიკაციის ხარისხი, ანუ ცოდნა-უნარების იმ ჩამონათვალის დადგენა, რომელიც აუცილებელია წარმატებული დანაშაულებრივი საქმიანობისთვის;
4. დანაშაულებრივი საქმიანობის სახეობათა დივერსიფიკაციის დონე, რაც თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, მრავალმხრივია ჯგუფის საქმიანობა თუ ის მონოპოლიზებულ დანაშაულებრივ ჩარჩოებში მოქმედებს;



5. კომუნიკაციის დონე და ინფორმაციის გავრცელება, ანუ იმის დადგენა, თუ რამდენად გამოიყენებს ჯგუფი საკომუნიკაციოდ გავრცელებულ ელექტრონულ საშუალებებს (იმეილს, ჩატებს, ვიჭვურ კავშირებს) და უპირატესობას ხომ არ ანიჭებს ინფორმაციის პერსონიფიცირებულ გაცვლას.

დანაშაულებრივი ჯგუფის სტრუქტურა შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნას 4 კომპონენტის მიხედვით:

1. იერარქიის დონით (გუნდში ჯგუფური იერარქიის ვერტიკალური სტრუქტურა მოქმედებს, თუ ის ავტონომიურად ფუნქციონირებადი დამოუკიდებელი რგოლებისგან შედგება);
2. სიდიდით (დანაშაულებრივი ორგანიზაცია დიდი სტრუქტურული წარმონაქმნია წევრობის გლობალური მასშტაბებით თუ ლოკალური სტრუქტურაა რამოდენიმე მოქმედი ერთეულით);
3. შრომის დანაწილებით (ჯგუფის ყოველი წევრი სპეციფიკურ ფუნქციას (მაგალითად, ორგანიზატორის, მცველის, რესურსების გადამტანის და ა.შ.) ასრულებს, თუ მისი ფუნქცია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე განისაზღვრება);
4. რაოდენობრივი ფიქსაციით (ორგანიზაცია ფიქსირებული (მუდმივი), თუ ცვალებადი რაოდენობრივი შემადგენლობისაა; ხომ არ მონაწილეობენ მისი წევრები სხვა დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობაში).

კრიმინალური დაჯგუფებების სტაბილურობაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ასევე ოთხი კომპონენტის მიხედვით. ესენია:

1. საქმიანობის სტაბილურობა, ანუ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრა მისი წევრების ნაწილის დაკავების შემდეგ;
2. დროში ხანგრძლივობა, ანუ დადგენა იმისა, თუ რამდენად დიდხანს შეუძლია ჯგუფს, იარსებოს;
3. ადაპტირებულობა, ანუ რამდენად მოქნილად რეაგირებს ჯგუფი ბაზრის მოთხოვნათა ცვლილებაზე და წინააღმდეგობას უწევს სამართალდამცავ სისტემას;
4. იზოლირებულობა, ანუ ჯგუფის უნარი თავი დაიცვას სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გამოაშკარავებისა და დევნისაგან.

ორგანიზებულ დანაშაულობას თვითიდენტიფიკაციის ექვსი ელემენტი გააჩნია:

1. ქცევის კოდექსი, ანუ ჯგუფში მორალის ეტალონის არსებობა, ანუ ემორჩილებიან თუ არა ჯგუფის წევრები საიდუმლო კოდექსის წესებს;
2. ინიციატორი, ანუ სრულდება თუ არა ჯგუფის ახალი წევრების მიმართ „ზიარების“ რიტუალი, მაგალითად რიტუალური დანაშაულის ჩადენა, ტატუს გაკეთება და ა.შ.

3. შეკავშირებულობა, ანუ სარგებლობენ თუ არა ჯგუფის წევრები ერთობლივი რესურსებით, ცოდნით;
4. სოციალური კავშირები, ანუ იკვთება თუ არა ერთიანობა ეთნიკური, ოჯახური ან კლანური ნიშნის მიხედვით;
5. სოციალური კავშირების ბუნება, ანუ ხანგრძლივად თუ ხანმოკლე ალიანსების სახით არსებობენ ჯგუფის წევრები;
6. მოტივაცია და რაციონალიზაცია, ანუ გააჩნიათ თუ არა ჯგუფის წევრებს სარგებლის მიღებაზე, ჯგუფის რეპუტაციისა და ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული მსგავსი მოტივაცია.

და ბოლოს, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების ავტორიტეტულობის შეფასების ექვსი კომპონენტი შეიძლება გამოვყოთ:

1. გეოგრაფიული საზღვრები (რამდენად ცნობილია დაჯგუფება ლოკალურ და საერთაშორისო დონეებზე);
2. ისტორია (როგორია ჯგუფის რეპუტაცია ისტორიულ კონტექსტში);
3. რეპუტაციის შენარჩუნების სტრატეგია ძალადობის გამოყენებით (რა მიდგომებს იყენებს გაერთიანება ავტორიტეტის შენარჩუნებისა და კონკურენტების დაშინების მიზნით).
4. რეპუტაციის შენარჩუნების სტრატეგია ძალადობის გამოყენების გარეშე, ანუ ჯგუფის მიერ ისეთი საშუალებების გამოყენება, როგორცაა კორუფცია და მექრთამეობა.
5. რეპუტაციის შეფასება, ანუ როგორი რეპუტაციით სარგებლობს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს, პოლიციასა და მედიას შორის.
6. შიშის დონე, ანუ რამდენად დიდია მოსახლეობაში ორგანიზებული ჯგუფის მიერ მიყენებადი ზიანისადმი შიში.

ავტორები გვთავაზობენ ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების მიერ მიყენებული ზიანის გაზომვის მეთოდის, რისთვისაც გამოყავთ სამი მაჩვენებელი:

1. ზიანის ფიზიკური მაჩვენებელი, რომელიც ადგენს ინდივიდუალური პირების, ორგანიზაციების, სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლების, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისა და მათი მოწინააღმდეგეებისათვის მიყენებული ზიანის დონეს. ის 6 ელემენტისგან შედგება და მოიცავს მკვლელობების, სხეულის დაზიანებების, თავდასხმების, წამების, გაუპატიურებათა და ქონების დაზიანების შემთხვევათა რაოდენობას.
2. ზიანის ფსიქოლოგიური მაჩვენებელი, რომლითაც დგინდება საზოგადოების წევრებისათვის მიყენებული ზიანის დონე. ისიც 6 ელემენტს მოიცავს: მუქარისა და დაშინების შემთხვევათა ოდენობას, ემოციურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების ხარისხს, ფრუსტრაციის დონესა და ზიანის მიყენების ხანგრძლივობას.
3. ზიანის სოციალური მაჩვენებელი. მისი მეშვეობით შესაძლებელია განისაზღვროს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო წარმომადგენლებისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა. შემადგენელი ელემენტების რაოდენობა აქაც ექვსია:

კორუფცია, გეოგრაფიული რეგიონისათვის მიყენებული ზიანის დონე, რწმენის დაკარგვა სამართალდამცავი ორგანოებისადმი, ზოგადად სამართლებრივი სისტემის, პოლიტიკოსებისა და ადგილობრივი ხელისუფლებისადმი. როგორც ავტორები აღნიშნავენ, მოცემული კვლევები განვითარების პროცესშია და მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის ემპირიული ანალიზის მეთოდოლოგიაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Dantzker, M.L. & Hunter, R.D. (2006). *Research Methods for Criminology and Criminal Justice* – 2<sup>nd</sup> edition. MA: Jones and Bartlett Publishers.
2. Mason, J. (2002). *Qualitative Researching - 2<sup>nd</sup> edition*. London: Sage Publications Inc.
3. Strang, S.J. (2005). *Project Sleipnir: An Analytical Technique for Operational Priority Setting*, Royal Canadian Mounted Police,
4. [https://analysis.mitre.org/proceedings/Final\\_Papers\\_Files/135\\_Camera\\_Ready\\_Paper.pdf](https://analysis.mitre.org/proceedings/Final_Papers_Files/135_Camera_Ready_Paper.pdf)
5. Tusikov, N. (2009). *Developing Harm Analysis to Rank Organized Crime*. International Studies Association Conference, February 15-18, 2009.

ჰელმუტ კური

ფრაიბურგის უნივერსიტეტი, ფრაიბურგი, გერმანია

ანეტე კულმანი

ბარაბუს უნივერსიტეტი, ვისკონსინი, აშშ

### მედიაცია გერმანიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში

ბოლო ათწლეულების განმავლობაში დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების კრიმინალური იუსტიციის დარგის სპეციალისტები აქტიურად მსჯელობენ დანაშაულის, სამართალდარღვევებისა და სხვა სოციალური კონფლიქტების მიმართ ახალი მიდგომების თაობაზე. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მედიაციასთან, ე.წ. „აღდგენით იუსტიციასთან“ (restorative justice) დაკავშირებული პრაქტიკა, რასაც არაერთი კვლევა მიემდგინა და რაც წინამდებარე სტატიაშია გაანალიზებული.

სტატიის პირველ პარაგრაფში ავტორები წარმოაჩენენ დანაშაულის ჩადენის შემდეგ კონფლიქტების რეზოლუციის ისტორიულ წინაპირობებს. მეორე პარაგრაფში განხილულია მედიაციის დეფინიციები. კერძოდ, ავტორები აანალიზებენ მედიაციის განმარტებასთან დაკავშირებულ მეცნიერულ პოლემიკას და აქცენტს აკეთებენ სისხლის

სამართლის მართლმსაჯულებასა და „აღდგენით იუსტიციას“ შორის არსებულ სხვაობებზე.

მკვლევართა მოსაზრებით, მედიაციის სხვადასხვა ტიპს შორის მკაფიო განსხვავება არ იკვეთება და ამავდროულად არსებობს რამოდენიმე მოდელი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს „აღდგენითი იუსტიციის“ პრაქტიკაში.

როგორც საერთაშორისო შედარებითი კვლევების მონაცემები გვიჩვენებს, მედიაციის დეფინიცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სამართლებრივ სისტემაზე, თუმცა, განსხვავებების მიუხედავად, მათთვის საერთოა ისეთი მახასიათებელი, როგორცაა ნებაყოფლობა. მედიაცია გულისხმობს დამნაშავისა და მისი მსხვერპლის შერიგებას. ამავდროულად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული შერიგება მჭიდრო კავშირშია რესტიტუციის (ზიანის ანაზღაურების) იდეასთან, თუმცა, ერთდროულად სცილდება მის საზღვრებს და ცენტრალურ სოციალურ იდეად იქცევა.

პარაგრაფში „მედიაციის განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში“ აღნიშნულია, რომ „აღდგენითი იუსტიცია“, როგორც ინსტიტუტი, დასავლეთის ქვეყნებს შორის პირველად აშშ-ში აღმოცენდა. ეს მოხდა მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში და უკავშირდება სოციალურ დამაბულობას, რომლის გამოც ამერიკის მთავრობა იძულებული შეიქნა შეემუშავებინა საზოგადოების განვითარებისა და სილატაკის შემცირების სტრატეგია. მათ აქცენტი გააკეთეს ე.წ. სამეზობლო იუსტიციის განვითარებასა და თემურ მართვაზე. 80-იანი წლების დასაწყისში თემებს განიხილავდნენ, როგორც ერთგვარ რესურსს, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა ე.წ. „თემური იუსტიციის“ ამოქმედებას. ამ კუთხით საინტერესოა რიჩარდ ქინის (Richard Quinney) ნაშრომები, რომელთაც „აღდგენითი იუსტიციის“ განვითარების კვალდაკვალ, შერიგებითი კრიმინოლოგიის (Peacemaking Criminology) ფორმირებას დაუდეს სათავე. სხვადასხვა რელიგიის კვლევის საფუძველზე მეცნიერმა ერთგვარი სულიერი განზომილება შეიტანა აღდგენით იუსტიციაში, რაც ეყრდნობოდა ანტიკური სიბრძნის ტრადიციებს ინდუიზმის, ტაოიზმის, ბუდიზმისა და სხვათა ჩათვლით და კრიმინოლოგთა შორის მნიშვნელოვანი ოდენობით მიმდევრებიც შეიძინა.

თანამედროვე აღდგენითი იუსტიცია ფართოდ გამოიყენება იმ შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება საყოფაცხოვრებო ძალადობას, რასობრივ პრობლემებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, სიკვდილით დასჯას, ასევე სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი ძალადობის ან ომის შედეგად მიყენებულ ტრავმებს.

აღდგენითი იუსტიცია აშშ-ში ფოკუსირებულია ტომთა თემებზე, ჩრდილო-ამერიკელი ინდიელების ჩათვლით.

**მედიაციის განვითარება გერმანიაში.** მედიაციის საკითხებით გერმანიაში აქტიურად 80-იან წლებში დაინტერესდნენ, რასაც საფუძვლად დადებითი ამერიკული გამოცდილება დაედო. აღნიშნულ ფონზე აქტიური დისკუსია გაჩაღდა სადამსჯელო პოლიტიკისა და ალტერნატიული სანქციების, განსაკუთრებით მედიაციასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების გამოყენების ირგვლივ. მედიაციის, როგორც კონფლიქტების ნებისმიერი სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალების პოპულარობამ 90-იან წლებში მნიშვნელოვნად იმატა. გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში რესტიტუცია ნახსენებია ვადამდე პირობითი (parole) გათავისუფლების რეალიზაციისას, ასევე სასჯელის გამოყენების კონტექსტში (პარაგრაფი 46, სექცია 2). გარკვეულ პირობებში კანონი უშვებს, რომ თუ დამნაშავე მსხვერპლს ზარალს აუნაზღაურებს, ეს მის მიმართ პრობაციის გამოყენების ერთერთ პირობად განიხილონ. ფელონის შემთხვევაშიც კი, დამნაშავისა და მსხვერპლის შერიგება შეიძლება სასჯელის შემცირების საფუძველს წარმოადგენდეს.

რესოციალიზაცია გერმანული სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილია არასრულწლოვნებთან მიმართებით. დამნაშავისა და მსხვერპლის შერიგებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება. იუვენილურ იუსტიციაში რესტიტუცია ჯერ კიდევ 1923 წელს იქნა წარმოდგენილი, როგორც სპეციალური ვალდებულება, თუმცა ის გულისხმობდა ახალგაზრდა დამნაშავის მიერ ჩადენილი აქტის უსამართლობის აღიარებასა და ნეგატიური შედეგების გაცნობიერებას.

დამნაშავისა და მსხვერპლის შერიგება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ოფიციალურად 1994 წელს აისახა. კოდექსის მიხედვით, მოსამართლეს შეუძლია, რომ არასრულწლოვან დამნაშავეს შესთავაზოს მსხვერპლთან შერიგება. 1999 წლის კანონმდებლობაში დამნაშავისა და მსხვერპლის შერიგება და მიყენებული ზარალის რესტიტუცია პირდაპირაა წახალისებული, თუმცა, მიუხედავად რესტიტუციის მნიშვნელოვანი პედაგოგიური ღირებულებისა, აღნიშნული მიდგომა ჯერჯერობით იშვიათად გამოიყენება გერმანიაში.

8. <[razumkov.org.ua/eng/files/category\\_journal/NSD111\\_eng\\_1.pdf](http://razumkov.org.ua/eng/files/category_journal/NSD111_eng_1.pdf)>.
9. Shostko O., Kalenyuk D., “Criminal Investments: Do They Stop? “ // Legal Bulletin of Ukraine. - 2012. - 7-13 May. (№ 14). – p. 6.
10. [www.transparency.org/country#UKR.Report\\_Nov011\\_ENG.pdf?MOD](http://www.transparency.org/country#UKR.Report_Nov011_ENG.pdf?MOD)
11. Recommendations is available on the internet at: <[http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/recommendations/pdfs/FATF%20Recommendations%20\(approved%20February%202012\)%20reprint%20May%202012%20web%20](http://www.fatf-gafi.org/media/fatf/documents/recommendations/pdfs/FATF%20Recommendations%20(approved%20February%202012)%20reprint%20May%202012%20web%20)>.The United Nations Convention against Corruption. <[www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026\\_E.pdf](http://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026_E.pdf)>
12. [antac.org.ua/en/category/analytics/money-laundering/](http://antac.org.ua/en/category/analytics/money-laundering/).
13. Combating Money Laundering and the Financing of Terrorism & Proliferation.

14. Directive 2005/60/EC on the Prevention of the Use of the Financial System for the Purpose of Money Laundering and Terrorist Financing. The full text of the Directive is available on the internet at: <eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L.
15. GRECO Evaluation Report regarding Ukraine. The full text of article is available on the internet at: www.google.com.ua/#hl=uk&gs\_nf=3&cp=49&gs\_id=3&=GRECO

## ელიკო წიკლაური-ლამიხი

*მაკს პლანკის საერთაშორისო და უცხოეთის  
სისხლის სამართლის ინსტიტუტი (ფრაიბურგი, გერმანია)*

სტატიაში ავტორი განიხილავს ძალადობის ტრადიციულ განსაზღვრებას, რომელიც მოიცავს როგორც ადამიანების დესტრუქციულ ქმედებებს, ისე სახელმწიფოსა და საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს (სახელმწიფო მონოპოლია ძალადობაზე – Gewaltmonopol des Staates).

ავტორი სხვადასხვა ჭრილში აანალიზებს ძალადობის ფენომენს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ნორვეგიელი სოციოლოგის, მათემატიკოსის, პოლიტიკური ანალიტიკოსისა და მშვიდობისა და კონფლიქტის დოქტორის ერთ-ერთი დამფუძნებლის იოჰან გალტუნგის (Johan Galtung) მიდგომებსა და დეფინიციებზე. როგორც გალტუნგი აღნიშნავს, ძალადობა შეიძლება გამოვლინდეს როგორც ცალკეული პირის, ისე პირთა ჯგუფის მხრიდან და ატარებდეს სტრუქტურული ძალადობის ხასიათს. სტრუქტურულ ძალადობის შედეგად გალტუნგი მიიჩნევს ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების, მისი ცხოვრების გაუფასურებას.

უშუალო ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობისგან, სტრუქტურული ძალადობა განსხვავდება მისი არაპირდაპირი ზემოქმედებით საზოგადოებრივი ინსტიტუტების მეშვეობით. მას, როგორც წესი, არა მაშინვე და არა ყოველთვის აცნობიერებენ ინდივიდები და სოციალური ჯგუფები. პირდაპირი ძალადობისგან განსხვავებით, რომელიც ცვალებადი და დინამიურია, სტრუქტურული ძალადობა სტატიკურობითა და სტაბილურობით გამოირჩევა. სტრუქტურული ძალადობის ზემოქმედების შედეგად საზოგადოება აპათიური ხდება, ხშირია სუიციდი და ფრუსტრაცია.

სტატიის მიხედვით,

1. სტრუქტურული ძალადობა ბუნებრივი ფენომენია, იმდენად რამდენადაც, სოციალურ ჯგუფებს შორის ყოველთვისაა ინტერესთა სხვაობა, პირველ რიგში, ეს ხელისუფლების პოზიციებზე აისახება, რომელიც სოციალურ და ეკონომიკურ ურთიერთქმედებათა საფუძველზე ყალიბდება;
2. სტრუქტურული ძალადობის ქვეშ იგულისხმება სოციალური უსამართლობა უფლებების, თავისუფლებების, მოვალეობების უთანასწორო გადანაწილების, ასევე, არათანაბარი რესურსებისა და ცხოვრებისეული შანსების ქონის გამო.

3. სტრუქტურული ძალადობის კატეგორიაში ხვდებიან მხოლოდ ის მოვლენები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, თუ ალტერნატიული სოციალური და სახელისუფლებო სტრუქტურები შესაბამის ძალისხმევას გამოიჩენდნენ.

4. სტრუქტურული ძალადობა, როგორც წესი, არაშორსმჭვრეტელო და არაგონივრული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგია;

5) ზოგადად სტრუქტურული ძალადობა განსხვავებული მსოფლმხედველობების მქონე სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის არსებული დისბალანსის შედეგია.

ავტორი იხილავს და აანალიზებს ძალადობის ფენომენსა და სპეციფიკას ევროპაში, ასევე სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც ორიენტირებულია აღნიშნული მოვლენის პრევენციაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Albrecht H.-J. 2002 Terrorismus und kriminologische Forschung – Eine Bestandsaufnahme, in: *Schweizerische Zeitschrift für Kriminologie*, Vol.1, pp. 5-17.
2. Brussels, 28.11.2001 COM(2001) 664 final, 2001/0270 (CNS).
3. Bjorgo T. 1997. Racist and Right-Wing Violence in Scandinavia. *Patterns, Perpetrators and Responses*, Oslo: TanoAschehoug, p. 17.
4. Blumstein A., Rosenfeld R. 1998. *Assessing Recent Ups and Downs in U.S. Homicide Rates. The National Consortium on Violence Research.*
5. British Crime Survey in Simmons, J., Dockl, T. 2003. *Crime in England and Wales 2002/2003*. London: Home Office.
6. Combating Hate Crimes in the OSCE Region: An Overview of Statistics, Legislation, and National Initiatives. Warsaw, 2005; Hall Nate Crime. Willan Publishing, 2005; Jacobs, J., Potter, K. Ibid.; Levin J., Mc Devitt J. Hate Crimes: The Rising Tide of Bigotry and Bloodshed. NY-L. Plenum Press, 1993.
7. Europe. Euro barometer Opinion Poll no 47.1. First results presented at the Closing Conference of the European Year Against Racism. Luxembourg, 18 & 19 December 1997.
8. Eser A., Arnold J. (Hrsg) S82.2 Band 2:*Deutschland 2000.662 Seiten*.ISBN 3-86113-938-3.
9. Galtung Verlag J., *Strukturelle Gewalt*. Reinbek 1975, 10ff
10. Galtung J. Konflikte & Konfliktlösungen. *Eine Einführung in die Transcend-Methode: Die Transcend.*
11. Graebisch, C. (ed). 2000. Experimente im Strafrecht – Wie genau können Erfolgskontrollen von kriminalpräventiven Maßnahmen sein? *Bremen: Bremer Institut für Kriminalpolitik*

12. Hawkins D.F. et. al. 1998. Race, Ethnicity, and Serious Juvenile Offending, in: Loeber, R., Farrington, D. (eds) *Serious and Violent Juvenile Offenders. Risk Factors and Successful Interventions*. London, New Delhi: Thousand Oaks, pp. 30-46, p. 31.
13. Hippler J. Wissenschaft & Frieden 2007-1: *Terrorismus - Ursachen und Folgen*
14. Jacobs J., Potter K. 1998. *Hate Crimes. Criminal Law and Identity Politics*. Oxford Un. Press, p.4.
15. Joint Action 96/443/JHA of 15 July 1996.
16. Kinzig J. *Die rechtliche Bewältigung von Erscheinungsformen organisierter Kriminalität Duncker und Humblot*. Berlin, S.77
17. Kressel N. 1996. *Masse Hate: The Global Rise of Genocide and Terror*. Plenum Press, pp. 252-253.  
<http://unobserver.iom.int/images/pdf/iom%20syria%20crisis%20regional%20response%20sitrep%2029%20august%202013.pdf>
18. Levin, J., McDevitt, J. (1993) *Hate Crimes: The Rising Tide of Bigotry and Bloodshed*, New York: Plenum; Findeisen, H.-V., Kersten, J. 1999. *Der Kick und die Ehre. Vom Sinn jugendlicher Gewalt*, München: Kunstmann.
19. *Racism and Xenophobia in Methode und ihre Anwendung 2007*. Johan Galtung und Georg Günther *Menschenrechte - anders gesehen*. suhrkamp taschenbuchwissenschaft von Suhrkamp
20. Tutt N. (Ed.) *Violence*. L.: Her Majesty's Stationary Office, 1976, p.613.
21. Trotha, T. 2002. Über die Zukunft der Gewalt (About the future of violence), in: *Monatsschrift für Kriminologie und Strafrechtsreform*, Vol. 85, pp. 349-368, p. 360
22. Van Donselar, J. 2000. Monitor racisme en extreem rechts. *Leiden: Derde Rapportage*, p. 75.
23. Foucault M. 2003. Statehood. (Idea of State Interest and Its Genesis). *Logos*. № 4/5. P. 4-22.
24. <http://unobserver.iom.int/images/pdf/iom%20syria%20crisis%20regional%20response%20sitrep%2029%20august%202013.pdf>

ჰელმუტ კური,

ფრაიბურგის უნივერსიტეტი, გერმანია

ოქსანა ილჩენკო

შორეული აღმოსავლეთის ფედერალური უნივერსიტეტი, ვლადივოსტოკი, რუსეთის

ფედერაცია

დანაშაულობის დონე და სასჯელის სიმკაცრე დასავლეთის ქვეყნებსა და რუსეთში

წინამდებარე სტატიაში განხილულია საერთაშორისო კვლევის შედეგები იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს სასჯელის სიმკაცრე დანაშაულობის დონეზე რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებში. მათ შორის, გამოკვლეულია სასჯელის პრობლემები ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თავისუფლება აღკვეთილთა რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით დაპატიმრებულთა 25%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც, მოსახლეობის რაოდენობა ამ ქვეყანაში პლანეტის მოსახლეობის 5%-ია.

ავტორები აღნიშნავენ, რომ დღეისათვის აშშ-ში „თავისუფლების აღკვეთის ბუმი“. ამას ხელი შეუწყო მიზეზთა რიგმა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1994 წელს კალიფორნიაში მიღებულ ე.წ. „სამი დარტყმის კანონს“. აღნიშნული კანონი ერთერთი უმკაცრესია უახლეს ისტორიაში. მიიჩნეოდა, რომ მისი ამოქმედება ხელს შეუწყობდა ძალადობრივი დანაშაულის რაოდენობის შემცირებას, ვინაიდან რეციდივისტი-დამნაშავეებისთვის ის, პრაქტიკულად, სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებდა.

სასჯელის გამკაცრება ამერიკაში ასევე უკავშირდება „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის რეალიზებას, რომელიც ითვალისწინებდა დასჯას ნებისმიერი გადაცდომისთვის, მაგალითად, სიგარეტის ნამწვის დაგდებისათვის ქუჩაში. მიუხედავად მსგავსი მიდგომებისა, დაწვრილებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დანაშაულობის დონემ ქვეყანაში შემცირება ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ამოქმედებამდე რამოდენიმე წლით ადრე დაიწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ დაპატიმრებათა სიხშირისა და ხანგრძლივობის ზრდას ამერიკის ეკონომიკისთვის დიდი ფინანსური ხარჯები მოაქვს. 1980 წელთან შედარებით, 2010 წლის დანახარჯები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე ორჯერ და მეტად გაიზარდა. ავტორები აღნიშნავენ, რომ პატიმართა რიცხოვნობის მკვეთრმა ზრდამ დღის წესრიგში ახალი ციხეების აგების საკითხი დააყენა, რამაც, თავის მხრივ, ე.წ. „ციხის ინდუსტრიის“ განვითარებას შეუწყო ხელი. „ციხეების მშენებლობა მალე იქცა გაფურჩქვნად ბიზნესად. ციხის მეპატრონეები ცდილობდნენ რა, განეხილათ ეს ბიზნესი, დაინტერესებული იყვნენ ახალი პატიმრების მომრავლებაში. დამნაშავეთა ციხეში გამწესება ამერიკის შეერთებულ შტატებში უზარმაზარი ინდუსტრიის განვითარებას უწყობს ხელს. ამავდროულად ყოველწლიურად 69 მილიარდ დოლარამდე იხარჯება სისხლის სამართლის სააღსრულებო სისტემაზე.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ამერიკის ციხეებში პატიმართა რიცხოვნობის მკვეთრი ზრდა მნიშვნელოვანწილად უკავშირდებოდა „ნარკოტიკებთან ომს“. 90-იანი წლებიდან ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი დევნა თვალნათლივ იქნა ფოკუსირებული სასჯელზე ნარკოტიკების შენახვის გამო. 2008 წელს ნარკოტიკების ფლობის მიზეზით დაპატიმრებულთა რიცხვმა პირველად გადააჭარბა ნარკოტიკული პრეპარატებით ვაჭრობისა და მათი მომზადების გამო დაპატიმრებულთა რაოდენობას. აშშ-ში

აპრობირებული სასჯელის სიმკაცრის ფონზე მაშინაც კი, როცა საუბარია მსუბუქი ნარკოტიკის შემთხვევით მოხმარებაზე, ევროპის ბევრ ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი დევნა ნარკოტიკულ დანაშაულზე ერთობ მსუბუქ ხასიათს ატარებს. განსაკუთრებით ეს ეხება ნიდერლანდებს, რომელიც არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული ნარკოტიკებთან მიმართებით თავისი ლიბერალური პოლიტიკის გამო. თუმცა, უკვე გერმანიაშიც დგება დღის წესრიგში მსუბუქი ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციის საკითხი. ამ კუთხით თამამი ნაბიჯი იქნა გადადგმული პორტუგალიის მიერ რამოდენიმე წლის წინ. 90-იანი წლების ბოლოს ქვეყანას სერიოზული პრობლემები ჰქონდა ნარკოტიკებთან დაკავშირებით, რასაც შედეგად მსუბუქი ნარკოტიკების ნაწილობრივი ლეგალიზაცია მოჰყვა.

მკაცრი სადამსჯელო სანქციების არაეფექტიანობის მკაფიო მაგალითია ფინეთი. 1950 წელს აქ მსჯავრდებულთა რაოდენობა 187-ს შეადგენდა. ჩრდილოეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა დანია (88), ნორვეგია (51), შვეცია (35), პატიმართა ოდენობა ფინეთში თითქმის სამჯერ მაღალი იყო. ფინელ მოსამართლეთა მიერ დანიშნული სანქციები და სასჯელი უფრო მკაცრი იყო, ვიდრე სკანდინავიის სხვა ქვეყნებში, თუმცაღა დანაშაულის რიცხვი მათში წლების მანძილზე უცვლელი რჩებოდა.

როგორც ავტორები მიიჩნევენ, რუსეთში სასჯელისადმი დამოკიდებულება მჭიდრო კავშირშია სოციალურ-ისტორიულ კონტექსტთან. თუ მე-19 საუკუნეში სასჯელის შემსუბუქების ტენდენცია იკვეთებოდა, 1917 წლის შემდეგ სანქციათა მკვეთრი გამკაცრება აღინიშნა. სიმკაცრის პიკი დაფიქსირდა 1937-1953წწ რეპრესიების პარალელურად. დანაშაულობის დონისა და მოცულობის ვარდნა და შესაბამისად, პატიმართა რიცხვის კლება აღინიშნა „დათბობისა“ (1963-1965) და „გარდაქმნის“ (1986-1988) პერიოდებში. პატიმართა რაოდენობის მკვეთრ კლებას ასევე ადგილი ჰქონდა 90-იანი წლების დასაწყისში, რაც საბჭოთა კავშირის დაშლითა და განხორციელებული იდეოლოგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებებით აიხსნება. თუმცა, უკვე 5 წლის შემდეგ პატიმართა რაოდენობა ორჯერ (573 ათასი) გაიზარდა, ხოლო 1998 წელს 1100 ათასამდე მიაღწია, რაც მნიშვნელოვანწილად ტრანსფორმაციული პროცესებით, სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარებითა და ადამიანების ცნობიერებაში მომხდარი ზნეობრივ-იდეოლოგიური ცვლილებებით იქნა განპირობებული.

1996 წელს რუსეთში მორატორიუმი დაწესდა სიკვდილით დასჯაზე. 1996 წელს სიკვდილი მიესაჯა 53 დამნაშავეს. თუმცაღა, იმ 15 წლის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც სიკვდილით დასჯა აღსრულებას აღარ ექვემდებარებოდა, საზოგადოებაში არ შემწყდარა კამათი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. რუსეთის სოციუმის მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც აკრიტიკებს მორატორიუმის დაწესებას და სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების განახლების სურვილს გამოთქვამს.



რუსეთის ფედერაციაში 1997 წელს ამოქმედებულ სისხლის სამართლის კოდექსში მკაფიოდ იკვეთება სასჯელის გამკაცრების ტენდენცია წინამორბედ 1960 წლის კოდექსთან შედარებით. მაგალითად, თანამედროვე კოდექსის 57-ე მუხლი ითვალისწინებს თავისუფლების უვადოდ აღკვეთას. 56-ე მუხლის მე-2 პუნქტში დათქმულია თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობა 20 წლამდე ვადით, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება ოცდახუთ, ხოლო სასჯელთა ერთობლიობით 30 წელზე მეტი ვადით. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე პერიოდში გამოტანილი განაჩენები უმრავლეს შემთხვევაში შეიცავენ მოცემული დანაშაულებისთვის დადგენილ ზღვრულ სანქციებს.

ზოგადად, რუსეთის ფედერაციაში სასჯელის გამკაცრების ტენდენცია თვალსაჩინოა. მხოლოდ 2012 წლის მანძილზე შემუშავებული და განსახილველად გადაცემულია კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობის გაზრდას არაფხიზელ მდგომარეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის, ფინანსური პირამიდის შექმნის, მართვისა და მასში მონაწილეობის გამო. 2012 წელს ხელი მოეწერა კანონს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსსა და ცალკეულ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ სექსუალური ხასიათის დანაშაულზე პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით. აღნიშნული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულია სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გამოყენების განსაკუთრებული წესი იმ პირთა მიმართ, რომლებიც შელახავენ არასრულწლოვნის სქესობრივ ხელშეუხებლობას. კერძოდ, ღონისძიებათა ასეთი კომპლექსი შეიძლება მოიცავდეს პროფილაქტიკური მედიკამენტოზური საშუალებების, მათ შორის, „ქიმიური კასტრაციის“ გამოყენებას, ასევე შემოდის აკრძალვა პირობითი სასჯელის გამოყენებაზე მოცემული კატეგორიის პირების მიმართ. 2012 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა ფედერალური კანონი N 172-ფზ, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ზღუდავს პირობითი სასჯელის გამოყენებას საშიში რეციდივისა და სხვა შემთხვევებში.

2013 წლის დასაწყისში რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი რამოდენიმე კანონპროექტი. მაგალითად, იგეგმება სასჯელის გამკაცრება არალეგალურ სათამაშო ბიზნესზე.

2013 წლის იანვარში მასობრივი ინფორმაციის წყაროებში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის სახელმწიფო დუმაში იგეგმება კანონის განხილვა, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის შემცირებას 14, ხოლო დანაშაულის ზოგიერთი შემადგენლობის მიხედვით - 12 წლამდე (მანამდე შესაბამისად არსებული 16 და 14 წლის ნაცვლად). ასაკობრივი ბარიერის შემცირების ინიციატორები და მომხრეები საკუთარ მოსაზრებას ამართლებენ იმით, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე

ქვეყანაში კრიმინალური სიტუაცია შეიცვალა და დანაშაულობა რუსეთში გაახალგაზრდავდა.

ჩატარებული კვლევების შეჯამების საფუძველზე ავტორები ასკვნიან, რომ გავლენა, რომელსაც სასჯელის გამკაცრება დანაშაულობის დონის დაქვეითებაზე ახდენს, უმნიშვნელოა და მცირე პრევენციული ეფექტიანობა გააჩნია. ამავდროულად, სასჯელად თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, სხვა უარყოფითი შედეგებთან ერთად, ფინანსური ხარჯების ზრდას იწვევს. პენიტენციურ დაწესებულებაში ხანგრძლივად ყოფნა, როგორც წესი, ამყარებს კრიმინალურ ჩვევებს, ქცევასა და განწყობას, რასაც ხელს უწყობს ციხის სუბკულტურის მძლავრი გავლენა. თანამედროვე სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ტენდენციას, რომელიც სასჯელის გამკაცრებაში, ციხეში ყოფნის ვადებისა და პატიმართა რაოდენობის ზრდაში გამოიხატება მცდარი მიმართულებით მივყავართ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Agra, C. da (2009). Requiem pour la Guerre à la Drogue. L'Expérimentation Portugaise de Décriminalisation. *Déviance & Société* 33, 27-49.
2. Aos, S. (2003). Cost and benefits of criminal justice and prevention programs. In: Kury, H., Oberfell-Fuchs, J. (Eds.), *Crime Prevention – New Approaches*. Mainz: Weisser Ring, 413-442.
3. Beccaria, C. (1764; 2005). *Von den Verbrechen und von den Strafen*. Berlin: Berliner Wissenschafts-Verlag.
4. Blumstein, A., Wallman, J. (Hrsg.)(2006). *The crime drop in America*. Cambridge: Cambridge University Press.
5. Bowers, W.J., Pierce, G.L. (1980). Deterrence or Brutalization: What is the Effect of Executions? *Crime and Delinquency* 26, 453-492.
6. Braman, D. (2004). *Doing Time on the Outside: Incarceration and Family Life in America*. Ann Arbor: University of Michigan Press.
7. Death Penalty Information Center (2011). *The Death Penalty in 2011: Year End Report* (<http://deathpenaltyinfo.org/documents/2011YearEnd.pdf>).
8. Death Penalty Information Center (2012). *The Death Penalty in 2012: Year End Report* (<http://deathpenaltyinfo.org/documents/2012YearEnd.pdf>).
9. Dölling, D., Entorf, H., Hermann, D., Rupp, T. (2011). Meta-Analysis of Empirical Studies on Deterrence. In: Kury, H., Shea, E. (Eds.), *Punitivity – International Developments*. Vol. 3, Bochum: Universitätsverlag Dr. Brockmeyer, 315-378.
10. Gascón, G., Foglesong, T. (2010). *Making Policing More Affordable. Managing costs and Measuring Value in Policing*. Washington: National Institute of Justice.
11. Gilinsky J.I. (2002) *Kriminology*, Piter Press.
12. Greenwald, G. (2009). *Drug Decriminalization in Portugal. Lessons for Creating Fair and Successful Drug Policies*. Washington, D.C.: Cato Institute.
13. Hinds, L. (2005). Crime control in Western countries, 1970 to 2000. In: Pratt, J., Brown, D., Brown, M., Hallsworth, S., Morrison, W. (Eds.), *The New Punitiveness. Trends, theories, perspectives*. Portland/Oregon: Willan, 47-65.
14. Hofer, H. von, Tham, H. (1975). Beware of General Prevention! In: National Swedish Council for Crime Prevention (Hrsg.), *General Deterrence – A Conference on current Research and Standpoints*. Stockholm: Research and Development Division, 257-270.

15. Jasch, M. (2003). „Zero Tolerance“ in New York – Was ist daraus geworden? Frankburg: unveröff. Manuskript.
16. Kury, H. (1979). Sozialstatistik der Zugänge im Jugendvollzug Baden-Württemberg. Freiburg: Max-Planck-Institut für Strafrecht. Unveröff. Forschungsbericht.
17. Kury, H. (2001). Das Dunkelfeld der Kriminalität. Oder: Selektionsmechanismen und andere Verfälschungsstrukturen. *Kriminalistik* 55, 74-84.
18. Kury, H., Kern, J. (2003a). Frauen und Kinder von Inhaftierten. Eine vergessene Gruppe. *Kriminologisches Journal* 35, 97-110.
19. Kury, H., Kern, J. (2003b). Angehörige von Inhaftierten – zu den Nebeneffekten des Strafvollzugs. *Zeitschrift für Strafvollzug und Straffälligenhilfe* 52, 269-278.
20. Kury, H., Quintas, J. (2010a). Zur Wirkung von Sanktionen bei Drogenabhängigen - Argumente für eine rationale Drogenpolitik. *Polizei & Wissenschaft* 1, 31-56.
21. Kury, H., Quintas, J. (2010b). Sanktionen oder Hilfe? Einstellungen zu Drogentätern - Ergebnisse aus Portugal. *Kriminalistik* 64, 403-409.
22. Kury, H., Sato, M. (2013). Bewährungshilfe – die Rolle der Freiwilligen. Ein Vergleich zwischen Deutschland und Japan. Zur Veröff. Eingereicht.
23. Lappi-Seppälä, T. (2011). Changes in Penal Policy in Finland. In: Kury, H., Shea, E. (Hrsg.), *Punitivity – International Developments. Vol. 1: Punitiveness – a global Phenomenon?*
24. Lauterbach, O. (2009). Jugendstrafvollzug – Soziale Integration und Delinquenz nach Entlassung aus dem Jugendstrafvollzug. *ZJJ – Zeitschrift für Jugendkriminalrecht und Jugendhilfe* 20, 44-50.
25. Lilly, J.R., Knepper, P. (1993). The Correctional-Commercial Complex. *Crime and Delinquency* 39, 150-166.
26. MacKenzie, D.L. (1998). Criminal Justice and Crime Prevention. In: Sherman, L.W., Gottfredson, D., MacKenzie, D.L., Eck, J., Reuter, P., Bushway, S., *Preventing Crime: What works, what doesn't, what's promising.* Washington: National Institute of Justice.
27. Males, M., Macallair, D., Taqi-Eddin, K. (1999). *Striking Out : The Failure of California's « Three Strikes and You're Out" Law.* San Francisco: Justice Policy Institute (<http://www.cjci.org/files/strikingout.pdf>).
28. Males, M., Macallair, D. (2010b). Are Teenage Criminals Getting Younger and Younger? Exposing another Urban Legend. San Francisco: Center on Juvenile & Criminal Justice.
29. Murray, J., Farrington, D.P. (2008). The Effects of Parental Imprisonment on Children. In: Tonry, M. (Hrsg.), *Crime and Justice. Chicago: Chigano University Press. A Review of Research*, 37, 133-206.
30. Ortmann, R. (1993). Prisonisierung. In: Kaiser, G., Kerner, H.-J., Sack, F., Schellhoss, H. (Hrsg.), *Kleines Kriminologisches Wörterbuch.* Heidelberg: C.F. Müller, 402-409.
31. Pauwels, L., Weerman, F., Bruinsma, G., Bernasco, W. (2011). Perceived sanction risk, individual propensity and adolescent offending: Assessing key findings from the deterrence literature in a Dutch sample. *European Journal of Criminology* 8, 386-400.
32. Quintas, J., Agra, C.da (2008). The impact of Portuguese Drug Use Decriminalisation Law. Porto: University of Porto, Faculty of Law – School of Criminology.
33. Radelet, M.L., Lacock, T.L. (2009). Recent Developments – Do Executions lower Homicide Rates?: The Views of Leading Criminologists. *The Journal of Criminal Law and Criminology* 99, 489-508.
34. Rose, D.R., Clear, T.R. (1998). Incarceration, Social Capital and Crime: Examining the Unintended Consequences of Incarceration. *Criminology* 36, 441-479.
35. Shelden, R.G. (2010). *The Prison Industry.* San Francisco: Center on Juvenile & Criminal Justice.

36. Snell, T.L. (2010). Capital Punishment, 2009 – Statistical Tables. Washington: U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, Bureau of Justice Statistics.
37. Storz, R. (1992). Jugendstrafrechtliche Reaktionen und Legalbewährung. In: Heinz, W., Storz, R.: Diversion im Jugendstrafverfahren der Bundesrepublik Deutschland. Bonn: Bundesministerium der Justiz.
38. Törnudd, P. (1993). Fifteen Years of Decreasing Prison Rates in Finland. National Research Institute of Legal Policy. Research Communication 8.
39. Wikström, P.-O., Tseloni, A., Karlis, D. (2011). Do people comply with the law because they fear getting caught? European Journal of Criminology 8, 401-420.

**დეჟან მაროლოვი, ელენა ივანოვა**  
გოსე დელსევ უნივერსიტეტი, სტიპი

### **შვილად აყვანის პროცედურის შესაძლებელი ნეგატიური ასპექტი**

ბავშვის შვილად აყვანა ძველი ინსტიტუტია, რომელიც მიმართულია იმ წყვილების დასახმარებლად, რომელთაც არ შეუძლიათ საკუთარი შვილის ყოლა. თანამედროვე პირობებში, სოციალური ფასეულობების და რწმენის მოდერნიზაციის ფონზე, ბავშვის აყვანის შესაძლებლობა არსებობს როგორც ცალკეული ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე. ამის საჭიროება რეალურია, ვინაიდან მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვის მოვლა იმის მნიშვნელოვანი საწინდარია, რომ ის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდება და თავის წვლილს შეიტანს უკეთესი მომავლის მშენებლობაში. შვილად აყვანილ ბავშვს მშობლები უზრუნველყოფენ საცხოვრებელით, სიყვარულით და ყურადღებით, ზრდიან და ასწავლიან, უწევენ მშობლიურ მზრუნველობას, რასაც ბავშვები მანამდე მოკლებული იყვნენ. ასეთ პირობებში ბავშვი უფრო კარგად ვითარდება, იმყოფება სიყვარულის და ყურადღების გარემოში იმის მიუხედავად, რომ ამყვან მშობლებთან არ არის დაკავშირებული სისხლით ნათესაობით. ეს მეტად მნიშვნელოვანია, მაშინ როდესაც, ბიოლოგიური მშობლები არ არიან მზად ან არ შეუძლიათ შეუქმნან ბავშვს სათანადო პირობები, აგრძნობინონ სიყვარული და ყურადღება.

საძიებელი სიტყვები: შვილად აყვანა, მცირეწლოვანი, მშობლის მზრუნველობა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Law on Family, „Official Gazette of the Republic of Macedonia “No. 80/92, 9/96, 38/04, 33/06, 84/08, 67/10, 156/10 and 44/12.
2. Criminal Code of the Republic of Macedonia „Official Gazette of the Republic of Macedonia“ No. 37/96, 80/99, 4/02, 43/03, 19/04, 81/05, 60/06, 73/06, 7/08, 139/08, 114/09, 51/11, 135/11 and 185/11.

3. Criminal Code of the Republic of Serbia „Official Gazette of the Republic of Serbia“ No. 85/2005, 88/2005, 107/2005 and 72/2009.
4. Rulebook on the Closer Criteria and Method of Selecting Adoptive Parents Electronically, „Official Gazette of the Republic of Macedonia“ No. 12/11.
5. European Convention on the Adoption of Children, Council of Europe, Strasbourg, 1967;
6. Convention on Protection of Children and Co-operation in Respect of Intercountry Adoption, Hague conference on private international law, Hague, 1993;
7. <http://www.novosti.rs/vesti/naslovna/aktuelno.290.html:359604-Kupuju-potomstvo-za-200-evra>
8. <http://www.globalpost.com/dispatch/news/regions/asia-pacific/thailand/110310/thailand-surrogacy-human-trafficking?page=0,0>
9. <http://bridgetobaby.com/profiles/blogs/would-be-surrogate-mothers-used-in-human-trafficking-scheme>
10. <http://www.lifesitenews.com/news/fourteen-women-rescued-from-eugenics>
11. <http://aconspiracyofhope.blogspot.com/2011/02/brave-new-crime-surrogaceugenics->
12. <http://legislationline.org/documents/section/criminal-code>

**ალექსანდრე ლლონტი**

მაკს პლანკის საერთაშორისო და უცხოეთის სისხლის სამართლის ინსტიტუტში  
(ფრაიბურგი, გერმანია)

**გიორგი ალავიძე**

კრიმინალური იუსტიციის ჯონ ჯეის კოლეჯი, ნიუ-იორკი, აშშ

### **კიბერ სივრცის ექსპლუატაცია რეტალიაციის მიზნით ტრანზიტული ეკონომიკისა და პოლიტიკის ქვეყნებში (საქართველოს მაგალითზე)**

ავტორთა მიზანია შეისწავლონ კიბერ-საშუალებების გამოყენებით განხორციელებული შურისძიებისა და დაშინების ფენომენი, მისი განმასხვავებელი ნიშნები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მაგალითზე.

თანამედროვე მსოფლიოში ტრადიციულმა შურისძიებამ ნაწილობრივ ე.წ. „ელექტრონულ სამყაროში“ გადაინაცვლა, სადაც მისი ნეგატიური შედეგები კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა. ერთი მხრივ, ეს განპირობებულია სამართლებრივი აქტების ნაკლებობით კიბერდანაშაულის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი პროგრესით, რომელიც მკვეთრად წინ უსწრებს აღნიშნული ფენომენის მეცნიერულ კვლევას.

დღესდღეობით, „კიბერ-შურისძიება“ (კიბერ-რეტალიაცია), მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ადამიანები სათანადოდ აფასებენ ინტერნეტის მაღალ ანონიმურობას, ინფორმაციის სწრაფი გავრცელების შესაძლებლობასა და საკანონმდებლო

ბაზის უძღურებას კიბერდანაშაულთან ბრძოლის საქმეში. ჩამოთვლილი ფაქტორების ერთობლიობა დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს დაუსჯელად ამოქმედონ და განკარგონ შურისძიების ერთერთი ყველაზე მძლავრი მექანიზმი.

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე საქართველო არ ჩამორჩა ტექნოლოგიურ პროგრესს. ფაქტები ცხადყოფს, რომ „კიბერ-შურისძიება“ 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულის დასაწყისში ჩვენშიც საგრძნობლად გავრცელდა. ავტორები აღნიშნულ მოვლენას გამუდმებულ პოლიტიკურ ციებ-ცხელებას, ეკონომიკურ არასტაბილურობასა და სწრაფადცვლად სოციალურ გარემოს უკავშირებენ.

როგორც წესი, კიბერ-რეტალიაციასთან ასოცირდება რელიგიური შუღლის გაღრმავება, უმცირესობების უფლებების შელახვა, ძალადობისკენ მოწოდება, მასმედიის უფლებების შეზღუდვა, ტერორისტულ გაერთიანებათა მუქარები და ბოლოს, დაპირისპირება კიბერ სივრცის მომხმარებლებს შორის.

ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტები, გარდა იმისა, რომ საზოგადოებაში ღელვას იწვევენ, ხშირ შემთხვევაში უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს და საგრძნობლად აფერხებენ დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

სტატიაში ავტორებმა განიხილეს კიბერ-რეტალიაციასთან ასოცირებული საკითხები (მათ შორის, დაშინების ფაქტორი), აღწერეს თანამედროვე ქართულ კიბერ-სივრცეში არსებული მდგომარეობა, პარალელები გაავლეს მსოფლიოში არსებულ ანალოგიურ მოვლენებთან და შეეცადნენ ჩამოაყალიბებინათ საკუთარი ხედვა აღნიშნულთან მიმართებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Freda Adler, Gerhard O.W. Mueller, William S. Laufer – *Criminology 7th Edition*
2. Gen. James E. Cartwright, - Chiefs of the Military Servs., Commanders of the Combatant Commands, Dirs. Of Joint Staff Directories - *Joint Terminology for Cyberspace Operations 5 (Nov. 2011)*.
3. Clarke & Kanke - *More Than Firewalls: Three Challenges to American Cyber Security, Asymmetric Threat (Aug, 2011)*
4. Eickelman, 1997 - *The Middle East and Central Asia: An Anthropological Approach*
5. Julia Eckert - *Citizenship Studies, Volume 11, Issue 4, 2007*
6. Miller & Slater, 2000 - *The Internet: An Ethnographic Approach*
7. Ministry of Internal Affairs of Georgia - <http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/279>
8. Ministry of Internal Affairs of Georgia - <http://police.ge/en/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/4673>
9. Ministry of Internal Affairs of Georgia - <http://police.ge/en/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/5451>
10. Ministry of Internal Affairs of Georgia - <http://police.ge/ge/terorizmis-shesakheb-muqaris-ets-djihadis-videos-saqme-gakhsnilia/5598>
11. Oona A. Hathaway, Collective of Authors, Yale Law School - *Law of Cyber-Attack*
12. Ross Perrot Quote
13. Stephen Dycus - *Congress's Role in Cyber Warfare*

14. Tom Gjelten - *Extending the Law on War to Cyberspace*
15. United Nations Website - <http://www.un.org/en/events/pressfreedomday/background.shtml>
16. Wikipedia - <http://en.wikipedia.org/wiki/Cyberwarfare>
17. Wikipedia - [http://en.wikipedia.org/wiki/Website\\_defacement](http://en.wikipedia.org/wiki/Website_defacement)
18. Wikipedia - [http://en.wikipedia.org/wiki/Computer\\_worm](http://en.wikipedia.org/wiki/Computer_worm)
19. Christian Science Monitor - <http://www.csmonitor.com/2007/0517/p99s01-duts.html>



## **ინფორმაცია ავტორებზე**

**ჯეიმს ფინკენაუერი** - ემერიტუსი პროფესორი, რატგერსის უნივერსიტეტის კრიმინალური იუსტიციის სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის საერთაშორისო და შედარებითი კრიმინალური უისტიცია, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ასპექტები და არასრულწლოვანთა დანაშაულობა. პროფესორი ფინკენაუერი არის ავტორი და კორედაქტორი ათობით მონოგრაფიისა, უამრავი სტატიის თუ ანგარიშისა. იგი გახლდათ სამეცნიერო ჟურნალების - „დანაშაულის კვლევისა“ და „არასრულწლოვანთა დანაშაულის ტენდენციების“ რედაქტორი. მუშაობდა ნიუ ჯერსის სამართალდამცავი ორგანოების განათლების საბჭოში, კრიმინალური იუსტიციის მეცნიერებათა აკადემიაში და ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საერთაშორისო ასოციაციაში. ასევე მოღვაწეობდა, როგორც მიწვეული მკვლევარი ავსტრალიაში, ჩინეთში, გერმანიაში, იაპონიასა და რუსეთში. 1998-2002წწ. ის იყო ეროვნული იუსტიციის ინსტიტუტის აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი. 2007წ ფულ-ბრაიტის უფროსი სპეციალისტი ჰონ-კონგში. ამჟამად მუშაობას აგრძელებს რატგერსის უნივერსიტეტში, როგორც ძირითადი ფაკულტეტის წევრი გლობალურ საქმეთა დეპარტამენტში. ერთდროულად, ის არის ინტერნეტ-გამოცემის „სისხლის სამართლის და კრიმინალური იუსტიციის წიგნების მიმოხილვის“ კორედაქტორი.

**აუნშულ რეგე** - ტამპლის უნივერსიტეტის კრიმინალური იუსტიციის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი. დოქტორის ხარისხი მიენიჭა კრიმინალური იუსტიციის სკოლაში (ნევარკი, ნიუ ჯერსი, აშშ). სამეცნიერო ინტერესები: გარემოს დაცვის კრიმინოლოგია, დამნაშავის რაციონალობა, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები, კიბერდანაშაულის სივრცობრივი ანალიზი, სამართალი, საზოგადოება და ტერორიზმი, უსაფთხოება და თვალთვალის სოციალური კონტროლი, რელიგია და საზოგადოება.

აუნშულ რეგეს მოპოვებული აქვს მრავალი აკადემიური ჯილდო და სტიპენდია სხვადასხვა ფონდიდან. მათ შორის რატგერსის უნივერსიტეტის სადისერტაციო სტიპენდია (2011-2012), კანადის ჰუმანიტარული კვლევების საბჭოს სტიპენდია (2008-2012), რატგერსის უნივერსიტეტის პრეზიდენტის სტიპენდია (2008-2010), სამაგისტრო სტიპენდია და სხვა. აუნშულ რეგე გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების კრიმინოლოგთა ასოციაციის (2009-2010) და კანადის კრიმინალური იუსტიციის ასოციაციის (2008-2009, 2007-2008) წევრი.

**სვეტლანა პარამონოვა** - სამართლის დოქტორი, მუშაობს მაკს პლანკის საერთაშორისო და უცხოეთის სისხლის სამართლის ინსტიტუტში (ფრაიბურგი, გერმანია) მეცნიერ-თანამშრომლად. დაამთავრა ციმბირის ფედერალური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სამაგისტრო ხარისხი და სადოქტორო დისერტაცია დაიცვა პასაუს უნივერსიტეტში (გერმანია).



სვეტლანა პარამონოვას მიღებული აქვს გრანტები და სტიპენდიები არაერთი ფონდიდან, მათ შორის, სტიპენდია აშშ-ს მთავრობისგან (FLEX), TEMPUS (European Union Program), German Academic Exchange Service (DAAD).

**ჰელმუტ კური** - მაკს პლანკის საერთაშორისო და უცხოეთის სისხლის სამართლის ინსტიტუტის კრიმინალისტიკური ფსიქოლოგიის პროფესორი. გახლდათ ქვემო საქსონიის კრიმინოლოგიის კვლევის ინსტიტუტის პირველი დირექტორი. დოქტორის ხარისხი მიენიჭა 1974 წელს ფრაიბურგის უნივერსიტეტში (გერმანია). პროფესორი კური არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის (საქართველო), დიდორენკოს (უკრაინა), ადილეთის (ყაზახეთი) უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი.

**ანეტე კულმანი** - ბარაბუს უნივერსიტეტი (ვისკონსინი, აშშ) სოციოლოგიის და ანთროპოლოგიის პროფესორი.

**მარგარიტა ზერნოვა** - კრიმინოლოგი. დოქტორის ხარისხი მიენიჭა ჰალის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი). კვლევის ინტერესები უკავშირდება აღდგენითი მართლმსაჯულების სფეროს. ამჟამად მუშაობს აღდგენითი მართლმსაჯულების ეთიკის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია და სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთებული მოხსენებები.

**ოქსანა ილჩენკო** - სოციოლოგი, შორეული აღმოსავლეთის ფედერალური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი. ინტერესდება სარეკლამო ფსიქოლოგიის, ოჯახის ფსიქოლოგიის, სოციალური ეთიკის, ნარკომანიითა და ალკოჰოლიზმით დაავადებულებთან ფსიქოლოგიური მუშაობის საკითხებით. გამოქვეყნებული აქვს 25-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია. მიღებული აქვს არაერთი სამეცნიერო გრანტი და სტიპენდია.

**ოლენა შოსტკო** - იაროსლავ ბრძენის სახელობის უკრაინის სამართლის აკადემიის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი. სამართლებრივი კვლევების ეროვნული აკადემიის თანამშრომელი, ანტიკორუფციული სამოქმედო ცენტრის ექსპერტი (AntAC), ევროპის დანაშაულისა და სისხლის სამართლის სტატისტიკის კრებულის (Criminal Justice Sourcebook) ეროვნული კორესპონდენტი. დაჯილდოვებულია იაროსლავ ბრძენის მედლით.

**ელიკო წიკლაური-ლამიხი**. სამართლის დოქტორი. 1983 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურა. 1991წ. გახლდათ მოსკოვის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტი; 1999წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სისხლის სამართალში. 2005 წლიდან დღემდე მაკს პლანკის საერთაშორისო და უცხოეთის სისხლის სამართლის ინსტიტუტის (ფრაიბურგი, გერმანია) ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების განყოფილების კოორდინატორია.

2012 წლიდან გახლავთ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის და მავს პლანკის ინსტიტუტის ერთობრივი კრიმინოლოგიური ცენტრის კოდირექტორი. არის ორგანიზაციის "სამართალდამცავი ქალები საზღვრების გარეშე" დამფუძნებელი, ასევე გერმანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის კრიმინოლოგთა საზოგადოების, გერმანელ იურისტ ქალთა კავშირის, ბადენვიუტენბერგის ქალთა ორგანიზაციის გამგეობის, ქალთა საერთაშორისო ალიანსის (IAW), გერმანელ ქალთა საზოგადოების (DFR), აღმოსავლეთ ევროპის კვლევის გერმანული საზოგადოების (DGO) წევრი; სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის გერმანელ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე, სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის გერმანელ ქალთა საოლქო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, Fraumen Ring Breisgau ხელმძღვანელი.

**გიორგი ღლონტი** - სამართლის დოქტორი, პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, უნივერსიტეტის შედარებითი სამართალმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი. 1984 წლიდან მუშაობდა საქართველოს შსს პოლიციის აკადემიაში სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე. აქვს პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება (თადარიგში). 1991 წლიდან დღემდე არის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. 1996-1998წწ. იყო საქართველოს პარლამენტის მრჩეველთა საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი. 1999 წლიდან დღემდე არის საქართველოს სამართლებრივი რეფორმების ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი. 2002-2003 წლებში იყო ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულობის ცენტრის თბილისის ოფისის დირექტორი. გიორგი ღლონტი არის ევროპისა და აშშ-ის კრიმინოლოგთა ასოციაციის წევრი და საქართველოს კრიმინოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე, 2002 წლიდან კი ევროპული სისხლისსამართლებრივი სტატისტიკის კრებულის რედკოლეგიაში - საქართველოს წარმომადგენელი. გამოქვეყნებული აქვს 55 სამეცნიერო ნაშრომი - მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და სამეცნიერო სტატიები ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

**ეკა ბესელია** - 1996 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით, ხოლო 2011 წელს - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, დააფუძნა საადვოკატო ფირმა „ეკა და კომპანია“, 1996-2012წწ. მუშაობდა ადვოკატად, 2009 -2011 წლებში იყო კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი. 2012 წელს არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ. გამოქვეყნებული აქვს ექვსი სამეცნიერო სტატია.

**შალვა საღირაშვილი** - დაიბადა 1979 წლის 4 ივლისს თბილისში, 2001 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართალმცოდნეობის განხრით; 2006 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი ბონის ფრიდრიჰ

ვილჰელმის სახელობის უნივერსიტეტში (გერმანია) LL.M (magister iuris comperativi). 2004-დან 2009 წლამდე დაკავებული იყო საადვოკატო საქმიანობით. 2009 წელს საქმიანობა გააგრძელა საქართველოს მთავარ პროკურატურაში საგამომიებო ნაწილის პროკურორად, ამავე წელს მუშაობა განაგრძო მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე. 2013 წლიდან დღემდე არის საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. ამავდროულად კითხულობს ლექციათა კურსს კრიმინოლოგიის მიმართულებით კავკასიის და ილიას უნივერსიტეტებში.

**მერაბ ფაჩულია** საზოგადოებრივი აზრის კვლევის საერთაშორისო ცენტრ „გორბის“ (GORBI) დირექტორი. 1990 წელს კომერციულ საწყისებზე პირველმა განახორციელა საქართველოში არჩევნების კვლევა. ზედამხედველობას უწევდა მრავალი ქვეყნის პროექტს, ამზადებდა კვლევითი ორგანიზაციების პერსონალს სხვადასხვა ქვეყანაში. 1991-1994წწ ხელმძღვანელობდა ევრობარომეტრის კვლევებს სომხეთსა და საქართველოში. 1995 წელს კავკასიაში, ხოლო 2008 წელს საქართველოში გახლდათ World Values გამოკითხვების დირექტორი. ასევე იყო ლიდერი გუნდისა, რომელმაც 2008 წელს ჩაატარა ევროპული ღირებულებების კვლევა. 1992, 1995 და 1999 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ( UNICRI ) დავალებით ზედამხედველობა გაუწია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას დანაშაულის შესახებ საქართველოსა და აზერბაიჯანში. ის ასევე იყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული განმეორებითი ვიქტიმიზაციის კვლევის გუნდის ლიდერი საქართველოში 2010 – 2012წწ.

**თეა ჯანტურია** - 2008 წელს დაინიშნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის საერთაშორისო ცენტრ „გორბის“ (GORBI) პროექტის მენეჯერად. აქვს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ბაკალავრისა და სამართლის მაგისტრის ხარისხები. იყო GORBI-ს მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ჩატარებული რამდენიმე პროექტის მენეჯერი, განხორციელებული აქვს სასწავლო ტრენინგები ცენტრალურ აზიაში, კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებში. ამჟამად საქართველოში დანაშაულის კვლევის (Crime Survey) ევროკავშირის დელეგაციის მიერ დაფინანსებული პროექტის საკვანძო მკვლევარია. ასევე გახლავთ ევროკავშირისა და GORBI კონსორციუმის ფარგლებში ჩატარებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის შეფასების პროექტის ძირითადი კოორდინატორი.

**ალექსანდრე დლონტი** - მკვს პლანკის საერთაშორისო და უცხოეთის სისხლის სამართლის ინსტიტუტის (ფრაიბურგი, გერმანია) რეტალიაციის, მედიაციისა და სასჯელის საერთაშორისო კვლევითი სკოლის დოქტორანტი. სამართლის ბაკალავრისა (2011) და სამართლის მაგისტრის (2013) ხარისხი მიღებული აქვს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში (თბილისი, საქართველო). ინტერესების სფერო: ორგანიზებული და ტრანსნაციონალური დანაშაული, კიბერ დანაშაული და მისი პრევენცია. მოპოვებული აქვს გერმანიის აკადემიური გაცვლის სერვისის (DAAD) სტიპენდია. დოქტორანტურაში

ჩარიცხვამდე მუშაობდა საქართველოს მთავარ პროკურატურაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო სტატია, მათ შორის, ევროპულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში.

**გიორგი ალავეძე** - ჯონ ჯეის კრიმინალური იუსტიციის კოლეჯის (ნიუ-იორკი, აშშ) მაგისტრანტი (სპეციალიზაცია პოლიციის ადმინისტრირება). ბაკალავრის ხარისხი მიიღო 2012 წელს ვესტ პოინტის (აშშ) სამხედრო აკადემიაში.